

პაატა სხალაია, ვილენა ჯოჯუა



ქართული
ენების
სწავლის
სამეცნიერო
ცენტრი

რაჭის
გეოგრაფიული
სახელწოდებანი

I

შპს. (YDC) 801. 311 (479.22)
ბ. 971

მიკროტოპონიშია შნიშვნელოვანი წყაროა ნებისმიერი დიალექტის ენობრივი (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა, სიტყვაწარმოება, ენობრივი-დიალექტური ურთიერთობანი...) და გარეენობრივი (ეთნოგრაფია, სამეურნეო საქმიანობა, ფლორა და ფაუნა, რელიგიური შეხედულებანი...) პრობლემების უფრო სრულად და საფუძვლიანად კვლევისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას გამიზნული აქვს რაჭის გეოგრაფიულ სახელწოდებათა სალექსიკონო მასალების გამოცემა 4 მცირე წიგნად. წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია ონზემოთა რიონის ხეობისა და ცხორის საკრებულოს სოფლებში (მდ. ჯვარის მარცხ. მხარე) საველე პირობებში ჩაწერილი დიდი თუ მცირე გეოგრაფიული და ხელოვნური ობიექტების სახელები. მიკროტოპონიმები, როგორც წესი, კარგადაა ცნობილი იმ სოფლის ან უბნის ფარგლებში, სადაც სათანადო დენოტატი მდებარეობს. აქედან გამომდინარე, ჩვენი მთავარი მიზანი, სახელებულ ობიექტთა ლოკალიზაციასთან ერთად, იყო მათი აღმნიშვნელი სახელების მომხმარებელთა პოზიციის დაფიქსირება სახელწოდების ისტორიასა და მოტივირებასთან დაკავშირებით. ვიმედოვნებთ, რაჭის გეოგრაფიულ სახელთა (და ანთროპონიმთა) დაწვრილებით აღწერა-აღნუსხვაში უფრო აქტიურად ჩაებმებიან ადგილობრივი უფროსკლასელები, მასწავლებლები და, საერთოდ, ყველა, ვისაც განსაკუთრებით უყვარს მშობლიური კუთხე.

მთავარი რედაქტორი **როინ მეტრეველი**
სარედაქციო კოლეგია:

*დევან ფრუიძე
გურამ ბედოშვილი
ბონდო გავნიძე
ალექსანდრე კობახიძე*

გამომცემლობის
მთავარი რედაქტორი

ბონდო გავნიძე

© მხაღაია ა. ჯოჯუა ბ. 2003

© რაქო, 2003

ISBN 99928-30-49-2

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული პროფესორ
ფარნაოზ ერთელიშვილის სახელობის ონომასტიკის
სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია

რაჭის გეობრაფიული სახელწოდებანი

(სალექსიკონო მასალა)

I



საგარეო ურთიერთობების სამსახურის მიერ

საგარეო ურთიერთობების სამსახური

საგარეო ურთიერთობების სამსახური

(საგარეო ურთიერთობების სამსახური)

15708-1
3

საგარეო ურთიერთობების სამსახური
საგარეო ურთიერთობების სამსახური
საგარეო ურთიერთობების სამსახური
საგარეო ურთიერთობების სამსახური

წინასიტყვაობა

გარესამყაროს კონკრეტული ობიექტებისათვის სახელების შერქმევა საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე გახდა საჭირო და აუცილებელი. ამასთანავე, ადამიანთა თავდაპირველი ცივილიზაციები დიდ მდინარეთა ნოყიერ ველებზე აღმოცენდა, სადაც უხვად იყო წყალი, ადამიანის არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელი კომპონენტი. სწორედ პიდრონიმები ქმნიან ტოპონიმის არქაულ და ყველაზე ინფორმაციულ ფენას. ინფორმაციულობის თვალსაზრისით (ამოსავალი ფუძის გამჭვირვალობის შემთხვევაში) ასევე მნიშვნელოვანია მათა და სხვა დიდ გეოგრაფიულ ობიექტთა უძველესი სახელწოდებანი. ისინი, როგორც წესი, ათეულ საუკუნეებს უძლებენ და დღემდე არიან შემონახულნი ისტორიულ წყაროებსა და ხალხთა მეხსიერებაში.

მიკროტოპონიმები, როგორც მცირე ბუნებრივ (წყარო-ნაკადულთა, ჩანჩქერთა და მოსაბრუნთა, კლდეთა და მღვიმეთა, ზეკართა და ვიწრობთა...), ისე ხელოვნურ ობიექტთა (სოფელთა და უბანთა, ხილთა და ციხეთა, სახნავთა და სათიბთა, სალოცავთა და სარიტუალო ადგილთა ...) სახელწოდებანი, ჩვეულებრივ, "ხანდაზმულობით" არ გამოირჩევიან, მომდევნო ასწლეულებს მათი მხოლოდ მცირე ნაწილი აღწევს, მნიშვნელოვანი ნაწილი კი

ქრება ან იცვლება ისტორიულ-ეკონომიკური თუ სოციალური პირობებისა და მოსახლეობის ცვლასთან ერთად, ან, უბრალოდ, ახალ-ახალი თაობების მიერ სახელსადები ობიექტის ნიშან-თვისებათა განსხვავებული თვალთახედვით შეფასების, ახლებური აღქმის შესაბამისად, ან კიდევ იმ მიზეზით, რომ ობიექტმა და, მაშასადამე, მისმა სახელმაც დაკარგა ადამიანთა კოლექტივისათვის აუცილებელი საჭიროების სტატუსი. ამდენად, მიკროტოპონიმა წარმოქმნა მუდმივად განახლებადი პროცესია. მათი ერთი ნაწილი სულაც საზოგადო და საკუთარ სახელთა მიჯნაზე დგას, ე.ი. ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ ონიმად ქცეული. ამგვარ აღმნიშვნელთა ტოპონიმურობის ხარისხი კი მინიმალურია. მაგრამ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, ყველა მაკროტოპონიმი და საკუთრივ ტოპონიმი გადის მიკროტოპონიმურობის საფეხურს.

ტოპონიმური მასალა აქტიურად გამოიყენება როგორც გარეგნობრივი (მხარის ისტორიული წარსულის, ხალხის სამეურნეო საქმიანობის, ეთნოგრაფიული ყოფის, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების), ისე შიდაგნობრივი (ენის ფონეტიკურ-სიტყვაწარმოებითი და ლექსიკური) და საკუთრივ ტოპონიმიკური (სახელდებით-მოტივაციური) ინფორმაციების მოსაპოვებლად. ამის კვალდაკვალ დიალექტური ტოპონიმიაც (მიკროტოპონიმი) შეისწავლება, ერთი მხრივ, ლექსიკისა და ფონეტიკა-გრამატიკის, მეორე მხრივ - საკუთრივ ტოპონიმიკის დონეზე. პირველ შემთხვევაში მიკროტოპონიმმა შეიძლება გამოავლინოს დიალექტისათვის დამახასიათებელი ლექსიკური და ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებანი, ამოატივტივოს სხვა დიალექტიდან ნასესხობანი თუ საზოგადო ლექსიკისათვის უცნობი არქაიზმები და ინოვაციები, ან დაადასტუროს უკვე ცნობილი დიალექტური ფაქტები და მოვლენები (დავასახელებთ კუმშვისა და კუმშვა-კვეცის რამდენიმე საინტერესო მაგალითს წინამდებარე ლექსიკონიდან: ბაჯიხევში ადგილს ეწოდება **შიდაველა**, მისგან წარმოქმნილია ტოპონიმები: **შიდავლითაფი**, **შიდავლიწყალი** და სხვ. სოფ. ჩორდში დაფიქსირებული **ციხაძირთავისათვის** კი ამოსავალია **ციხაძირი**. შდრ. ცნობილი მაგალითები: კარი → კარის, ბერი → ბერის, მაგრამ: ჭიშკარი → ჭიშკრის, ხიდიკარი → ხიდიკრის, დედაბერი → დედაბრის. ასევე საინტერესო მაგალითებია: **ბუგსუკანი** → **ბუგსუკნები**, **ტბათანი**

→ ტბათნის ქოხები, გლოეთანა → გლოეთნები და სხვ. მრ.). მეორე შემთხვევაში, ე.ი. საკუთრივ ტოპონიმიკური ასპექტით კვლევისას, შეიძლება გამოვლინდეს ჰუმბოლდტისეული “ენობრივი მსოფლხედვის” ლოკალური (რეგიონული) ნიუანსები, რომლებიც საფუძვლად ედება გეოგრაფიული ობიექტის სახელდების პრინციპს.

ტოპონიმია, განსაკუთრებით მიკროტოპონიმია, ერთგვარი მაღაროა ჯერ კიდევ დაუფიქსირებელი დიალექტური ლექსიკური მარგალიტების მოსაპოვებლად. არცაა დასამალი, რომ ქართველურ ენათა ერთი დიალექტიც კი არ მოგვეპოვება, რომელიც ლექსიკური თვალსაზრისით ამომწურავად იქნებოდა შესწავლილი. ასეთ ვითარებაში დიალექტურ მიკროტოპონიმიას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. წინამდებარე მცირე მიკროტოპონიმურმა მასალამ გამოავლინა რაჭულისათვის დამახასიათებელი მრავალი ლექსიკური ერთეული. დავასახელებთ ზოგიერთს: **გაბუწვილი** – ერთმანეთს გადაბმული; **კართბა** – კარბივით ვიწრო გასასვლელი, კლდოვანი ვიწრობი; **კოდი** – კლდე; **მოხიდული** – მორების მიჯრით გაკეთებული გზა ტალახებში; **მწვრელი** – მღვიმე, გამოქვაბული; **ალთამი** – თივა, ტოტზე გაწყობილი სათივეზე ჩამოსატანად. რამდენიმე ალთამი შეადგენს ერთ ბაქანს; **ბაქანი** – თივის პატარა ზვინი, ბზის ტოტით მოთრეული სათივემდე. ერთ ჩვეულებრივ ზვინს სჭირდება 5-6 ბაქანი; **ამწვარი** – ნახანძრი, დამწვარი ტყე; **აშვებული** – ტყე, რომელსაც აუშვებენ, არ ქრიან; **ბაგა** – თივის გამოსატანად ხარებისათვის თოვლში გაკეალული გზა; **ბაგარა** – მსხლის ჭიში ერთგვარი; **საქანელი** – შურო, ხის “დასაქანებელი” ღარი; **ფრატე** – “ძალიან დაბეგებული, კედელივით ამართული” (ინფორმატორის განმარტება. შდრ.: ფლატე) და სხვ.

რ ა ჭ ა საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხეა. იგი მდებარეობს რიონის ზემოთში და შემოზღუდულია კავკასიონის მთავარი ქედითა და მისი განშტოებებით (ლენჩხუმისა და რაჭის ქედებით), რის გამოც იყო “შეუალი გარე მტრისაგან” (ვახუშტი ბატონიშვილი). ამ და სხვა გარემოებათა გამო რაჭასა და რაჭველებში “ქართული ენა და ზნე-ჩვეულება დაცულია უფრო წმინდად, ვიდრე სხვაგან” (აკაკი წერეთელი).

რაჭას ესაზღვრება: ჩრდილოეთით (კავკასიონის მთავარი

წყალგამყოფის გადაღმა) - ჩრდილოეთი ოსეთი (გადასასვლელი ძირითადად მაპისონის უღელტეხილით), აღმოსავლეთით - სამხრეთი ოსეთი (ისტორიული შიდა ქართლი), სამხრეთით - იმერეთი, დასავლეთით - ლეჩხუმი, ჩრდილო-დასავლეთით - ქვემო სვანეთი. ადმინისტრაციულად მოიცავს ამბროლაურისა და ონის რაიონებს, ხოლო ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ქმნის სამ არეალს: 1. მთის რაჭა - რივნისთავისა და ჭანჭახის აუზები (ღების, ჭიორისა და გლოლის საკრებულოებში შეშავალი სოფლებით). ეს მიკრორეგიონი დასახლებული ყოფილა ძველი ქვის ხანიდანვე. გონისა და ღების მიდამოებში ბრინჯაოს წარმოებას მისდევდნენ ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანაში. შუა საუკუნეებში ამჟამინდელი მთის რაჭა ეკირათ სვანებს, ხოლო რაჭველები აქ მე-15 საუკუნიდან დამკვიდრდნენ; 2. ზემო რაჭა - რიონის აუზი უწერიდან ხიდიკრამდე, რომელიც ამბროლაურიდან რამდენიმე კმ-ზე მდებარეობს; 3. ქვემო რაჭა - რიონის აუზი ხიდიკრიდან იმერეთ-ლეჩხუმამდე.

რაჭული კილო იყოფა ოთხ კილოკავად: 1. რივნისთაური (ღებელთა და ჭიორელთა მეტყველება); 2. გლოლური; 3. ზემორაჭული; 4. ქვემორაჭული.

მთის რაჭა მე-15 ს. საბუთებში მთიულეთად მოიხსენიება. ღებელები, ჭიორელები და გლოველები დღესაც თავიანთ თავს მთიულებს უწოდებენ. "ჭიორულ-ღებურში ... სვანურის გავლენის თუ სვანურის სუბსტრატის კვალი შეიმჩნევა" (ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 500). მაგრამ სვანური ტოპონიმური სუბსტრატი (თუ სუპერსტრატი?) გვხვდება უფრო ფართო ტერიტორიაზე - რიონის მარჯვენა მხარეს, საგლოლოს ქვემოთ, აგრეთვე უწერის შემოგარენსა და საკაურის ხეობაში. ზემო რაჭაში სვანური ტოპონიმების საკითხს შეჰხებიან ალ. ონიანი ("ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები", თბ., 1983), გ. გასვიანი ("ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან", თბ., 1991) და სხვ. ბ. თავაძე აღნიშნავს: "ზემო რაჭაში (და არა მარტო აქ) სვანური წარმომავლობის ტოპონიმების დაშვება არა თუ შესაძლებელია, არამედ უტყუარი ფაქტია და ზემო რაჭა მოფენილია სვანური ტოპონიმებით" (იხ. ბ. თავაძე, ცხოვრობდნენ თუ არა როდისმე აფსუები ზემო რაჭაში. გაზ. "რაეო", 1, 2003, გვ. 5). რიონის მარცხენა შენაკადების -

ჩვეშურის, ჭანჭახის, გომრულის, დარულის - ზემოთებში შეინიშნება ოსური ტოპონიმური სუპერსტრატის გლობალური გავრცელება ჩანს, ისტორიულად ხევთან და მთიულეთთან იყო დაკავშირებული. ეს ვარაუდი ემყარება როგორც ხალხურ გადმოცემებს, ისე ფოლკლორულ და მუსიკალურ ანალოგებს, აგრეთვე დიალექტურ იზოგლოსებს. "სრულიად განცალკევებით დგას გლობალური. მასში საკმაოდ მკვიდრად დაცულია გრამატიკული არქაიზმები (სახელის მრავლობითობის -ნ ნიშნის ხშირი ხმარება, ნამყოში III პირის მრავლობითობის -ეს სუფიქსის შემონახვა, შემასმენლის შეთანხმება ნ-არიან ობიექტთან, გამონაყოფთა გვარების წარმოება და სხვ.), რაც გლობალურს ამჟამად მთის კილოებთან და ისტორიულად აღმოსავლურ დიალექტებთან აახლოებს" (ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 500).

ტოპონიმიაში, როგორც ცნობილია, უკუფენილია არა მარტო მისი შემქმნელი ხალხის ისტორიული წარსული, ეთნოგრაფიული ყოფა, სამეურნეო საქმიანობა, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, არამედ, აგრეთვე სხვა ენებთან და დიალექტებთან კონტაქტების შედეგებიც. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხელშესახებია ნახური ენობრივი სუბსტრატი, განსაკუთრებით საკუთარ სახელებში. დადგენილია, რომ თუშეთის, ხევსურეთის, ფშავის, მთიულეთის ტოპონიმიაში დადასტურებულია ლო-, გო-, ჩო- დაბოლოებანი ნახური სუფიქსებია. ისინი უჩნდება სახელებს ე.წ. ლოკატივებში, ანუ ადგილობით ბრუნვებში. ამ შემთხვევაში მათ დაერთოდა -ჰა სუფიქსი. მაშასადამე, ლო ← ლოჰა, გო ← გოჰა, ჩო ← ჩოჰა. ესენი ქართული -თანა, -ში თანდებულების ეკვივალენტებია. -თანა სუფიქსი მხოლოდ აღმ. საქართველოს მთის დიალექტებში გვხვდება (ტოპონიმებია: ქვათანა, კალოთანა, თეთრწყალთანა, კრელქვათანა და სხვ.), და, მაშასადამე, ნახურის კალკია (თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ., 1966, გვ. 90-დან). ეს კალკი, როგორც ჩანს, ზემორაჭულს მთიულურიდან აქვს შეთვისებული (როგორც ზემოთაც აღინიშნა, ზოგი დიალექტური იზოგლოსა მთარაჭულსა და მთიულურს ერთ დიალექტურ წრეში აერთიანებს). წინამდებარე ლექსიკონში დაფიქსირებულია რამდენიმე ათეული -თანა// -თანი სუფიქსიანი მიკროტოპონიმი.

ისინი უმეტესად რიონის მარცხენა მხარის სოფლებში გვხვდება: ქიორაში (გლოეთანა, საკირეთანა, ფაცხათანა, აზანეთანა), გლოლაში (არყათანა, ბალთათანა, თელათანა, კარათანა), ცხმორსა და ფსორაში (ტბათანა, ჭალათანა, თეთრათანა, ცხემლათანა, ფსხვილათანა, წითელათანი, ქორიბუდეთანი, კვერცხათანი) და სხვ. ამგვარი სახელწოდებანი დები-რიონისთავისა და რიონის ხეობის მარჯვენა მხარის სოფლებში უფრო იშვიათია. -თანა// -თანი ნათანდებულარი სუფიქსებით წარმოების ანალოგიური ჩანს -უკანი, -ქვეში ნაზმნიზედარი სუფიქსებით წარმოება: ბრილიზურგსუკანი (ღები), ზურგსუკანი (გონა), კლდისუკანი (ლაგვანთა), ჯვართუკანი (ხიდესლები), ლაქიაქვეში, მუხაქვეში (ღუნდა), ქვაბთქვეში (გომი) და სხვ. (არაა გამორიცხული, ნაზმნიზედარი სუფიქსებით ტოპონიმთა წარმოება ქართული ენის შინაგანი განვითარების კანონზომიერებითაც იყოს განპირობებული).

აქვე უნდა დაისვას ონსზემოთა რიონის ხეობაში დაფიქსირებული -შო დაბოლოებიანი მიკროტოპონიმების საკითხიც. ნახურში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, -სო, -შო (← -ჩო) წარმოადგენენ წარმომავლობის სუფიქსებად ქცეულ ზმნიზედებს და ქართული აქეთ, გამოდმა ზმნიზედების მნიშვნელობა აქვთ (თრუსო - ქედი ყაზბეგის რ-ნში; ხარტიშო - სოფელი დუშეთის რ-ნში; ქანიშო - სოფელი ფშავში და სხვ. იხ.: თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 103). შეიძლება დავსვათ საკითხი: ხომ არ შეითვისა ეს -შო ისტორიულ წარსულში რაჭულმაც? წინამდებარე ლექსიკონში დაფიქსირებულია: თევრეშო (ღები), კირტიშო (გონა), ყიარიშო, წყალშო (პ. ღები), გორშო (ქიორა), კოზმანტეშო (საკაო), ტბეშო, ჭედელიშო (ბორცო), გერგმეშო (ბაჯიხევი) და სხვ.

ცხადია, საგანგებოდაა შესასწავლი რაჭული დიალექტის სიტყვიერი ფონდის მიმართების საკითხი არა მხოლოდ ქართული დიალექტების, არამედ აგრეთვე სვანურისა და კოლხურის (მეგრულ-ლაზურის) ლექსიკასთან. ერთი მაგალითი: ორი რაჭული სიტყვა აღმოჩნდა არაუშუალო კონტაქტირების კოლხურენოვანი რეგიონების - სამეგრელოსა და სამურზაყანოს - ტოპონიმიაში. ესენია ფარი და ხილი, რომელთა მნიშვნელობა მეგრულად მეტყველთათვის უცნობია. წალენჯიხის რ-ნის

მთისძირა სოფელ მედანში სამოვარ ფერდობს, რომელიც აუყვება
ორ არალრმა ხევს, ეწოდება ფარი. მისი განმარტება შესაძლებელი
გახდა მხოლოდ რაქის ტოპონიმიზე დაყრდნობით: ზემო რაქაში
ფარი საზოგადო სიტყვაა, აღნიშნავს სათიბს დიდი დაქანების
ფერდობზე, მთის კალთაზე, და მიკროტოპონიმიშიც ხშირად
დასტურდება (მაგალითად: ლებსა და რივნისთავში სამეურნეო
დანიშნულების ობიექტებს ეწოდებათ: გოგიენფარები, ვეძიფარი,
კაცელეფარი, საკრავე ფარი, სალატიფარი, სასოფლო ფარი,
წყაროფარი, ჯავახიანფარი და სხვ.). ქველ-სა და "ქართულ კილო-
თქმათა სიტყვის კონაში" ფარ- ლექსემის ეს მნიშვნელობა არაა
აღნიშნული. აშკარაა, მეგრულშიც და რაჭულშიც ფარი იდენტურ
გეოგრაფიულ ობიექტებს აღნიშნავს, და, მაშასადამე, ან
ნასესხობაა, ან შემორჩენილია საერთო ქართველური ლექსიკური
ფონდიდან ბგერათშესატყვისობის ჩამოყალიბების გარეშე. ხოლი
მთარაჭულში აღნიშნავს აღმართს, ფერდობს, რომელზეც გზა
გადის (შდრ. ვ. ბერიძე: ხოლი - აღმართი გზაზე) და ხშირია
მთარაქის მიკროტოპონიმიში (მაგალითად: დიდხოლითავი და
ხოლები - ლებში, ასარბენი ხოლი - გონაში, ხოლი - ქიორაში და
სხვ.). ბუნებრივია, ჩნდება ასოციაცია გალის რაიონის სოფელ
ხოლე-სთან, რომელიც მდებარეობს ბორცვზე, მაღალი
აღმართების თავზე.

რაქის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კვლევის
საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი ცნობილ
მეცნიერებს - მარი ბროსეს, ე. თაყაიშვილს, ს. მაკალათიას, თ.
ეორდანიას, გ. ბოჭორიძეს, გ. გობეჯიშვილს, ლ. ფრუიძეს, სპ.
რეხვიაშვილს, თ. ბერაძეს, რ. და შ. ქელიძეებს, ა. კიკნაძეს, ვ.
გობეჯიშვილს და სხვ., ხოლო რაჭული დიალექტის შესწავლის
საქმეში - ა. შანიძეს, შ. ძიძიგურს, ა. კობახიძეს, ვ. თოფურიას, ბ.
ჯორბენაძეს, ს. ჭიჭინაძეს და სხვ. 1959 წელსაა დაბეჭდილი მ.
ალავიძის "ქვემორაჭული ტოპონიმიკური ლექსიკონი" (ქუთაისის
პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVII). 2002 წელსაა
გამოცემული მ. კვხევაძის "ქართული გვარსახელები რაქაში (XIX
ს. 40-იანი წლები)". რაქის ტოპონიმიის მასალა შეკრებილი
(მაგრამ, სამწუხაროდ, გამოუცემელი) აქვს ლ. ფრუიძესაც.
გამომცემლობა "რაეო" (მთავარი რედაქტორი ბონდო გაგნიძე)
სცემს ე.წ. "გულით სატარებელს" - წიგნაკებს ამა თუ იმ სოფლის



ტოპონიმთა ნუსხით. ამ სერიით უკვე გამოვიდა: "ღები" (ავტორი სპ. რეხვიაშვილი), "ქიორა" (ს. ქიორელი), "ქვედი" (ბ. გაგნიძე), "წედისი" (ბ. გაგნიძე), "ქორთა" (კ. გოგლიძე), "ფუტიეთი" (ა. გიორგობიანი), გამოსაცემად გამზადებულია გლოლის, ბაჯიხევის, ირის, ბარის, ხოტევის, ლაგვანთის ტოპონიმების მასალები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გაზეთი "რაეო", რომელიც თავის ფურცლებს ხშირად უთმობს რაჭის ტოპონიმებისა და ანთროპონიმების მასალებს. უნდა აღვნიშნოთ: ზემოთ დასახელებულ "გულით სატარებლებში" გამოირჩევა "ქორთა", სადაც ავტორს შესაშური სიზუსტითა და სისრულით აქვს ლოკალიზებული სახელდებული ჰიდროგრაფიული ობიექტები. დავასახელებთ ორიოდ მაგალითს: „ბჟინაულა – წყაროს წყალი, რომელიც გამოდის მღვდლები მეტრეველების ნამოსახლარის ბოლოდან და უერთდება გაღმიანთების უბნის ბოლოს მდ. ქეოს მარჯვენა მხრიდან“; „ჭეთ – მდინარე, რომელიც წარმოადგენს სოფლის წყაროების, წყაროსწყლების აუზს და გამოედინება შვლივიწყაროს სამხრეთ-დასავლეთის გორის ქვეშიდან. უერთდება გედევანა ტომარაძის წისქვილების ქვეშ მდ. ხეორს“; „წკანტის წყარო – წყაროს წყალი, რომელიც წკანტში უერთდება კურკულას მარცხენა მხრიდან“.

1976-77 წლებში თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმოკური კვლევის ცენტრის (ამჟამად: ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია) თანამშრომლებმა ფ. მაკალათიამ და ვ. ჯოჯუამ განახორციელეს რაჭის მიკროტოპონიმის (საკუთრივ ტოპონიმია და მიკროტოპონიმია ისედაც ცნობილია სხვადასხვა ისტორიული წყაროებითა და ადმინისტრაციული დაყოფის ცნობარებით) თავდაპირველი დაზვერვითი აღწერა, რის შედეგადაც სოფლების მიხედვით შეადგინეს მიკროტოპონიმთა სია (20 ათასზე მეტი ერთეული) სახელდებული ობიექტების სახეობის (მთა, წყარო, სათიბი, კლდე და ა.შ.) მითითებით. ივარაუდებოდა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ შედგებოდა უფრო ხანგრძლივი სავლევ ექსპედიცია, რომელიც თითოეულ სოფელში იმუშავებდა რამდენიმე დღეს და ყველა მიკროტოპონიმზე შეავსებდა სპეციალურ კითხვარს, სადაც გათვალისწინებულია კვლევისათვის



აუცილებელი ისეთი ინფორმაციების მოძიება, რომლებიც ხელს შეუწყობდა: 1. სახელდებული ობიექტის ზუსტ, დაწვრილებით ლოკალიზაციას ("მიბმას" სოფლის, უბნის, ხეობის, მთის ... მიხედვით); 2. ამოსავალი ფუძისა (ფუძეების) და მისი (მათი) მნიშვნელობის დადგენას; 3. სუბიექტის ნომინაციური თვალთახედვის (სახელდების მოტივის) გამოვლენას. ამის გარდა, იგულისხმებოდა ტოპონიმთან დაკავშირებული ყოველგვარი სხვა ინფორმაციის ჩაწერა მაშინაც კი, როცა ტოპონიმის ინფორმატორისეული განმარტება აშკარადაა დაკავშირებული გადააზრებასთან, ე.წ. ცრუ ხალხურ ეტიმოლოგიასთან და ა. შ.

სამწუხაროდ, მკვეთრად შეცვლილი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გამო ექსპედიციების გაგრძელება და მოპოვებული მასალის ახალი მონაცემებით შევსება-დაზუსტება ვერ მოხერხდა. მხოლოდ 1997-98 წლებში შეძლო ლაბორატორიის ორმა თანამშრომელმა (პ. ცხადაიამ და ვ. ჯოჯუამ) ტოპონიმიკური ექსპედიციების მოწყობა ამბროლაურისა და ონის რაიონებში. ამ პერიოდში დაზუსტდა რამდენიმე ათეულ სოფელში 20 წლის წინათ შედგენილი ნუსხა, შეივსო იგი ახალი მასალით, თითოეულ მიკროტოპონიმზე (შეძლებისდაგვარად) მოპოვებულ იქნა როგორც ენობრივ-დიალექტური, ისე ისტორიულ-ეთნოგრაფიული და მოტივაციური ანალიზისათვის საჭირო მონაცემები.

კომპოზიტურ მიკროსახელწოდებათა დიდი ნაწილი, ჩვეულებრივ, გამოხატავს განკუთვნება-ვისობას ან გეოგრაფიულ-სივრცით მიმართებას. ასეთ შემთხვევაში პირველი კომპონენტი წარმოადგენს ანთროპონიმს, კერძოდ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, გვარსახელს ან გვარის განაყოფის (ოჯახის, შტოგვარის) სახელს მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით. რივნისთაურ და გლოლურ კილოკავებს ახასიათებთ გვარსახელისა და შტოგვარების ("ბაბუიშვილთა") სახელების სპეციალური წარმოება: გლოლურში გამოიყენება კრებითობის -ეთ სუფიქსი. სახელობითში მას დაერთვის -ნ, ოღონდ იგი არაა აუცილებელი. ამის გამოგვხვდება პარალელური ფორმები: გოგიჩეთნი//გოგიჩეთი (გოგიჩაშვილები), გიორგიეთნი

//გიორგიეთი (გიორგაშვილები) და სხვ. ნათესაობით ბრუნვაში, რომელიც კუთვნილებას გამოხატავს, თავს იჩენს ოდენ - ეთ, რომლის თანხმონითი ნაწილი არაიშვიათად იკარგება კიდეც: გიორგიეთ ვაჟები//გიორგიევაჟები... ერთგვარად განსხვავებული ვითარებაა რივნისთაურში, ანუ ლებურ-ქიორულ კილოკავში, სადაც გვარტომობის სახელები იწარმოება - იან და - ენ სუფიქსებით, რომლებიც ხშირად პარალელურ ფორმებშიც ჩანს: გოტოიანი//გოტონი, პაატიანი//პაატენი (-იან კვეცს წინამავალ - ა ხმოვანს): პაატა → პაატიანი, ხოლო -ენ სუფიქსის -ე კი სრულად იმსგავსებს მას: პაატა → პაატაენი → პაატეენი (ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989, გვ. 416-418. იხ. მისივე: "შტო-გვარის სახელთა წარმოების პრინციპები ქართველურ ენებში": ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995, გვ. 424-433). ზემოთ აღნიშნული ვითარება ასახულია მიკროტოპონიმიაშიც.

ონის რაიონში ნრ სოფელია. წინამდებარე სალექსიკონო მასალაში შესულია ლების, ქიორის, გლოლის, უწერის, საკაოს, გომის, ღარისა და ცხმორის საკრებულოებში (ყოფილ სასოფლო საბჭოებში) შემავალი სოფლების დიდი თუ პატარა, ბუნებრივი თუ ხელოვნური ობიექტების სახელწოდებანი (სოფლები ანბანის რიგზე: ბაჯიხევი, ბორცო, გლოლა, გომი, გონა, ლაგვანთა, მაჭიეთი, ნაკიეთი, ნიგავზები, პატარა ლები, საკაო, უწერა, ფარავნეში, ფსორი, ღარი, ლები, ლუნდა, შოვი, ჩორდი, ცხმორი, წმენდაური, ქიორა, ხიდეშლები, ჯინჭვისი; ნასოფლარები: კვაჟა, ლესორა).

ლექსიკონის აგებულება:

1. სათაური სიტყვა წარმოადგენს გეოგრაფიულ სახელწოდებას, რომელსაც ახლავს (ტირეს შემდეგ) სახელდებული ობიექტის სახეობის განსაზღვრა (მდინარე, წყარო, მთა, ჭალა, გზა... სოფელი, უბანი, სათიბი, ხიდი...). ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ზემო რაჭაში დენოტატს (სახელდებულ ობიექტს) ძირითადად განსაზღვრავენ მისი სამეურნეო დანიშნულების მიხედვით, მაგალითად, გოგირდიწყალი, უპირველეს ყოვლისა, არის საძოვარი, მზითი ვაკე - სათიბი, კოდუნეები - საძოვრები, ეწრიგორა - ტყე, გამოლმა მთა - სათიბ-საძოვრები და ა.შ. სახელდებული ობიექტის



სახეობის განსაზღვრისას ჩვენც უპირატესობა **სწორედ ინფორმატორისეულ** თვალთახედვას მივანიჭეთ.

2. დენოტატის განსაზღვრას მოსდევს მისი **ლოკალიზაცია**, ე.ი. სივრცობრივი დაკავშირება სხვა, ჩვეულებრივ, უფრო დიდ (იშვიათად მცირე) ობიექტთან, როგორცაა: უბანი, მთა, მდინარე (მარცხენა თუ მარჯვენა მხარე), ხეობა და ა.შ. **ლოკალიზაცია** პასპორტიზაციას ნიშნავს. აუცილებელია, აღინიშნოს სახელდებული ობიექტის მიმართება რომელიმე (თუნდაც ერთ) სხვა ობიექტთან (მაგ.: **საროკავა** – უბანი ჩვეშურის მარჯვ. მხარეს; **საკრავა** – სათიბი ბოყოსწყლის მარჯვ. მხარეს; **საჯვარე** – ბორცვი შალიკიანთ უბანში და ა.შ.) ან ორ (იშვიათად სამ) ობიექტთან (მაგ.: **კდუთანა** – ტყე რიონის მარცხ. ნაპირას, მუშუანის შესართავის პირდაპირ; **ნაბოხლი** – საძოვარი კირტიშულის ხეობაში, ხვარძახეთის მთის ძირას; **სახულია** – შურო ჩვეშურის მარცხ. მხარეს, ველების ბოლოში და ა.შ.).

3. ბრჭყალებში მოცემულია ინფორმატორისეული განმარტებანი ამოსავალ ფუძესა და სახელდების მოტივთან დაკავშირებით (მაშინაც კი, როცა ეს “განმარტებანი” აშკარად გადააზრების შედეგია და, მაშასადამე, ე.წ. ცრუ ხალხურ ეტიმოლოგიას წარმოადგენს).

სახელწოდების (ფონეტიკური, ლექსიკური, სიტყვაწარმოებითი) ვარიანტების არსებობის შემთხვევაში სახელდებული ობიექტის განსაზღვრა და **ლოკალიზაცია-მოტივირება** მოცემულია ძირითად ერთეულად მიჩნეულ ფორმასთან, ხოლო სხვა ვარიანტები სათანადო მითითებით (იხ.) გატანილია თავისი ანბანის რიგზეც. ტოპონიმის შიგნით, თავში ან ბოლოში მრგვალ ფრჩხილებში მოთავსებული ერთი ან რამდენიმე ასო-ნიშანი აგრეთვე ვარიანტულობაზე მიუთითებს: ზოგი მთქმელის მეტყველებაში სათანადო ბგერა (ბგერები) არაა წარმოდგენილი. მაგალითად: **(მ)ბღაჯანა** შეიძლებოდავ ასეც დაგვეწერა: **ბღაჯანა//მბღაჯანა** ხოლო **სასახლე(ები)** ასეც შეიძლებოდა წარმოგვედგინა: **სასახლე//სასახლეები** და სხვ. დუბლეტური (განმეორებადი) ტოპონიმები წარმოდგენილია ციფრებით ერთი სათაურ სიტყვასთან. მაგალითად: **დიდახო** – 1. საძოვარი ოჭაში (ღარი); 2. სათიბი კვირიკაშვილების უბანში (ცხმორი); 3 სათიბი ქალებისწყლის მარცხ.

მხარეს (ბაჭიხევი) და სხვ. სიგრძივ ობიექტებთან (მდინარე, სერი...) მითითებულია რამდენიმე სოფელი ან სათანადო ტერიტორიული ერთეული, რომელთანაც მას შეხება აქვს, მაგალითად: საკაურა - რიონის მარჯვ. შენაკადი (ლაგვანთა, საკაო, მაჭეთი, ხიდშლები).

სპეციალურად აღნიშნავთ ერთ გარემოებას: თითოეულ სოფელში, ხეობაში საშუალოდ ასზე მეტი მიკროობიექტი არის აღნიშნული საკუთარი სახელით. ყველა ამ ობიექტის დათვალიერება და მისი ადგილმდებარეობის ზუსტი პარამეტრების ვიზუალური დადგენა შეუძლებელი არ არის, მაგრამ საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. ამიტომაც არაიშვიათად ვიყავით იძულებული, მთლიანად დავერდნობოდით მთხრობლის ინფორმაციას. მეორე მხრივ, საკრებულოში შემავალ სოფლებს შორის ოფიციალური მიჯნა ზუსტად დადგენილი არც არის, რის გამოც რესპონდენტები ყოველთვის ზუსტად ვერ უთითებენ, თუ რომელი სოფლის კუთვნილებაა ესა თუ ის სახელდებულ ობიექტი. ყოველივე ამის გამო არაა გამორიცხული, ზოგი ობიექტის განსაზღვრასა და ლოკალიზაციას სიზუსტე აკლდეს.

სახელდებულ ობიექტის განსაზღვრისა და ლოკალიზაციის შემდეგ მრგვალ ფრჩხილებში მითითებულია დასახლებული პუნქტი, რომლის ტერიტორიაზეც ან შემოგარენში (არაიშვიათად ძალზე შორს, 10-12 კმ-ზე) მდებარეობს ეს ობიექტი. მაგალითად, სოფლის სახელწოდება ჭიორა გამოყენებულია "მისამართად" არა მარტო საკუთრივ ჭიორის, არამედ ძალზე ვრცელი ტერიტორიის (აღმოსავლეთით ჭავის რ-ნის საზღვრამდე, ხოლო დასავლეთით - შოდის ქედამდე) მიკროობიექტებისათვის. ოთხ შემთხვევაში სოფლის ნაცვლად მითითებულია ხეობა (მაგ.: რივნისთავი - იგულისხმება რიონის აუზი სოფ. ლებიდან სათავემდე; ჩვეშურა - მდ. ჩვეშურის აუზი სოფ. გონიდან რაჭის კავკასიონამდე; დარულ - მდ. დარულის ზემოთი; გომრულა - მდ. გომრულის ზემოთი).

როგორც ზემოთ აღნიშნულია: ა) ლექსიკონში წარმოდგენილია ტოპონიმთა ვარიანტებიც, რომლებიც ანბანის რიგზე ცალკე ერთეულადაც არის გატანილი. ეს ვარიანტები მეტად ფასეულია დიალექტსა და კილოკავში (ზოგ შემთხვევაში, თქმაშიც) ფონეტიკური პროცესების მიმდინარეობისა და მისი შედეგების შესასწავლად; ბ) ზოგი ტოპონიმი მეორდება რამდენიმე სოფელში.

ასეთ შემთხვევაში იგი დასახელებულია ერთხელ და შემდეგ ჩამოთვლილია სახელდებული ობიექტები და მოცემულია მათი თანხლები ინფორმაციები.

ტოპონიმთა მართლწერა:

რთულ ტოპონიმთან დაკავშირებით ყველა ენაში დგება მართლწერის საკითხი, კერძოდ: როგორ დაიწეროს მისი კომპონენტები - ერთად (შერწყმულად, ერთ სიტყვად) თუ ცალ-ცალკე (ორ, სამ სიტყვად)? შესაძლოა, ყველა წვრილმანი არ იყოს გათვალისწინებული, მაგრამ ორთოგრაფიული ტრადიციებისა და ენის ფუნქციონირების ზოგადი ტენდენციების გათვალისწინებით ქართულში შემუშავდა ორ- და მეტკომპონენტიან საკუთრივ ტოპონიმთა და მაკროტოპონიმთა (დიდი ობიექტების სახელთა) მართლწერის წესები, რომლებსაც ემყარება ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარები, ქართული ორთოგრაფიული ლექსიკონები და ენციკლოპედიები. წინამდებარე ლექსიკონი შედგენილია მიკროტოპონიმთა მართლწერის იმ პრინციპების დაცვით, რაც გატარებულია თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმიკური კვლევის ცენტრის (ამჟამად: ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია) მიერ 1987 წელს გამოცემულ "საქართველოს სსრ ტოპონიმიის" I ტომში, რომელიც ზემო იმერეთის მასალას დაეთმო (რედაქტორი აკადემიკოსი შ. ძიძიგური; შემდგენლები: ი. ბაქრაძე, შ. აფრიდონიძე, ვ. ჯოჯუა). დაინტერესებული მკითხველი ამ პრინციპების თეორიულ დასაბუთებას იპოვის შ. აფრიდონიძის სპეციალურ სტატიაში "რთული შედგენილობის მიკროტოპონიმთა მართლწერისათვის" (იხ. "ქართული სიტყვის კულტურის საკითხები", წიგნი მეხუთე, თბ., 1983) და "საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონის" (თბ., 1987) წინასიტყვაობაში. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ძირითადი დებულებები ასეთია:

რთული გეოგრაფიული სახელწოდება, როგორც გაქვევებული ლექსიკურ-გრამატიკული ერთეული, იწერება შერწყმულად, ე.ი. ერთ სიტყვად, შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ პრეპოზიციული (საზღვრულის წინ დასმული) მსაზღვრელი გაცვეთილია, ე.ი. მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშანი ან ფუძისეული ბოლოკიდური. კერძოდ, მოკვეცილია:

ს ა ტ ა რ თ ვ ე ლ ო ს
პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს
ე რ ო მ ე ნ ო ლ ი
ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

ა) სახელობითი ბრუნვის ნიშანი: ახალველუკები, გძელყანა, დიდახო, თეთრკოდები, მალახიდი, მრგვალტბა და სხვ.

ბ) ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი (მხოლოდითსა თუ მრავლობითში) ან მისი მხოლოდ თანხმონითი ნაწილი: არსენფრატი, თედორეყანა, მეტრევიხიდი (← მეტრევის ხიდი), ბოსლიღლე, ერასტიქედი, დათვიგადმოსახედავა, ვეძიფარი, ვარდიგორიტა, თიკნიქალა, თოფისასროლია, გოგილაანვაკე, გოგიენბოსელი, კაცელეენსაშვები, გაგნიეფარი და სხვ.

გ) ფუძის ბოლოკიდური: ზედვაკე (← ზედა ვაკე), ქვეთხილუანი (← ქვედა თხილუანი), უკანქალა, წინუწერა (შდრ. წინა უწერა), წინეჩორეთი და სხვ.

2. თუ მსაზღვრელი (ზედსართავი სახელი, მიმღეობა) პოსტპოზიციურია (ე.ი. მოსდევს საზღვრულს): ველგძელა, გულდამწვარი, წყალწითელა, რუბოძალი, ქვაგახვრეტილი და სხვ.

3. თუ მართულ (ნათესაობით ბრუნვაში დასმულ) გაუცვეთელ მსაზღვრელს (საზოგადო თუ საკუთარ სახელს) მოსდევს საორიენტაციო დანიშნულების საზოგადო სახელი, რომელიც, ჩვეულებრივ, დამოუკიდებელ ტოპონიმად არ გვხვდება. იგულისხმება, პირველ რიგში, სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვები: თავი, ყელი, კისერი, პირი, შუბლი, წვერი, გვერდი, ფეხი, აგრეთვე: ძირი, ბოლო, კარი, ჯვარი და სხვ., მაგალითად: საყდრისკისერი, გუბისთავი, წოხისთავეები, აკავანისწვერი, გოგიეთისყელი, გორისბოლო ...

4. თუ ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი აღნიშნავს მცენარეს, ცხოველ-ფრინველს, საგანს (მაგ.: გუგულისწყარო, დათვისყანუკა), ან როცა სახელწოდების აპელატიური მნიშვნელობა არ შეესაბამება სახელდებული ობიექტის სახეობას (მაგალითად: თუ რკინისჯვარი ეწოდება არა საკუთრივ რკინის ჯვარს, არამედ მთას, ნიშს, სალოცავ ხეს, ან თუ ბლიხხიდი ეწოდება არა თვით ბლის ხიდს (რომლის კვალი შეიძლება არც ჩანდეს), არამედ მდინარეს ან წყლისპირს.

5. თუ ერთ-ერთი კომპონენტი ერთმარცვლიანია, ხოლო მთლიანად ტოპონიმი - მოკლე, მაგ.: ვაკეტყე, წოხისრუ, ქვაკაცი, ქვაციხე, ლორგოსქვა და სხვ.

გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: აპელატივები - წყალი, წყარო, ღელე, რუ ამჟღავნებენ გარკვეულ მიდრეკილებას.

შეერწყან საზოგადო სახელით წარმოდგენილ საზღვრულს, მაგ.
იოდისწყალი, თელისწყალი და სხვ.

ყველა სხვა შემთხვევაში რთული ტოპონიმის (და
მიკროტოპონიმის) კომპონენტები იწერება ცალ-ცალკე, ე.ი.
შეურწყმელად, ორ (ან სამ) სიტყვად.

დასასრულ, გულწრფელი მადლობა გვინდა გადავუხადოთ
ყველას, ვინც ხელი შეგვიწყო მასალის ჩაწერის ორგანიზებაში,
განსაკუთრებით, ბატონ თედო ისაკაძეს - რაქა-ლეჩხუმის
მაშინდელ გუბერნატორს, ონის რაიონის მაშინდელ გამგებელს -
რევაზ ნოდარიშვილს, შოვის ტურბაზის დირექტორს - გიორგი
ბიჭაშვილს, უწერის სანატორიუმის დირექტორს - ქ-ნ ნელი
გვარამაძეს, ღების, ჭიორის, უწერის, საკაოს, ღარის, ცხმორის
გამგებლებს - ვეფხია გავაშელს, ჭემალ რეხვიაშვილს, გიორგი
მეტრეველს, დავით ბერელიძეს, ამირან მეტრეველს, ვასილ
მაისურაძეს, გომის საკრებულოს მდივანს - ქ-ნ მაია ჯაფარიძეს,
აგრეთვე იაგო მიჭუჭაძესა და მის მეუღლეს - ქ-ნ ციალა გაგნიძეს,
მასწავლებელს, რომელიც თვითონაც ძალიან დაინტერესებული
ყოფილა ზემო რაქის ტოპონიმიითა და ანთროპონიმიით და
შეუკრებია საინტერესო მასალა, რომლის გამოქვეყნება ურიგო
არ იქნებოდა. ასევე უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ჩვენს
უანგარო მასპინძლებს - შოთა დარახველიძესა და ნონა
გორგასლიძეს, და, საერთოდ, ყველას, ვინც დაგვეხმარა 1976 წელს
ჩაწერილი მასალის დაზუსტებასა და შევსებაში,
მიკროტოპონიმთა ამოსავალი სიტყვების განმარტებაში,
სახელდებული ობიექტების გეოგრაფიული მდებარეობისა და
სახელდების მოტივების დადგენაში, სხვა საჭირო ინფორმაციის
მოძიებაში.

დარწმუნებული ვართ, ჩვენ მიერ აღწერილ სოფლებსა და მათს
შემოგარენში ათობით სხვა მიკროობიექტსაც აქვს თავისი
საკუთარი სახელი, მაგრამ თბილისიდან ამა თუ იმ სოფელში
მხოლოდ რამდენიმე დღით ჩასული ძალიან დაინტერესებული
მკვლევრისთვისაც კი ამ სოფლის ყველა სახელწოდების აღნუსხვა,
მათი დენოტატების გეოგრაფიული პარამეტრების ვიზუალურად
დადგენა და ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვება ფრიად
საძნელო საქმეა. ზოგ შემთხვევაში სულ რაღაც ორიოდვე ათეული
წლის წინათ ჩაწერილი მიკროტოპონიმი ვერ დავადასტურეთ -



ან გაქრა მომხმარებელთა მეხსიერებიდან, ან მის მცოდნეს ვერ მივაკვლიეთ; არც ისეთი შემთხვევა ყოფილა იშვიათი, როცა ინფორმატორი აცხადებს: ეს სახელწოდება გამიგონია, მაგრამ არ მახსოვს, სად და რას ერქვაო. ასე რომ, თითოეული, ვინც იმ ტერიტორიაზე, სადაც ჩვენ ვიმუშავებთ, ახალ მიკროტოპონიმებს აღმოაჩენს, ან ამ ლექსიკონში შესულ რომელიმე სახელწოდებაზე დამატებით ინფორმაციას მოიპოვებს და ამის შესახებ გაზეთ "რაიოს" რედაქციას აცნობებს, ფრიად სასარგებლო საქმეს გააკეთებს. მათ წინასწარ ვუხდით მადლობას მშობლიური კუთხით დაინტერესებისა და სასარგებლო ძიებისათვის.

**პატა ცხადიათ
ვიღებთ ჯოჯუა**

P.S. დროა, შედეგს და გამოაცხადოს საშუალოშუალო წინა - რაჭის (სხვა რაიონის) საქართველოს ყველა სხვა რეგიონის) ტოპონიმურ-ანთროპონიმული ენციკლოპედია, რომელშიც შევა კუთხის ყველა გეოგრაფიული სახელწოდება: გეოგრაფიული, პარასახელი (ვარაანტებით) და შეტსახელი. საამისოდ საქარია:

- ა) სრულად გამოვლინდეს სწავდასწავა ჩასათის წერილობით (მათ შორის საარქივო) წყაროებში დამოწმებულია თუ საშეცხვერო ლიტერატურაზე გაანალიზებული მასალა;
 - ბ) ადგილზე (სოფლებში, უბნებში) ზეპირი გამოკითხვას გზით აღინუხებო ყოველგვარი საკუთარი სახელი;
 - გ) მთელი მოძიებული მასალა შეჯამდეს და დახვეწოს სწავლულ ექსპერტთა მიერ შედგენილი სპეციალური პროგრამის საფუძველზე.
- მწელი საქმეა, მაგრამ საქარო და დროული.

პ.ც. აბრელი, 2003 წელი.

ა

- აბაზა - ტყე-საძოვრები ჩილორულის სათავესთან (ბაჯიხევი).
- აბანოები - ვაკე-ფერდობები წინა უწერაში. ინფ.: "უწინ სააბაზანოები ყოფილა. მაშინ დარქმევია" (უწერა).
- აბანოსთავი - გოგირდოვანი წყლის სათავე კვირიკაშვილების უბანში (ცხმორი).
- აბანოსწყლები - იხ. სასუნებელი.
- აბაშიანკარი - სახნავი ჩდილნაკიეთში. ინფ.: "ესახლნენ აბაშიანთები, ანუ აბაშიძეები" (ნაკიეთი).
- აბესალაშვილების უბანი//ზედაურები - მცირე უბანი საკაოს საზღვართან (მაჭიეთი).
- აბიდუა - ქანჭახის ორი მარცხ. შენაკადი ზედა ცვარისრუსა და ღურშევს შუა. ერთია - ქვედა აბიდუა, მეორე - ზედა აბიდუა (შოვი).
- აბუთაური - სათიბი ორდინიძეების უბნის განაპირას (ლარი).
- აბჯარა - ვაკე-სახნავი სოფლის განაპირას (ფარავენეში).
- ადაშაანთი - მიკროუბანი რუსიანთ უბანში (უწერა).
- ადაშაფარუკა - სათიბი მუხამეშში (პ. ლები). ფარუკა - პატარა ფარი. ფარი - სათიბი დიდი დაქანების ფერდობზე.
- ადღეღლაკვაიშური - საძოვარი, კვაიშურის ნაწილი, რომელიც ეკუთვნოდა ადიგელა გავაშელს (ლები).
- აზანეველი - იხ. აზანეთანა.
- აზანეთანა//აზანეველი - სახნავი რიონის მარცხ. ქალაში. ეკუთვნოდა გლოლელ აზანაშვილებს (გლოლა, ჭიორა).
- აკავანა - 1. სახნავი ზეხენიერში (პ. ლები); 2. საძოვარი სკოდორულის სათავესთან (უწერა); 3. სათიბი ღრჯამაში.

„აკვანივით ჩავარდნილი ადგილია“ (ჩვეშურა); 4. სამოვარი გომრულის მარჯვ. მხარეს. ინფ.: „მინდორია და გობის ფორმა აქვს“ (ჯინჭვისი); 5. სათიბი მაისურაძეების უბანში (ცხმორი); 6. მინდორი სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში (ნიგავზები) და სხვ.

აკავანა//აკავანეები – სამოვარი, ხევი. უერთდება რიონს ნაკიეთის საზღვართან (ლარი).

აკავანა//დიანოზის აკავანა – სათიბი ჩხოქურაში. ინფ.: „ორსული ქალი მოდიოდა საფოჩხავიდან და აქ იმშობიარა, გამოქვაბულში. ბავშვს დაარქვეს დიანოზი და ადგილსაც ეწოდა დიანოზის აკავანა. აკავანა აკვანია“ (შოვი).

აკავანეები – იხ. აკავანა.

აკავანისწყერი – მთა, სერი გომრულის მარცხ. მხარეს (გომი).

აღავედის ძვირი – სათიბი თევრეშოში. ინფ.: „ძვირი ნიშნავს ძნელად დასამუშავებელ ადგილს“ (ღები).

აღუქის თრშოები – ტყე ორშოებში (ჩორდი).

აღიკოს ნაკაფი – ტყე წმენდაურის საზღვართან (ლარი).

აღისტორაყანა – სახნავი კვათაში (გომი).

აღუკეეთი – სათიბი ქვედა სახაროში (ღები).

აღზანა(ანთ)სათიბი//აღზანაშვილების სათიბი – სათიბი ორდინიძეების უბანში (ლარი).

აღზანაშვილების სათიბი – იხ. აღზანა(ანთ)სათიბი.

აღნიეფარი – იხ. ფარები.

ამბაკოს ნასელვარა – სახნავი აკავანის გვერდით (ლარი).

ამბაღური – 1. გორა, სამოვავი უწერის საზღვართან (ნიგავზები); 2. ბორცვი სახნავ-სამოვრებით ლარულის მარჯვ. მხარეს, გაბაცულის დასაწყისში (ლარი).

ამბაღურისორუ – რიონის მარჯვ. შენაკადი ღვანებში (ნიგავზები).

ამირანეუნფარები – სათიბები ველორში (ღები).

ამოსავალი თენარი – სათიბი თენარებში (ჩორდი).

ამწვარი – ტყეები ეშმაკურის ხეობაში. ინფ.: „ამბობენ, ტყე დაიწვაო“ (უწერა).

ანანიეთი//ახანეთი – მინდორი ქანჭახის მარცხ. მხარეს, სახაროს კალთის ძირას (გლოლა).

ანდრიაყანა – სახნავი ზებოლთაში (წმენდაური).

ანთიმოველი – სახნავი წვერხმელის კალთაზე (ხიდეშლები).

ანიკელაგორა – ფერდობები კიპილაურის თავზე (ბორცო).

- ანძა – სათიბი კვირიკაშვილების უბანში. ინფ.: “ანძა კი ეწოდება, მაგრამ არ ვიცით რატომ” (ცხმორი).
- ანწლონია “ანწლიანი” – საძოვარი აკავანის ქვემოთ, გომრულის მარჯვ. მხარეს (ჯინჭვისი).
- აპალონაახო – საძოვარი ჩდილნაკეთში (ნაკეთი).
- არეშიძე – ნაციხარი, ტყე-ფერდობი მუხამეშურის მარცხ. მხარეს. გადმოცემით, ციხის პატრონი იესე არეშიძე დიდგორის ომის მონაწილე ყოფილა. ამ ომში მისი ხმალი ორად გადატეხილა და ეს ნატეხები ღების მაცხოვრის ეკლესიაში ინახებოდა. ხალხურ ლექსში ნათქვამია: “არეშიძესა აქებენ, რომელს იესე ჰქვიაო, ფრანგული ხმალი გატეხა, სისხლი ყუასა სცხიაო” (პ. ლები).
- არსენფრატი – საძოვარი კვათაში. ინფ.: “ძალიან დაბეგებულია, ე.ი. ფრატი ადგილია, კედელივით” (გომი).
- არტიშონაყანა – სახნავი კვათაში (გომი).
- არტუანი//არტუენის უბანი – უბანი ღარულისა და რიონის მარცხ. მხარეს. დასახლებამდე ერქვა არტუანის ვენახი (ონი).
- არტუანის ვენახი – იხ. არტუანის უბანი.
- არტუანის მეთავე წყალი – წყარო არტუანში. უჩა ჯათარძის პატივსაცემად ამ ბოლო დროს ეწოდა “უჩას მეთავე წყალი” (ონი).
- არტუენის უბანი – იხ. არტუანის უბანი.
- არყათანა – სახნავი გოგიეთში. ინფ.: “იდგმებოდა არყის ხეები ოდესღაც” (გლოლა).
- არყებთან – საძოვარი შოდის ქედის კალთაზე. ხარობს არყა (მაჭეთი).
- არყიკისერი – საძოვარი ზედა საბანაძეებში (ლუნდა).
- არყიწყალუკა – წყარო ჭვარიგორში (რივნისთავი).
- არყნარი – საძოვარი შოდურის მარცხ. ნაპირას (პ. ლები).
- არწვადეების უბანი – ორდინიძეების უბნის ნაწილი (ლარი).
- არჩილაშარშაღა – იხ. მარშაღა.
- არჩილას საზურგული – სათიბი, საიდანაც არჩილას ზურგით ჩამრჰქონდა თივა (გონა).
- არჩილის ქვაბი – მონადირის თავშესაფარი კირტიშოს მიდამოებში (ჩვეშურა).
- ასავალი თენარი – იხ. თენარ(ებ)ი//თელარ(ებ)ი.



ახანეთი - იხ. ანანიეთი.

ასარბენი ხოლი - აღმართი მუხამეშურის მარჯვ. მხარეს. ინფ.:
“სირბილით ასვლაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს
ახალგაზრდები. ხოლი აღმართია“ (პ. ლები).

ასკილოვანი - ტყე-საძოვარი შოდის ქედის კალთაზე, ხოჯორის
მარცხ. მხარეს (ხიდუშლები).

აფთარეულა - საძოვარი ორდინიძეების უბნის თავზე (ღარი).

აფკარული - სახნავი აფთარეულის გვერდით (ღარი).

აფრასიონის ველი - სათიბი მეწყრიყბის კალთაზე (ბორცო).

აფურცხლუანი - საძოვარი ოქანურის მარცხ. მხარეს (ფარავნეში,
ნაკიეთი)

აფშუკიჭალა - საძოვარი ჯვარიწყალსა და შუა ხოფითოს შუა
(რივნისთავი).

აფშუკიჭალის წყალი - წყარო აფშუკიჭალაში (რივნისთავი).

აქეთა საბუე - სათიბი საბუის აღმ. კალთაზე (ბაჯიხევი).

აქეთა სადვალთ - იხ. სადვალთ.

აღველაური - სახნავი სიმონიანთ უბანში (გომი).

აყათნისბირი - საძოვარი (ფსორი).

აშენაურ(ებ)ი - ვენახი რიონის მარჯვ. ვაკეზე (ნიგავზები).

აშვებული - ტყე ზებოლთის კალთაზე. ინფ.: “ტყე ოუშვეს, არ
მოქრეს“ (წმენდაური).

ახალველუკეები - საძოვარი ზედა კილოსთან (ქიორა).

ახალი გლოლა - იხ. ახალსოფელი.

ახალშოსახლეები - უბანი ბოლთის უბანსა და ქვედა უბანს შუა
(წმენდაური).

ახალსოფელი//ახალი გლოლა - სოფლის ნაწილი ქანჭახის მარცხ.
მხარეს (გლოლა).

ახალუბანი - იხ. ბოლთის უბანი.

ახალყანა - სათიბი საბანაძეების უბანში (ლუნდა).

ახალშენი - 1. სათიბი ტყვაპილელის მარცხ. მხარეს (ცხმორი); 2.
ვენახი ზედა უბანში (წმენდაური).

ახალწყალა - წყარო სოფლის ცენტრში. ინფ.: “მაღლობიდან
ჩამოიყვანეს, ამიტომაა ახალი“ (ბაჯიხევი).

ახაშშიზურგი - გორა, ტყე ლესორის წყალსა და ფხონის წყალს
შუა (ბაჯიხევი).

ახთანა - ტყე-საძოვარი რუჩუის მარცხ. მხარეს (ფარავნეში).



- ახო - 1. საძოვარი გომრულის მარჯვ. მხარეს (ჯინჭვისი); 2. ტყე წოლის საზღვარზე (წმენდაური).
- ახოგორა - გორა, შოდის ქედის განშტოება (ფარავნეში).
- ახოები - 1. სათიბი ვერძირუსა და შხიანთურას შუა, საკაურის მარჯვ. მხარეს (ხიდეშლები); 2. სახნავი გომრულის მარცხ. მხარეს (ჯინჭვისი).
- ახოს წყარო - წყარო ახოსთან (წმენდაური).
- ახოჭიქეური - იხ. ჭიქეურ(ებ)ი.
- ახუა//დიანოზის ახუა - საძოვარი სახაროს გორში (გლოლა).
- ახუები - ტყე (ლარი).

ბ

- ბაბეური - სათიბი ბუბაში (შოვი).
- ბაბირუ - ნოწარულის მარცხ. შენაკადი (ჭიორა).
- ბაგა - სათიბი ნაომარში. ინფ.: "ბაგა არის თოვლში გატყეპნილი გზა თივის გამოსატანად. გამოაქვთ ხარებით" (ჩვეშურა).
- ბაგარა - სახნავი ლობჯანიძეების განაპირას (ბაჯიხევი).
- ბაგარე/ე/ბი - სათიბი ქვედა საკაოში, საკაურის მარცხ. მხარეს. ბაგარა მსხლის ჯიშია (საკაო).
- ბაგები - ტყე-საძოვრები ბუბისწყლის მარცხ. მხარეს, კურორტ შოვის გაგრძელებაზე. ინფ.: "ბაგა არის ფერდობის ძირში ვაკე ადგილი, ბაგასავით წაგრძელებული"; "ბაგა კეთდება თივის გამოსატანად: ფერდობის ქვედა მხარეს დაყრიან თოვლს და აამალლებენ" (შოვი).
- ბაგითაფი - სათიბი ნაომარში. ინფ. "თუ არ უბაგე, ისე ვერ გამოიტან თივას. ბაგა არის თივის გამოსატანად თოვლში გაკეთებული გზა. თივას ხარებს გამოაბამენ" (ჩვეშურა).
- ბადთ(ებ)ი - სათიბი კვირიკაშვილების უბანში (ცხმორი).
- ბაზა - სათიბი შხუნაღელის ზემოთში (ძეგლევი).
- ბათივაკე - ტყე ზეციეთაში (ნაკიეთი).
- ბათინაური - ტყე საკაურის მარჯვ. მხარეს (ლაგვანთა).
- ბათოფარი - იხ. ფარები.
- ბათხერუ - ნაკადული ქვედა ვაჭაში. ინფ.: "ბათხაძე ნაცხოვრება" (ჭიორა).
- ბაინჩარა - უბანი ჩვეშურის მარცხ. ნაპირას. ცხოვრობენ გავაშელიშვილები (გონა).

- ბაკუნა - ვაკე-სათიბი ამბალეურში (ლარი).
- ბაკურევაკე - სათიბი. დაჰყურებს ძველ გლოლას. ^{ეკუთვნოდა}
ბაკურაძეს (გლოლა).
- ბალთათანა - სახნავი ახალ გლოლაში, ბინულასთან (გლოლა).
- ბალთათანა//ბალთათანეები - სახნავი მიქელიანთ უბანში,
ხუციყანის ქვემოთ (ნიგავზები).
- ბალთათანეები - იხ. ბალთათანა.
- ბალთანა - სანახშო შალიკიანთებში (ბაჯიხევი).
- ბალთაყანა//ბელთაყანა - სახნავები რუჩუის მარცხ. ნაპირას
(ნიგავზები).
- ბალიჯოგი - სათიბი თევრეშოში (ღები).
- ბალიჯოგივეძა - ვეძა ბალიჯოგში (ღები).
- ბარდნაღა - სათიბი რიყისწყალსა და საჩქეფელას შუა (ბაჯიხევი).
- ბართუშელი//ბართუშველი (←ბართუს ველი) - სათიბები რიონის
მარჯვ. მხარეს. იყოფა: დიდი ბართუშელი, პატარა
ბართუშელი. ბართუ პირსახელია (რიონისთავი).
- ბართუშველი - იხ. ბართუშელი.
- ბართუშ(ვ)ლიანუ - რიონის მარჯვ. შენაკადი. გაედინება პატარა
ბართუშელსა და დიდ ბართუშელს შუა (რიონისთავი).
- ბართუშ(ვ)ლიყელი - საძოვარი ფიცრიხულაში, ბართუშელის
გაგრძელებაზე. ინფ.: "ყელი არის ვიწრო ადგილი, სადაც
თავდება ნაკვეთი" (რიონისთავი).
- ბართუს ველი - იხ. ბართუშელი.
- ბარისთავი - ტყე-საძოვრები ქორუშოს ძირას. ინფ.: "ბარში
იგულისხმება შოვის ვაკე" (შოვი).
- ბარტყიანთ/ებ/ი//იჯანიკიანთ/ებ/ი - უბანი სოფლის ცენტრში.
ბარტყიანთები ბერელიძეთა განაყოფები არიან (საკაო).
- ბარტყიანთ ვაკე//ბარტყიანთ ველი - სათიბი ქვედა საკაოში
(საკაო).
- ბარტყიანთ ველი - იხ. ბარტყიანთ ვაკე.
- ბარტყიანთ ნაწისქვილევი - ჭალა საკაურის მარცხ. ნაპირას
(საკაო).
- ბარტყიანყანა//ვარტყიანყანა - სათიბი ველუფაში (ლარი).
- ბასილავაკუნა - სათიბი კვათაში (გომი).
- ბასუკაანთ/ებ/ი//ბასუკაანთ უბანი - უბანი საკაურისა და
ბოდუურის მარცხ. ნაპირას (საკაო).

- ბასუკაანთ ვორა – სათიბი ბასუკაანთებში (საკაო).
- ბასუკაანთ ველი – სათიბი ბასუკაანთებში (საკაო).
- ბასუკაანთ უბანი – იხ. ბასუკაანთ(ებ)ი.
- ბატანაურა – საძოვარი ჭანჭახის მარჯვ. მხარეს (გლოლა).
- ბატარწყარო – წყარო ველუანში (გლოლა).
- ბატონიყანები – სათიბი ბლისაროს თავზე (ბორცო).
- ბაქრაული – სათიბი. ბაქრაძის ნაქონი მიწაა მაისურაძეების განაპირას (ფსორი).
- ბაღაელელე – ტყე-ხევი ელნეცაში. ეკუთვნოდათ ბალაშვილებს (გლოლა).
- ბაღისწყალი – წყარო რუსუკაანთ უბანში (უწერა).
- ბაჩიანთ ფარუკა – სათიბი მუხამეშში (პ. ლები).
- ბაძიაანთები – უბანი ზედა საკაოში. ბაძიაანთები გუგეშაშვილების განაყოფები არიან (საკაო).
- ბაწიეთა – სათიბი ბუბაში (შოვი).
- ბაჭილეგორა – სათიბი უბიას თავზე (გონა).
- ბახჩები – სათიბი ღარულის ნაპირას (ღარი).
- ბაჯიხევი – სოფელი ცხმორის საკრებულოში, რაპკის ქედის ჩრდ. კალთაზე, ჩილორულის მარცხ. მხარის მაღლობზე. ზ. დ. 1320 მ., ქ. ონიდან 18 კმ. 1998 წელს ბაჯიხევიში ცხოვრობდა 35 კომლი. მათგან: ლობჯანიძე – 16, დვალიძე – 15, კობერიძე – 4 და სხვ.
- ბაჯიხევის მთა – მთა ბორჯანის ზემოთისა და ჩილორულის შუამდინარეთში, სოფ. ბაჯიხევსა და ცხმორს შუა.
- ბაჯიხეველების ვენახი – ვენახი უსადილოს ქვემოთ. ეკუთვნოდა სოფ. ბაჯიხევს (წმენდაური).
- ბაჯუთი//ბაჯუჯი – კლდე, საძოვარი ალპურ ზონაში, ხოჯორის მარჯვ. მხარეს (ხიდეშლები).
- ბაჯუჯი – იხ. ბაჯუთი.
- ბებენაური – საძოვარი (ნიგავზები).
- ბეგები – გორა სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში (ნიგავზები).
- ბეგისთავი – გზა გოგოლაანთ უბანში. ინფ.: “ბეგი დამრეცი ადგილია. უცბად აღიმართება კედელივით“ (ჯინჭვისი).
- ბეგისთავის უბანი – უბანი სოფლის მთიან ნაწილში (პ. ლები).
- ბეგისთავი – სოფლის სანახშო (პ. ლები).
- ბეგნარი – ხეხილი რუჩუის მარცხ. მხარეს (ნიგავზები).
- ბეგსუკანი//ბექსუკანი/ბეგსუკნები – სათიბები საბუის გაგრძელებაზე ფოცხვრების მიმართულებით (ბაჯიხევი).

ბეგსუკნები - იხ. ბეგსუკანი.

ბეთა - სათიბი ნაძერძევის სათავესთან (ფსორი).

ბეთხოელერე - იხ. ღერე.

ბეკიაწყალი - წყარო ჭობორის უბანში (გომი).

ბელდუხა//ბელდუხეები - სანადირო კლდეები შოდის ქედზე (პ. ღები).

ბელდუხეები - იხ. ბელდუხა.

ბელთაური - სახნავი სოფლის განაპირას (ჩორდი).

ბელთაყანა - იხ. ბალთაყანა.

ბელ(ი)თაური - სახნავი კვირიკაშვილებში (ცხმორი).

ბელინაკოდები - სახნავი რისინეს სათავესთან (მაჩიეთი).

ბეჟანიველი - სათიბი სახაზოს კალთაზე (მაჩიეთი).

ბეჟიაანთ(ებ)ი - 1. უბანი ქვედა საკაოში. ბეჟიაანთები ბერელიძეების განაყოფნი არიან (საკაო); 2. იხ. შოშუნაანთი.

ბერალი - სათიბი ბერალირუს ნაპირას (რივნისთავი).

ბერალირუ - რიონის მარცხ. შენაკადი. მოედინება მხვრელიეთოდან (რივნისთავი).

ბერაულ/ებ/ი - სათიბი ზეციეთაში (ნაკიეთი).

ბერაულთავი - სათიბი ზეციეთაში (ნაკიეთი).

ბერგო - სათიბი სახტრიყელის კალთაზე (ჩორდი).

ბერგოს წყალი - ჭეგორის მარცხ. შენაკადი (ჩორდი).

ბერების წყალი - გვერითულის მარცხ. შენაკადი. მოედინება საჯვაროდან (უწერა).

ბერეხაულა - საძოვარი სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში, ბელთაყანის თავზე (ნიგაგზები).

ბერთაზია - ტყე-კლდეები რიონის მარცხ. მხარეს, სოფლის სამხრეთით. "ალბათ ბერთაზიარი იყო" (ჭიორა).

ბერიეველუანი - იხ. ველუანი.

ბერიეთღერე - იხ. ღერე.

ბერიეჭალაუბი - სახნავი ჭანჭახის მარჯვ. მხარეს (გლოლა).

ბერიკაანთი - მიკროუბანი, ჭოხაძეების უბნის ნაწილი. ინფ.: "ბერიკაანთი ჭოხაძეების ბაბუიშვილობაა. სხვა ბაბუიშვილობანი - გოგიჩაანთი, გუგუტიანთი და სხვ. მხოლოდ ოჯახებია და ადგილებს არ ეწოდება" (ფსორი).

ბერიკველუანი - იხ. ველუანი.

ბერიკვთღერე - იხ. ღერე.

- ბერიკეწყარო – წყარო ღერეში (გლოლა).
- ბერიკიანო – ტყე ფოცხ(ვ)რევის კალთაზე (ცხმორი).
- ბერიკიანო//ბერიკინაქონი – საძოვარი ქედის კალთაზე. ბერიკა პატრონის სახელი ყოფილა (ჯინჭვისი).
- ბერიკინაქონი – იხ. ბერიკიანო.
- ბერიშვილიანო – ვაკე ტბისპირის გვერდით (ღუნდა).
- ბერკვიჭალა – ტყე გომრულის მარცხ. ნაპირას (ჯინჭვისი).
- ბერუას ჭიქეური – ტყე ჭიქეურ(ებ)ში (ჩორდი).
- ბერუკაანთ უბანი – უბანი კაკაბასა და რისინეს შუა. ბერუკაანთები გუგეშაშვილების განაყოფია (მაეიეთი).
- ბერუკიანველა – სათიბი ზეხენიერის მარჯვ. მხარეს (პ. ლები).
- ბერუკიანთ ლეკნარი – იხ. ლეკნარი.
- ბერუკიანფარი – იხ. ფარები.
- ბესოველი – სახნავი კვატაში (გომი).
- ბესოველი//ბესუიაველი – სათიბი მეწყრივების სერზე (ძეგლევი).
- ბესორუ – რიონის მარცხ. შენაკადი კოდისადგომას ზემოთ (რივნისთავი).
- ბესუას ჭიქეური – იხ. ჭიქეურ(ებ)ი.
- ბესუიაველი – იხ. ბესოველი.
- ბექეკარი – სახნავი კვირიკაშვილების უბანში (ცხმორი).
- ბექსუკანი – იხ. ბეგსუკანი.
- ბექსუკნიყანა – სათიბი ბეგსუკანთან (ბაჯიხევი).
- ბელღეთი – ალპური საძოვარი სკოდორულისა და ბელლორის სათავეებთან. ინფ.: „ბელღელით ვაკეა, კლდეებში შემოკეტილი საჩიხივით“ (უწერა).
- ბელღეთისწვერი – ტყე ბელღეთში (უწერა).
- ბელღნაური – ვენახები რუჩუისპირზე (ნიგავზები).
- ბელღორი – რიონის მარჯვ. შენაკადი წინა უწერის ჩრდ. განაპირას. სათავე ბელღეთშია (უწერა).
- ბზიკეენრუბოძალა – იხ. პატარა რუბოძალა.
- ბზიკეენსაშვები – სათიბი, საიდანაც თივას ჩამოუშვებდნენ დიდყანაში. ინფ.: „ბზიკეენი არის გავაშლების ოჯახის სახელი. ბზიკა პაპის იქით ყოფილა, სახელად მამუკა. ერთი ულაყი ცხენი ჰყოლიათ. ვერავინ ჯდებოდა. იგი დაჯდა ბზიკივით და არ ჩამოვარდა“ (რივნისთავი).
- ბიაზ(რ)იფორა – გორა ჭანჭახის მარჯვ. მხარეს, წითელხიდიდან ჭეჭვერამდე (შოვი).

- ბილიკეები - ბილიკები ქვემო ჩვეშოში (გონა).
- ბილწიკდე//ბილწიკდე - კლდე-ჭიუხები შოდის ქედზე, ბუძგორის მარჯვ. მხარეს. ინფ.: "სანადიროებია, მაგრამ ძნელად სავალი" (ხიდეშლები).
- ბინულა - 1. წყარო, სანახშო ლობჯანიძეებში (ბაჯიხევი); 2. წყარო ახალ გლოლაში (გლოლა).
- ბინულე/ე/ბი - საძოვარი რიონის მარჯვ. ქალაში, ჭენტისის პირდაპირ (ჭიორა).
- ბილაური//ბიყაური - საძოვარი მთაგორაში (ცხმორი).
- ბიყაური - იხ. ბილაური.
- ბიძიაანთ(ებ)ი//ბიძიაანთ უბანი - უბანი სოფლის ცენტრში. ინფ.: "ბიძიაანთი ხიდეშლების საბაბუი შვილოა. სხვა ხიდეშლებისათვის იმათი წინაპარი ბიძია ყოფილა" (ხიდეშლები).
- ბიძიაანთ უბანი - იხ. ბიძიაანთ(ებ)ი.
- ბიჭებანთები - იხ. დვალძეები.
- ბიჭიასუელი - სახნავი კვაქაში (გომი).
- ბიჭიას ვეძუკა - წყარო ჩვეშოში (გონა).
- ბიჭილაწყალი//ბიჭილაწყარო - წყარო ღარულის მარცხ. მხარეს (ღარი).
- ბიჭილაწყარო - იხ. ბიჭილაწყალი.
- ბიჭინაან/თ/ვაკე - საძოვარი სათომიაში (ხიდეშლები).
- ბიჯითი - სათიბი მთაგორაში (ცხმორი).
- ბიჯითის წყალი - ბორჯანის მარცხ. შენაკადი (ცხმორი).
- ბლაშე - 1. საძოვარი საკაურის მარცხ. მხარეს (საკაო); 2. სახნავი სოფლის სამხ. ნაწილში (ფარავენში); 3. იხ. სადგურის მთავე წყალი.
- ბლაშეები - სახნავი საკაურისა და ზოფხარელის შესართავთან (ხიდეშლები).
- ბლაშეები - ვეძა მელაძეების განაპირას (ჩორდი).
- ბლაშიბოლო - საძოვარი ბლაშთივაკესთან (ღუნდა).
- ბლაშივაკე - დევაკება ჭეჯორის მარცხ. ნაპირას (ღუნდა).
- ბლაშირუ - ვეძა ბლაშეებთან (ხიდეშლები).
- ბლაშ(ი)ჭაღა - საძოვარი ღარულის ქალაში (ღარულა).
- ბლაშიჭაღის (მთავე) წყალი - წყარო ბლაშ/ი/ქალაში (ღარულა).
- ბლაშუკა დელე - ქუდაროს მარჯვ. შენაკადი (ლაგვანთა).

- ბლიხარო** – სათიბი, წყარო ქებაძეების უბანში (ბორცო).
- ბლუა(ეთ)წყარო** – წყარო ჭლიდის გორაზე. ინფ.: “ბლუაეთი გოგიჩიშვილების ბაბუიშვილობაა. მათი წინაპრები ჭლიდაში ნაცხოვრება. თავს დასხმიან ოსები. რეგვენა გოგიჩიშვილი სირბილით დაშვებულა ზედქალაქისაკენ, რომ ხალხი გაეფრთხილებინა. ამ წყაროს წყალი დაუღვევია და დაბლევებულა. ამიტომ დაურქმევიათ ბლუა. ბლუაეთნი მისი შთამომავლები არიან“ (გლოლა).
- ბნელეეები** – ვიწრო გზა ტყეში ზეხენიერ-ლათქიშორის წყალგამყოფზე (პ. ღები).
- ბობუენხვანტი** – სათიბი ხვანტებში (ჭიორა).
- ბოგრა** – სახნავი ზეციეთაში (ნაკიეთი).
- ბოდუურა** – საკაურის მარცხ. შენაკადი. იწყება შოდის კალთაზე (საკაო, ბორცო).
- ბოთოშანატყეხი** – სათიბი თევრეშოსა და ლაქაშას შუა (ღები).
- ბოლთა** – პლატო ქ. ონის თავზე (წმენდაური).
- ბოლთის უბანი//ახალუბანი** – უბანი ბოლთაში. გაშენდა 1991 წლის მიწისძვრის შემდეგ (წმენდაური).
- ბოლთისჭაღლეები** – საძოვარი ორდენიძეების უბანში (ღარი).
- ბოლთი ყანა//ბოლთი ყანუკეები** – სახნავი ზოფხარელის მარჯვ. მხარეს (ხიდეშლები).
- ბოლო ყანუკეები** – იხ. ბოლო ყანა.
- ბოლო ჭიქეური** – იხ. ქიქეურ(ებ)ი.
- ბორცო** – სოფელი საკაოს საკრებულოში, შოდის ქედის სამხრ. კალთაზე, საკაურის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1400 მ. ქ. ონიდან 12 კმ. ესაზღვრება: საკაო, ძეგლევი, ლაგვანთა.
- ბორცოსთავი** – მწვერვალი ბორცოს სერზე (ძეგლევი).
- ბორცოს სერი** – იხ. მეწყრიყბისერი.
- ბორჯანა** – მდინარე, ჯეჯორის მარცხ. შენაკადი სოფ. პიპილეთში. სათავეს იღებს ფოცხვრევის მთიდან, კვეთს სოფ. ცხმორის დას. ნაწილს. რუსულ კარტოგრაფიულ რუკებზე ამ მდინარეს ეწოდება ზემო წელზე ქალა, ხოლო ქვემო წელზე – ქალისწყალი. ქალა//ქალისწყალი დასახელებულია “საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც“ (თბ., 1987). (ცხმორი, პიპილეთი...).
- ბოსელა** – 1. საძოვარი ქვედა საკაოში, საკაურის მარჯვ. მხარეს

(საკაო); 2. სათიბი ჟამიერეთის თავზე (უწერა); 3. სახნავი რიონის მარცხ. მხარეს (ლარი); 4. ჩილორულის ხეობის მონაკვეთი. ინფ.: "ადგილია ბოსელივით, იქით-აქეთ მთებია" (ბაჯიხევი).

ბოსელაკოდი – სათიბი ჩვეშურის მარცხ. მხარეს (ჭიორა).

ბოსელა(ს)დედე – 1. ბორჯანის მარცხ. შენაკადი მთაგორაში (ცხომი); 2. ქარუკაწყლის ხეობა (ლუნდა).

ბოსელუკა//ბოსელუკეები – სათიბი სიმონიანთ უბნის ჩრდილოეთით (გომი).

ბოსელუკეები – იხ. ბოსელუკა.

ბოსლიდედე – სკოდორულის მარცხ. შენაკადი (უწერა).

ბოსლიდედისწყვი – ტყე ბოსლიდედესთან (უწერა).

ბოსტანა – 1. საძოვარი რისინეს მარცხ. ნაპირას (მაჭიეთი); 2. სათიბი რიონის მარცხ. მხარეს, სასვანოტბის ქვემოთ (რივნისთავი).

ბოსტანა//ბოსტანეები – ტყე-საძოვარი ღარულის მარცხ. მხარეს, ფოცხვრებში (ლარი).

ბოსტანეები – იხ. ბოსტანა.

ბოტანა – სათიბი გომრულის მარცხ. მხარეს (გომი).

ბოტანის შუავე წყალი – წყარო ბოტანაში (გომი).

ბოტანისრუ – რუ, ხევი ბოტანაში. ერთვის გომრულას (გომი).

ბოყო – მყინვარი რაჭის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, ბოყოსწყლის სათავესთან (გლოლა).

ბოყოსწყალი – ქანჭახის მარცხ. შენაკადი ძველ გლოლაში (გლოლა).

ბოციანფარი – საძოვარი შხიროლებში (ჭიორა).

ბოძალირუ – ორტოტა დედე რუთავში. ჩამოდის სოფელში. მდგენლებია: შხიურისრუ და გორეებისრუ (გონა).

ბოძალიფარი – სათიბი ზეხენიერში. ბოძალივითაა განშტოებული, ორადგაყოფილი (პ. ლები).

ბოწვერეთანი – სახნავი მიღმა უბანში (გომი).

ბოხეთი – სათიბი ლეკნარში (პ. ლები).

ბოხეთ ჭალა – იხ. ზაქარეეჭალა.

ბრილაგორა – საძოვარი ჩვეშურის მარცხ. მხარეს (ჭიორა).

ბრილი – ნასოფლარი რიონის მარცხ. ნაპირას, ზოფხითურის შესართავთან. აქ გათხრებს აწარმოებდა გ. გობეჯიშვილი. აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანის ნასახლარი (რივნისთავი).



- ბრილიზურგუკანი** – საძოვარი ბრილთან (რივნისთავი).
- ბრილის წმინდა გიორგი** – სალოცავი ბრილში (რივნისთავი).
- ბრმარუ** – ხევი კოდუნეებში, ფორხიშულსა და კვაიშურირუს შუა. ინფ.: “ღრმაა, ხმელია. ხანდახან გაგიჟება იცის“ (რივნისთავი).
- ბრმარუუკა** – ხევი ტყეში, ზეხენიერში (პ. ლები).
- ბრტყელეები** – სათიბი ნაძვრძევის მარჯვ. მხარეს (ფსორი).
- ბრტყელფარი** – სათიბი შოდურის მარცხ. მხარეს (პ. ლები).
- /ბ/ტყელიში//მტყელიფარი** – საძოვრები, ფართო ფერდობები ცონისწყლისრუს სათავესთან (ძეგლევი).
- ბუაქვა** – სანადირო ადგილი ჭვარიგორზე (ლები).
- ბუბა** – მთა-საძოვრები ბუბისწყლის მარჯვ. მხარეს. ალექსანდრე მეფის 1432 წლის სიგელის მიხედვით, ბუბა და ტყისთავი დასახლებული ადგილებია: ბუბაში სახლებულა 25 კომლი გლეხი, ხოლო ტყისთავი ყოფილა მხოლოდ ლავანდების, ანუ უცოლოთა (30 წელს გადაცილებულთა), სამოსახლო. ბუბასა და თავდამსხმელ ოსებზე რამდენიმე ხალხური ლექსია დღემდე შემორჩენილი (შოვი).
- ბუბისთავი** – ბუბის მწვერვალი (შოვი).
- ბუბის ტბაუკეები** – პატარ-პატარა ტბები და მათი შემოგარენი ბუბაში (გლოლა).
- ბუბისწყალი//ბუშბურა** – ჭანჭახის მარჯვ. შენაკადი კურორტ შოვში. სათავეს იღებს რაჭის კავკასიონზე. გაედინება ბუბასა და წითელმთას შუა (შოვი).
- ბუბისჯვარი** – სალოცავი ჭანჭახის მარცხ. მხარეს, სანატორიუმთან. ინფ.: “ამ ადგილას დგას რცხილა//ცხემლა, რომელზეც მიკრულია ჯვარი. აქ ტარდება ბუბაობა გაზაფხულზე, შაბათ დღეს. მოაქვთ ხურდა ფული, კლავენ შესაწირს. გლოლისაა, საერთო. აღდგომის შემდეგ პირველი კვირა არის კაცების ახალკვირა, მეორე კვირა არის ქალების ახალკვირა, მესამე შაბათს კი ტარდება ბუბაობა“ (შოვი).
- ბუგიანა** – სათიბი ხოჯორის ხეობაში. „დაბუგული ადგილია. გარშემო ტყეებია ნასახლარებით“ (ხიდემლეები).
- ბუშარუ//შარიაშის წყალი** – რიონის მარჯვ. შენაკადი. ერთვის ლოლორულისა და შხიროლურის შესართავეებს შუა (ქიორა).
- ბუშბურა** – იხ. ბუბისწყალი.
- ბუშბუყა//ბუყბუყა** – წყარო, რაც ჩამოყვანილია ქვედეებში. ინფ.: “რომ ამოდის, ბუყბუყებს. ამიტომაა ბუყბუყა“ (ლუნდა).

ბუჟულაური - საძოვარი სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში
(ფარავნეში).

ბურდულეები - ქალა ღარულის მარცხ. ნაპირას (ღარი).

ბურჭულა - იხ. ბურჯული.

ბურჯული - მყინვარი, ჩიჩხვისთავი ბოყოსწყლის მარჯვ. მხარეს.
ინფ.: "ჩვენ ბურჯულს ვეძახით, წიგნში ბურჭულა სწერია"
(გლოლა).

ბუტაიანველუანი - იხ. ველუანი.

ბუყბუყა - იხ. ბუმბუყა.

ბუშულიყანები - სახნავი კვათაში (ღარი).

ბუჩუკენველი - ვაკე რიონის ქალაში (ქიორა).

ბუძგორა - იხ. ბუძგორი.

ბუძგორი - მთა, საკაურა-რიონის წყალგამყოფის დას. განშტოება.
სიმაღლე 3226 მ. ამ მთიდან რიონისაკენ გაედინება რუბოძალი,
ხოლო საკაურასა და ჩაბალაყისაკენ - რამდენიმე მცირე
მდინარე. ინფ.: "ბუძგვიანი, ანუ აბუძგული, ჩონჩხიანი,
წვეტიანი მწვერვალია" (რიონისთავი, ხიდეშლები). პ. ლებში
ჩაწერილია ვარიანტი ბუძგორა.

ბუძგორის წყალი - საკაურის მარცხ. შენაკადი (ხიდეშლები).

ბღელწყალა - წყარო, ხევი ჭანჭახის მარჯვ. მხარეს, საგლოლოს
ქვემოთ (გლოლა).

ბღუნიეღღუ - ხევი ჭანჭახის მარჯვ. მხარეს (გლოლა).

ბ

გაბაცუელი - სერი ღარულის მარჯვ. მხარეს (ღარი).

გაბმული - მთა საძოვრებითა და სანადიროებით შოდის ქედზე.
ინფ.: "ბუძგორიდან ებმის საკაურის სათავეს. ამიტომ
გაბმული" (ხიდეშლები).

გაბმულის დღღუ - საკაურის მარცხ. შენაკადი (ხიდეშლები).

გაბონატუხი - სათიბი რიონის მარჯვ. მხარეს (ღები).

გაბრიელაყანა - სათიბი მზიურში, მეწყერთან (გომი).

გაბრიჭიანთ ქალა - იხ. ზაქარეეჟალა.

გაბუწვილა - სახნავი ჭანჭახის ხეობაში. ინფ.: "გაბუწვა -
ერთმანეთთან გადაბმა, მაგალითად, ხარებისა" (გლოლა).

გაგნიეთი - გაგნიძეების უბანი წინა უწერაში (უწერა).

გაგნიეულეკნარი - იხ. ლეკნარი.

გაგნიეთწყალი - წყარო გოგინაახოს თავზე (ნიგავზები).

გაგნიტარუ - წვერილელისრუს შენაკადი რუთაშუაში (ლაგვანთა).

გაგნიტაწყალი - ბლაშუკა ლელის შენაკადი (ლაგვანთა).

გადათრეულა - 1. გზა ჭობორაში (გომი); 2. საძოვარი მაღალახოს გვერდზე. ინფ.: "იტყვიან, საქონელი აგრე გედეთრიაო" (ნიგავზები).

გადათრეულეზი - სახნავი რიონის მარცხ. მხარეს (ჭიორა).

გაღარეულა - რიონის მარჯვ. შენაკადი ფიცრიხულირუს ზემოთ. მოედინება შავწყაროდან (რიონისთავი).

გადაღმითენარი - იხ. თენარ(ებ)ი.

გადაღმქორიბუდე - საძოვარი ქორიბუდის კალთაზე (ჭიორა).

გადმოსახედავა - 1. სერი სოფლის სამხრ. ნაწილში (ბაჯიხევი); 2.

ბორცვი ზეხენიერ - ლათქიშორის წყალგამყოფზე. გადმოსცქერის სოფელს (პ. ლები).

გადმოსახედავი - გორა თენარის წყლის მარჯვ. მხარეს, ლესორის გზაზე, საიდანაც მთელი სოფელი მოჩანს (ჩორდი).

გადმოსურული - კლდე, მღვიმე მთაგორაში (ცხმორი).

გაკოდილა - საძოვარი მოსარუს მარჯვ. მხარეს (ბორცო).

გალაჯეური - სახნავები მიქუქაძეების განაპირას (ჩორდი).

გამოვლილა - ფერდობი ვაკესა და ყორიანს შუა (ღუნდა).

გამოღმა შეხერილი - იხ. შეხერილი.

გამოღმითა - მთა საძოვრებით შხივქვაბულის წყლის მარჯვ. მხარეს (ბაჯიხევი).

განები - 1. სათიბი მუხამეშში. ინფ.: "განი ეწოდება, ფერდობზე რომ ვაკეა სიგანეზე" (პ. ლები); 2. იხ. მოხვეულები//დახვეულები.

განიგზა - საძოვარი მზიურში, დოშვერის წყლის მარცხ. მხარეს (გომი).

განიგზები - გზა, ტყე ფოცხვრევის მთის ჩრდ. კალთაზე (ცხმორი).

გასავალა - სათიბი კვირიკაშვილების უბანში, ხეყრილასა და დიდახოს შუა (ცხმორი).

გასავალი - სათიბი ნაომარში (ჩვეშურა).

გასავალყანა - საძოვარი ქებაძეების უბანში (ბორცო).

გასავალყანები - სახნავი თაკვერითავთან (ბორცო, ძეგლვეი).

გასავლები - სათიბები შთალაში. ინფ.: "გასავალი გზა გადიოდა" (ჩვეშურა).

გასახვიელი - ტყე-ფერდობები მუხამეშურისა და ლატქიშორის გამყოფ სერზე. ინფ.: "გზაა გასახვევი და უერთდება მუხამეშის გზას" (პ. ლები).

გატეხილა - წყარო ქათნაურში. ინფ.: "კლდეა გატეხილი და სამკურნალო წყალი ამოდის" (წმენდაური).

გატეხილას გორა - სახნავი გატეხილასთან (წმენდაური).

გაღმაანთები - დვალიძეების უბანი სოფლის ცენტრიდან წიფლიგობის გაღმა. იყოფა მიკროუბნებად: რვეზაანთები, გიგილაანთები (ბაჯიხევი).

გაღმა ახი - 1. სათიბი ორბის სერის კალთაზე (ძეგლვევი); 2. სათიბი ჩილორის მარცხ. მხარეს (ბაჯიხევი); 3. იხ. ერასტიქელი.

გაღმა ახი - სათიბი ქებაძეების უბანში (ბორცო).

გაღმა ბერგო - სათიბი ბერგოში (ჩორდი).

გაღმა გვერდი - საძოვარი ქებაძეების უბანში (ბორცო).

გაღმაშთა - მთა-საძოვრები გამოღმამთის გაღმა, შხივქვაბულის წყლის მარცხ. მხარეს (ბაჯიხევი).

გაღმა მყავე წყალი - წყარო საკაურის მარჯვ. მხარეს. ინფ.: "გამოღმაც არის მყავე წყალი, მაგრამ ეწოდება გორისის მყავე წყალი" (ხიდეშლები).

გაღმა ნაკიეთი - იხ. ზეციეთა.

გაღმა ნატყვევრები - სათიბი ნატყვევრებში (ჩორდი).

გაღმა უბანი - იხ. გაღმაურები.

გაღმაურები//გაღმა უბანი//გაღმა უწერა - სოფლის ნაწილი რიონის მარცხ. მხარეს. აქაა ქვეუბნები: ქამიერეთი, სასახლიანთი, ჯარონე/ენ/თი (უწერა).

გაღმაურების სახარო - საძოვარი ხვარიწვერის აღმ. კალთაზე (უწერა).

გაღმა უწერა - იხ. გაღმაურები.

გაღმა ყანუკა//გაღმა ყანუკები - უბანი ზოფხარელის მარცხ. მხარეს (ხიდეშლები).

გაღმა ყანუკები - იხ. გაღმა ყანუკა.

გაღმა შეხერილი - იხ. შეხერილი.

გაღმა ჩვეშო - იხ. მზიურა.

გაღმა წმინდა მარიამი - სალოცავი სხარალში (ხიდეშლები).

გაღმაქები - სახნავ-სათესები და საძოვრები ქაღეებისწყლის მარჯვ. მხარეს. იყოფა: საკრაო, გორიყელი, მწვანია, დიდახო და სხვ. (ბაჯიხევი).

გადმოთყანები – საძოვარი კვათაში (ლარი).

გელგელაური – სახნავი ბერიკაშვილების უბანში (ცხმორი).

გელიტასათობი – სათიბი რუმბოძალის აუზში (რივნისთავი).

გეში(ს)წყალი – წყარო ნაკრებავაში, გომრულის მარცხ. მხარეს.
ინფ.: “ცივი და კარგი სასმელი წყალია. იმ კუთხეში უკეთესს
ვერ შეხვდები” (გომი).

გენადის წყალი – გომრულის მარჯვ. შენაკადი (გომრული).

გეოლოგების წყალი – წყარო გოგოლაანთ უბანში. „გეოლოგებმა
გამოიყვანეს ტრუბებით“ (ჯინჭვისი).

გერგშეშო – კლდე-საძოვრები თაფლიანი კლდის გაგრძელებაზე,
ჩორდულის მარჯვ. მხარეს (ბაჯიხევი, ჩორდი).

გერშა – სათიბი ნამოსახლევის სერზე, ღარულის მარჯვ. მხარეს.
ინფ.: “საგერშე ადგილია. ბევრი კურდღელი იყო და ძაღლების
დაგერშვა ხდებოდა” (ლარი).

გერხუციანთი – მიკროუბანი ქვედა საკაოში. გერხუციანთები
გორდუზიანები არიან (საკაო).

გეჩეთღერე – იხ. ღერე.

გვალველი – სათიბი ნაიმხლარსა და ზესველს შუა (ბაჯიხევი).

გვალუცა – ტყე, ფერდობი ზედა ძეგლევში (ძეგლევი).

გვარგვალთა – სათიბი ჩორდულის მარცხ. მხარეს.
მომრგვალებული ფორმისაა (ფსორი).

გველია – კლდე, საძოვარი მთაგორაში (ცხმორი).

გვერდა – 1. სახნავი გომრულის მარცხ. მხარეს (ჯინჭვისი); 2. სათიბი
გომის ქედზე, კენტრუშეულსა და ველებს შუა (უწერა); 3.
სახნავი სოფლის სამხრეთ ნაწილში (ფარავნეში); 4. სათიბი
წყალშოს გვერდით (პ. ღები) და სხვ. ინფ.: “გვერდა მცირე
დაფერდებაა, ფარი კი უფრო მაღლაა აყუდებული”.

გვერდაბოლო – სახნავი ლაშხექედის აღმ. კალთაზე (ბაჯიხევი).

გვერდას კაკლები – კაკლიანი ზედეების განაპირას, გვერდაში
(ღუნდა).

გვერდე(ე)ბი – ტყე-ფერდობები წინა უწერის თავზე (უწერა).

გვერდიმოდლორი – იხ. მოდლორი.

გვერდიძირა – სათიბი ფერდობის ძირას, ორდინიძეებში (ლარი).

გვერდიჭიქეური – იხ. ჭიქეურ(ებ)ი.

გვერდუანა – ტყე საგებირუს მარცხ. მხარეს (გომრულა).

გვერდული – სახნავი ზედა საკაოში, ფერდობზე (საკაო).

გვერდყანა//ციხეთქვეში - სახნავი ხოლსა და საწისქვილწყალს შუა, სადაც ქვემოთ ფერდობია, ზემოთ კი - ციხის ნანგრევები (ქიორა).

გვერითა - ვეძა, საძოვარი გვერითულის მარჯვ. მხარეს (უწერა).

გვერითული - რიონის მარცხ. შენაკადი. მოდის ხვარიწვერიდან. ჩაუვლის გვერითას (უწერა).

გვეშაურები - იხ. დვალიძეები.

გვრიძები - საბანაო ღარულაზე. ინფ.: “დიდი ქვებია და წყალი ტრიალებს. გვრიძაც წყალტრიალა” (ლარი).

გვრიტიწყარო - სახნავი ვაკისუბანში. გადმოცემით, წყაროსთან უწინ გვრიტები სხდებოდნენ (ლარი).

გიბალეური - საძოვარი ქვედა ძეგლევში (ძეგლვევი).

გიგინფარები - სათიბები ჭვარიგორში. გიგინი გობეჯიშვილები არიან (ლები).

გიგლაანთები - იხ. გალმანთები.

გიგლაწყარო//გიგლას წყალი - წყარო ველევში (ლარი).

გიგლას წყალი - იხ. გიგლაწყარო.

გიგიტანთ უბანი - უბანი დიდ გომში. ინფ.: “გიგიტანთები ჩიხრაძეების ბაბუიშვილობაა” (გომი).

გივენატეხები - სათიბი ჭვარიგორზე (ლები).

გივენახნავეები - სათიბი საარწივე ედენასთან (რივნისთავი).

გიორგიანთი - იხ. ნიგავზები.

გიორგიანთ უბანი - იხ. ნიგავზები.

გიუნაახო - სათიბი მუხამეშში (პ. ლები).

გლახთა - ტყე-ფერდობები ქანქახის მარცხ. მხარეს (შოვი).

გლახთის გან(ებ)ი - გზა გლახთის ქალაში. ინფ.: “განი ეწოდება სწორ გზას, არც აღმართია, არც დაღმართი” (შოვი).

გლახთის ქალა - მინდორი ქანქახის მარცხ. ნაპირას (შოვი).

გლოეთანა//გლოველთანა//გლოელუბთანა//გლოეთნები - სახნავი რიონის მარცხ. მხარეს. უწინ ეკუთვნოდა სოფ. გლოლას.

აქედანაა სახელწოდებაც (ქიორა).

გლოეთნები - იხ. გლოეთანა.

გლოელუბთანა - იხ. გლოეთანა.

გლოველთანა - იხ. გლოეთანა.

გლოველიანთ კარი - სახნავი ბელთაყანაში (ნიგავზები).

გლოველიანთ წყალი - წყარო ბელთაყანაში (ნიგავზები).

გლოლა – სოფელი, საკრებულოს ცენტრი ქანჭახის ორივე ნაპირზე, ბოყოსწყლისა და ილინეს შესართავეებთან (შედის სოფლები: გლოლა, შოვი). ზ.დ. 1280 მ. ქ. ონიდან 25 კმ. ქანჭახის მარჯ. ნაპირას, გორაკზე, რომელსაც ზედქალაქი ეწოდება, შემორჩენილია ციხის, ორი ეკლესიის და სხვა ნაგებობათა ნანგრევები. ეკლესიათაგან ერთ-ერთი, კერძოდ, წმ. გიორგის სახელობისა, განვითარებული შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლად ითვლება. გლოლა შედგება ორი ნაწილისაგან: ძველი სოფელი//ძველი გლოლა – ქანჭახის მარჯვ. მხარეს და ახალი გლოლა//ახალსოფელი – ქანჭახის მარცხ. მხარეს. გლოლის ძირძველ მოსახლეებად ითვლებიან: ჩიჩხაშვილები, ზანიშვილები, ბელაშვილები (განაყოფები: ბეთხოშვილები და ჭიჭიშვილები), გოგოჩიშვილები, ბუბაშვილები, ბიძიშვილები, გიორგაშვილები; აგრეთვე მოგვიანებით დამკვიდრებულნი: ბიჭაშვილები, ბერიშვილები, ბაკურაძეები, ბალაშვილები, გავაშლები, გუტაშვილები და სხვ. (იხ. სხვა გადმოცემა ბერიშვილების, ბიძიშვილებისა და ბიჭიშვილების საგვარეულოთა წარმოშობის შესახებ აქვე: “ზესოფელი//ზედქალაქი“). გლოლა პირველად მოიხსენიება ალექსანდრე მეფის 1432 წლის სიგელში. გლოლის ნათლისმცემლის ეკლესია ვახუშტის დროს ყოფილა “აღსილი ოქრო-ვერცხლის ხატითა და ჭუარითა და წიგნებითა“. ისტორიკოსი გიორგი ბოჭორიძე, რომელმაც რაჭაში იმოგზაურა გასული საუკუნის 20-იან წლებში და აღწერა მისი ისტორიული ძეგლები და სიძველენი, გულისტკივილით აღნიშნავდა: “დღეს თითქმის მისი ნაშთიც აღარ არის“ (გ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის სიძველენი, თბ., 1994. გამოსცა ლევან ფრუიძემ. ამავე წიგნშია აღნიშნული, რომ, გადმოცემით, გლოელთა წინაპრები ცხოვრობდნენ სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბუბასა და ტყისთავში). ვახუშტი ბატონიშვილის “აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ გვატყობინებს: “არს გლოლა დაბა მზგავსი ციხისა, კოშკოვან-გოდლოვან-ზლუდიანი. შიგ ეკლესია, აღსილი ოქრო-ვერცხლის ხატითა და ჭუარითა და წიგნებითა, ძველადვე ხიზნულნი“.

გლონინა – სანადირო ედენისრუს აუზში (რივნისთავი).

გობა – ტყიანი სერი ილინე-ნოწარულის წყალგამყოფზე. ინფ.: “გობივით ადგილია და ყვაპებია“ (გლოლა).

- გობეჯენთი - სათიბები მთავარანგელოზთან (გონა).
- გობის წყალა - წყარო, სათიბი ქვედრულის გზისა და საავტომობილო გზის გადაკვეთაზე (ღუნდა).
- გობიწყალა - 1. წყარო გზისპირას, საკაოს საზღვართან, სადაც წყალს გობი ჰქონია შედგმული (მაჟიეთი); 2. წყარო ლესორის გზაზე (ჩორდი).
- გოგასათობა - სათიბი მზიურში, სოფლის განაპირას (გონა).
- გოგახის ყანა - სახნავი ზეხენიერის გორაზე (პ. ლები).
- გოგეენთი - სათიბი ღრჯამაში (ჩვეშურა).
- გოგინაახოვარი - სახნავი ბელლორის მარჯვ. მხარეს (უწერა).
- გოგოეთი - ვაკე-საძოვარი კანქახის მარცხ. მხარეს, ახალსოფელში (გლოლა).
- გოგოეთისყელი - აღმართი გოგოეთსა და ელიაწმინდას შუა (გლოლა).
- გოგინას მინდორი - მინდორი ხორისხლების თავზე (ჩორდი).
- გოგინდისწყალი - წყარო ვაკისუბანში (ლარი).
- გოგინდისწყალი - საძოვარი ჩორდულის მარცხ. მხარეს (ფსორი).
- გოგოტუენბოსელი - სათიბი საყავრე ქედზე (ქიორა).
- გოგოური - სათიბი კობორის დას. ნაწილში (ნაკიეთი).
- გოგინაახო - საძოვარი უწერის საზღვარზე (ნიგავზები).
- გოგინაადგილები - სათიბები ხოლითავში (გონა).
- გოგინეუფარები - სათიბები ჯვარიგორში (ღები).
- გოგოლაანვაკე//მინიკელაანთ ვაკე - ვენახი გოგოლაან(თ) უბანში (ჩინჭვისი).
- გოგოლაან(თ)უბანი - უბანი გომრულისა და რიონის შესართავთან. გოგოლაანები გვარად მეტრეველები არიან (ჩინჭვისი).
- გოგრიჭეულები - სახნავი თევრეშოში. ინფ.: "ალბათ გოგრიჭიანს ეკუთვნოდა და იყიდეს" (ღები).
- გოგრიჭიანები - უბანი ჩორდულის მარცხ. მხარეს, სოფლის დასაწყისში. გოგრიჭიანების წინაპრებს (ორ ძმას) ღებში კაცი შემოკვდომიათ, აქ შემოხიზნულან და გამრავლებულან (ჩორდი).
- გოგრიჭიანთ წყალი - წყარო შიოთის თავზე (ნიგავზები).
- გოდაბრი(ი)ვლა - სერი, საძოვრები კობერიძეების უბანში, ფსორის საზღვართან, სადაც უცხოვრია თავადს, გვარად გოდაბრელიძეს (ცხმორი).

- გოთეწთ სათიბი – სათიბი ზეხენიერის გორაზე (პ. ლები).
- გოდელაური – სასაფლაო ვაკისუბანსა და ორდინიძეების უბანს შუა (ღარი).
- გომანთა – ვაკე-სათიბები საკაოს საზღვართან. ინფ. “გომანთა, როგორც მე ვიცი, სვანური სიტყვაა და ნიშნავს მარანს“ (მაჩიეთი, საკაო).
- გომ/ბ/რულა – რიონის მარცხ. შენაკადი. სათავე აქვს კედელას ქედის სამხრ. კალთაზე. სიგრძე 10 კმ-მდე. წერილობითს წყაროებში დადასტურებულია გომურა ფორმითაც (გომი, ჭინჭვისი).
- გომელაური – სახნავი ბერიკაშვილების უბანში (ცხმორი).
- გომი – სოფელი კედელას ქედის სამხრ. კალთაზე. ძირითადი დასახლება არის რიონისპირიდან 3 კმ-ზე, გომრულის მარჯვ. ნაპირის ფერდობებზე. საკრებულოს ცენტრი (სოფლები: გომი, ჭინჭვისი). ზ. დ. 1190 მ. ქ. ონიდან 12 კმ. 1997 წ. გომში მკვიდრობდნენ გვარები: ჩიხრაძე – 32 კომლი, მალაღაძე – 8 კომლი, ჯოხაძე – 6 კომლი, გავაშელი – 3 კომლი და სხვ.
- გომის ქედი – სერი გომრულის მარჯვ. მხარეს (უწერა).
- გომრულა – იხ. გომ(ბ)რულა.
- გომრულას გადასასვლელი – უღელტეხილი ჩხოჭაში (შოვი).
- გონა – სოფელი ლების საკრებულოში, რაქის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, ჩვეშურის ხეობის შუა წელზე. ზ. დ. 1680 მ. ქ. ონიდან 39 კმ., ლებიდან 7-8 კმ. შემორჩენილია შუა საუკუნეების დარბაზული ტიპის ეკლესია. იგი XIX ს. დამღევს შეუკეთებიათ.
- გონა – სათიბი სახაზოს კალთაზე, ზოფხარელის ორ შენაკადს შუა (მაჩიეთი).
- გონგეთკარი – საძოვარი ტატანურსა და საყვერბიას შუა, სადაც გონგაძეებს ცხვარი ჰყოლიათ (ბაჭიხევი).
- გონგენაზერევი – ტყე შხივქვაბუნასა და გაღმამთას შუა. ინფ.: “დაღმართია და ზიგზაგებით ჩადის ბილიკი. ალბათ ესაა ზერევი“ (ბაჭიხევი).
- გონიველი//გონივერი – სათიბი გონის ქვემოთ (მაჩიეთი).
- გონივერი – იხ. გონიველი.
- გონისრუ – რუ. დომბისწვერიდან ჩამოდის გონაში (გონა).
- გოწყუეთი – სათიბი შხივანის მარცხ. მხარეს (ძეგლევი).
- გორა – ბორცვი, სათიბები გორაწყლის სათავესთან (ჩორდი).

- გორაყანა - 1. სახნავი ბორცვზე, გოგოლაანთ უბანში (ჯინჭვისი);
 2. ვენახი გორაზე, საკაურის მარჯვ. მხარეს (ლაგვანთა);
 გორაწყალი - ჩორდულის მარჯვ. შენაკადი (ჩორდი).
 გორგას ახო - უბანი ქვედა ქალეებში (რივნისთავი).
 გორგინ/ნ/დიწყალი - წყარო ქედის კალთაზე. ინფ.: "გოგირდიანი მჟავე წყალია" (ჯინჭვისი).
 გორგოლია - მრგვალი ბორცვი ხვრელიეთის ბოლოზე (ბაჯიხვევი).
 გორგოლია//გორგოლიეები - მთა, დაღვერილას ჩრდ.-დას. განშტოება ჩორდულის მარჯვ. მხარეს. ამ მთაზეა ლესორა (ჩორდი).
 გორგოლიეები - იხ. გორგოლია.
 გორგონთა - სასაფლაო, წმ. გიორგის სალოცავი ქვედა საკაოში, დიდრუს მარცხ. მხარეს. ინფ.: "მრგვალი ადგილია და იმიტომაც დარქმევია გორგონთა" (საკაო).
 გორუები - საძოვრები ჯინჭვისის საზღვართან (გომი).
 გორუ/ე/ბი - გორა-საძოვრები გონისრუს სათავესთან (გონა).
 გორუებისრუ - იხ. ბოძალირუ.
 გორუენხვანტები - სათიბი ხვანტებში (ჭიორა).
 გორია - საძოვარი სოფლის ჩრდ. ნაწილში (ნიგავებები).
 გორია//ჯაგონთ გორია - სახნავი ნაშვეენთ ღულთის ქვემოთ, ჩვეშურის მარჯვ. მხარეს (ღები).
 გორიბოლო - სათიბები რიონის მარჯვ. მხარეს, ბართუზლირუს შესართავთან (რივნისთავი).
 გორიკეები - სათიბები ხვარგულის მარცხ. მხარეს (ჭიორა).
 გორიკუნა//საქარია გორიკუნა - ბორცვი სოფლის შემოგარენში (ჭიორა).
 გორისა - გორა და უბანი მაჟიეთისა და ხიდეშლების საზღვარზე. გორა საზიაროა, უბანი კი სოფ. ხიდეშლებისაა.
 გორისბოლო - ერქვა სახნავებს ჭანჭახის მარჯვ. ნაპირას, სოფლის თავში. ამჟამად აქაა უბანი გორისბოლოს უბანი (გლოლა).
 გორისბოლოს უბანი - იხ. გორისბოლო.
 გორისის მჟავე წყალი//მლაშე წყალი - წყარო გორისაში (ხიდეშლები). იხ. აგრეთვე: გაღმა მჟავე წყალი.
 გორისქედი - სერი, ქორიბუდის განშტოება (ჭიორა).
 გორი(ს)წყარო - წყარო, სათიბი გორაზე, ამბალეურსა და ვაკისუბანს შუა (ღარი).



- გორიყელა** – სათიბი გაღმეებში (ბაჯიხევი).
- გორმანი** – საკარმიდამოები სოფლის განაპირა ნაწილში. ინფ.:
 “ხალხურ ლექსშიცაა ნათქვამი: „ჩავხედე გორმანს
 თელნარისასა, ირმისა ჯოგი ძოვდაო“ (პ. ლები)
- გორმანიბოლო** – სახნავი გორმანში (პ. ლები).
- გორსუკანი** – ვენახი გორისწყაროს თავზე (ლარი).
- გორშო** – საძოვარი რიონის მარცხ. მხარეს, ქვედა ვაჭასთან
 (ქიორა).
- გოტონრუ** – სათიბი წყაროფარში (ლები).
- გონეწთ ლეკნარი** – იხ. ლეკნარი.
- გონიაღლე** – საძოვარი წოხისრუს აუზში (ლები).
- გოჩუნაანწვერი** – მთა, სათიბი გომრულა-ლარულის
 წყალგამყოფზე (გომი, ჭინკვისი).
- გოცირაულა** – სათიბი დიდახოსა და ქვესათალს შუა (ცხმორი).
- გოცირიძეები//გოცირიძეების უბანი** – სოფლის დიდი უბანი ლუნდის
 მთასა და ცხმორის საზღვარს შუა. იყოფა ორ მიკროუბნად:
 ზედეები//ზედა უბანი – მთის ზედა კალთაზე, და
 ედეები//ქვედა უბანი – მთის ქვედა კალთაზე (ლუნდა).
- გოცირიძეების უბანი** – იხ. გოცირიძეები.
- გოცირიძის დანია** – იხ. დანია.
- გოჭითავა** – საძოვარი საბანაძეებში, ცხმორის საზღვართან
 (ლუნდა).
- გოჭიკალია** – საძოვრები საკაურის მარჯვ. მხარეს, მთის კალთაზე.
 იყოფა: ზედა გოჭიკალია, ქვედა გოჭიკალია. შუაში ტყეა და
 გადის „სახასო გზა“. ინფ.: “გოჭი მოუკლავთ და ამიტომ
 დაურქმევიათ“ (საკაო).
- გოჭიკალიას ღელე** – საკაურის მარჯვ. შენაკადი (საკაო).
- გრიგოლანატეხი** – ახო რუთავში (გონა).
- გრიგოლის ბაღუკა** – სათიბი კობეხაურის თავზე (უწერა).
- გ(რ)ძელა** – საძოვარი ჩორდულის მარცხ. მხარეს (ფსორი).
- გრძელი ტბა** – 1. ტბა სახაზოში (მაყიეთი); 2. ტბა ჭიხურსა და
 წინა შოდას შუა, ჩადაბლებაზე (საკაო).
- გუბზედა** – წყარო ვაკისუბანში. ინფ.: “ვიტყვი, გუბზედას წყალი
 მომაქვსო“ (ლარი).
- გუბილა** – სახნავი კაპიწასთან, სადაც ერთგან თბილი წყალი
 ჩამოდის (ცხმორი).

- გუბისთავი** – საძოვარი ნამოსახლევის თავზე (ლარი).
- გუბუნა** – საძოვარი შალიკიანუბანში. ერთგან ჩადაბლებული ადგილია, სადაც გუბე უნდა ყოფილიყო (მაჩიეთი).
- გუბუნები** – საძოვარი ჩვეშურის მარცხ. მხარეს, სადაც პატარა-პატარა გუბეებია (ჭიორა).
- გუგეშაურ(ებ)ი** – სახნავეები სახტრიყელის კალთაზე (ჩორდი).
- გუგეშაურის წყალი** – წყარო გუგეშაურ(ებ)ში (ჩორდი).
- გუგეშაშვილები** – ყოფილი დასახლებული უბანი მეწყრიყების სერის ძირას (ბორცო).
- გუგულისწყალი** – 1. წყარო სავლედურაში. „სავლედურაში სხვა წყაროებიც იყო, მაგრამ ეს გაზაფხულზე ქრებოდა გუგულივით“ (ბორცო); 2. ჩორდულის მარჯვ. შენაკადი (ჩორდი).
- გუგულიწყარო** – წყარო ჭალებებისწყლის ნაპირას (ბაჯიხევი).
- გუგუნაური** – სათიბი კვაჩის საზღვართან (ლარი).
- გუგუტიანთ ნაბოსლვეი** – სათიბი ჯოხაძეებში. ინფ.: „გუგუტიანთი ჯოხაძეების ერთი ბაბუიშვილობაა“ (ფსორი).
- გულ(ა)დამწვარი/გულ(ა)დამწვრები** – სათიბები ჭეჯორის მარცხ. მხარეს, ლუნდის მთის კალთაზე. ინფ.: „მზიგული ფერდობია და დამწვარია“ (ლუნდა).
- გულ(ა)დამწვრები** – იხ. გულ(ა)დამწვარი.
- გუნთო** – საძოვრები სოფლის მთაგორიან ნაწილში. იყოფა: მაღალი გუნთო, ღელეგუნთო (ფარავნეში).
- გუნთოტყე** – ტყე გუნთოსთან (ფარავნეში).
- გურაწყარო** – წყარო შიოთაში (ნიგავეები).
- გურგანელი** – სათიბი წითელწყალუკის მარცხ. მხარეს (ფსორი).
- გურგვალა** – მრგვალი გორა, საძოვარი სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში (ფარავნეში).
- გურგულები** – ბორცვი, სათიბი შოდურის მარცხ. მხარეს. ინფ.: „გურგულებია, ე. ი. მრგვალია“ (პ. ლები).
- გურულები** – უბანი ბორჯანის მარჯვ. მხარეს. გურული აქ მცხოვრებთა გვარია (ცხმორი).
- გუსირი** – სათიბი, ტყე ჭეჯორისა და სვანურის შესართავთან (ლუნდა).
- გუტაიანთ ღერე** – იხ. ღერე.
- გძელა** – 1. საძოვარი ფსკრავლის გვერდით (ბაჯიხევი); 2. სახნავეები სოფლის შემოგარენში (ლუნდა).



- გქელეკები – საძოვარი საბანაძეებში (ლუნდა).
- გქელველი – 1. საძოვარი ოქაში (ლარი); 2. სათიბი საბტრიველის დას. კალთაზე (ჩორდი); 3. იხ. გქელი.
- გქელველუკა – სათიბი ნასოფლიწვერის კალთაზე (გომი).
- გქელი//გქელველი – ვაკე, სათიბი ფოცხრევის მთის ძირას (ბაჯიხევი).
- გქელის შყავე წყალი – ვეძა გქელაში (ლუნდა).
- გქელი ფსკრავლი – იხ. ფსკრავლი.
- გქელკვალა – სახნავი ქანჭახის ქალაში. ინფ.: “გქელი კვალები გადიოდა“ (გლოლა).
- გქელუკა – საძოვარი საბანაძეებში (ლუნდა).
- გქელყანა – 1. ტყე საკაურის მარჯვ. მხარეს (ლაგვანთა); 2. სათიბი დედაბერას თავზე (ნიგავზები).
- გქელწითელა – სახნავი კობერიძეების განაპირას. მიწა წითელი (ბაჯიხევი).
- გქელხოლი – ფერდობი მუხაშურის მარჯვ. მხარეს (პ. ლები).

დ

- დაბლაჭალა – იხ. ნაჩხუბარჭალა.
- დადრევილა – იხ. დადრევილა.
- დადრევილა//დადრევილა – ტყიანი სერი გომის საზღვარზე, კვაქაში (ლარი).
- დავითიაზო – იხ. ზაქარეეჭალა.
- დავითნიშნიგორა – სათიბი მარიამის წვერზე (ჭიორა).
- დავითუნაყანა – საძოვარი ქარაფისხლის თავზე, სოფლიყანის გვერდით (ნიგავზები).
- დათახეული ყანუკა – სახნავი ნადიკვართან (წმენდაური).
- დათვების ყანა – იხ. დათველიყანა
- დათველიყანა//დათვების ყანა – საძოვარი სოფლის თავზე (ლები).
- დათვიგადასაყალა – საძოვარი ლოროში (ხიდემლები).
- დათვიგადმოსახედავა – მთა ოქანურის ზემოთ (ძეგლევი).
- დათვინაური – სახნავი მთაგორის კალთაზე, ბორჯანის მარცხ. მხარეს (ცხმორი).
- დათვინიკააზო – სათიბი კვაქაში (გომი).
- დათვისაბანაო – ტლაპო ფიცართის თავზე (ცხმორი).

დათვისაწუშპარა - ტლაპო ქორიბუდეში, შოდურის მარჯვ. მხარეს (პ. ლები).

დათვისაწუშპარო - საძოვარი მუშუანის მარჯვ. მხარეს. ინფ.:
“დათვი წუშპაობდა პონტიკეებში“ (უწერა).

დათვისაწური - ტყე, დათვისაწურიღელის ხეობა. ინფ.: “აქ
შემორეკავდნენ დათვებს და ნადირობდნენ“ (ბაჯიხვევი).

დათვისაწურიღელე - ჩილორულის მარცხ. შენაკადი (ბაჯიხვევი).

დათვისყანუკა - სახნავი სოფლის განაპირას. ინფ.: “სიშინდს
თესდნენ და დათვი იყო შემოჩვეული“ (გლოლა).

დათიაგორა - ბორცვი სოფ. ჭინჭვისის საზღვართან (ღარი).

დათიასათიბი - სათიბი ჭვარიგორში (ღები).

დათიკაანთ უბანი - იხ. ზოსია(ა)ნთ უბანი//ზოსიიანი.

დათიკანასადგურები - იხ. დათიკანასადგურევი.

დათიკანასადგურევი//დათიკანასადგურები - სათიბი საყავრე
ქედზე (ჭიორა).

დათიკანასადგურევის დელე - დელე, რომელიც ჩაედინება
დათიკანასადგურებიდან ბინულეებში (ჭიორა).

დათიკიანთები - იხ. ლობჯანიძეები.

დათილაყანები - სახნავები კვატაში (გომი).

დათინაანთები - უბანი ზედა საკაოში (საკაო).

დათოულა//დათოულეები - სათიბი ზეციეთაში. ინფ.: “ერქვა ორ
ყანას, გზის ზემოთ და ქვემოთ. ამიტომაა დათოულეები“
(ნაკიეთი).

დათოულეები - იხ. დათოულა.

დათუნაველი - სათიბი ჩდილში (ჭინჭვისი).

დათუსაწუშპარა - საძოვარი მეწყრიყბისერის კალთაზე (ბორცო).

დათუკაიანთ ვაკე - სათიბები სხარალში (საკაო).

დაკვალულა - სახნავი რიონის მარჯვ. მხარეს (ფარავნეში).

დამადუნა - სათიბი დამადუნაწყლის ნაპირას ინფ.: “აქ წყალი
დავლიე და დამადუნაო, უთქვამს ვილაცას“ (ბაჯიხვევი).

დამადუნაწყალი - რიყისწყლის მარცხ. შენაკადი (ბაჯიხვევი).

დანია - სათიბი მთაგორაში, ბოსელას დელესა და ჭინჭარის დელეს
შუა. იყოფა: გოცირიძის დანია, იოსებადანია, სვიმონადანია
(ცხმორი).

დარიკოჭალა - სახნავი ღარულიპირებში (ღარი).

დაუთა - სათიბი (მ)ბლაჯანის მარცხ. მხარეს (ცხმორი).

დაღვენტილი – ქედი, ტყე რიონის მარცხ. მხარეს (ქიორა).
დაღვერილა//დაღვერულა – მთა და უღელტეხილი რაჭის ქედზე, ონის, ჯავისა და საჩხერის რ-ნების საზღვარზე. ჩრდილოეთით, მდ. ჭეჯორისაკენ გაედინება ჩილორულა, წმინდა წყალი, ვათრა, დუნჯინი, ხოლო სამხრეთით, ყვირილასაკენ – თედელეთის წყალი და ხახეთის წყალი. ინფ.: “დანაოჭებულ ადგილს ეწოდება დაღვერილა“ (ბაჭიხევი, ლესორა და სხვ).

დაღვერულა – იხ. დაღვერილა.

დაცული – 1. საძოვარი ბაღოთების თავზე, ბაჭიხევის საზღვართან (ცხმორი); 2. მინდორი ფსორის საზღვართან (ლუნდა).

დეგდისე//დესციხე (იხ).

დედაბერა – 1. სახნავი საბაზოს ქვემოთ, რისინეს მარცხ. მხარეს. ინფ.: “ერთი დედაბერი აქ სიცივით მოშკვდარა. აქვე დაუშარხავთ. ახლა ამვლელნი და ჩამვლელნი ფიჩხს ყრიან, აქაოდა, ცეცხლს დაანთებს, არ შესცივდებაო. ნაკრძალიწითაა“ (მაყიეთი); 2. ვაკე-საძოვარი უწერის საზღვართან, ამბალეურის გვერდით (ნიგავზები); 3. მინდორი დედაბერაღელის სათავესთან (წმინდაური).

დედაბერაღელე – ჭეჯორის მარჯვ. შენაკადი (წმინდაური).

დედაკვინი – კლდოვანი მთა შოდის ქედზე, მუშუანის სათავესთან (უწერა, ნიგავზები).

დედაკვინისწვერი – მთის წვერი ოქანურის სათავესთან (უწერა).

დედაღვთისა – სალოცავი, სასაფლაო ნინიკელაანთ უბანში, გომრულის მარჯვ. მხარეს (ჯინჭვისი).

დედაღვთისა//დედაზვთისა – ეკლესია, ციხესიმაგრე ლათქიშორ-ზეხენიერის წყალგამყოფზე (პ. ღები).

დედაზვთისა – 1. სალოცავი ზედა ძეგლევში (ძეგლევვი); 2. სალოცავი თავარანგლოზის ქვემოთ (ფარავნეში); 3. ტყე, სალოცავი გორიყელს ზემოთ (ბაჭიხევი); 4. იხ. დედაღვთისა.

დედიყანა – სახნავი საბტრიყელის დას. კალთაზე (ჩორდი).

დედოფლიკარა – გზა-გასასვლელი კლდოვან ვიწრობში, ოქანურის მარჯვ. მხარეს, ნაქალაქევის გზაზე. ინფ.: “დედოფალს შეუბამს რკინის კარები. კლდეზე გამოსახული ყოფილა დედოფლის ფეხის ტერფი, ხოლო გზისპირა ბრტყელ ქვაზე – ცხენის ნალი“ (ძეგლევვი).

დედოფლისწყარო – წყარო ბელლორის სათავესთან, ალპურ



ზონაში. ინფ.: “კარგი წყალია, უმაღლესი, ადგილიც ლამაზია. ამიტომ ეწოდება დედოფლისწყარო” (უწერა).

დევისა კარცხულა – ტყე მუხამეშში. ინფ.: “დევის ფეხის დანადგამია ქვაზე. ეს ქვა ვითომ მისი საკარცხული იყო და ხშირად ჩამოვ დებოდა”. (პ. ლები).

დევის კენჭა – დიდი ლოდი ციხეებთან, რიონის მარჯვ. მხარეს. ინფ.: “დევი კენჭაობდაო კეფხას და გადმოვადლოო ციხეებთან” (უწერა).

დეკლეთენხვანტი – სათიბი ხვანტებში (ქიორა).

დეკრიშა//დეკრუშა//დეკრუშანადგომი – სათიბი ზოფხითოგორის კალთაზე (რივნისთავი).

დეკრუშა – იხ. დეკრიშა.

დეკრუშანადგომი – იხ. დეკრიშა.

დენტაურა – სახნავი ქალეებისწყლის მარცხ. მხარეს (ბაჯიხევი).

დესეშაური – სახნავი ბორჯანის მარჯ. მხარეს (ცხმორი).

დეტონთ ადგილები – სათიბები ჩვეშოში (გონა).

დეტუეფარი – სათიბი დომბრულის მარჯვ. მხარეს (ჩვეშურა).

დეტუეფელე – სათიბი დეტუეფართან (ჩვეშურა).

დეურუ – ხევი ძეგლევის საზღვართან (ნაკიეთი). დეუ პირსახელია.

დეფიეთი – საძოვარი ქ. ონის საზღვართან (წმენდაური).

დეხციხე//დეგდხე – სახნავი, არეშიძეების ნაციხარი გასახვიელში, მუხამეშურის მარცხ. მხარეს (პ. ლები).

დვალდიეთ უბანი – უბანი სოფლის აღმ. ნაწილში, უწერის საზღვართან. ინფ.: “ცხოვრობენ დვალიშვილები და რეხვიაშვილები. დვალიშვილების ბაბუიშვილები არიან: პაპიენთი, ტონეენთი, სოლომანეენთი, დეთიენთი, პეტრიენთი, წყალობეენთი, ოტიენთი, მოსიენთი; ხოლო რეხვიაშვილებისა – ასლანეენთი და დეუენთი. ამათი წინაპარი ყოფილა დეო//დეუა” (ნიგავზები).

დვალდიეები – დვალდიეების უბანი სოფლის ცენტრში. იყოფა მიკროუბნებად: ბიჭებიანთები, გვეშაურიანთები, შალიკიანთები, შოშიკაანთები (ბაჯიხევი).

დვალდიეების კალთები – მინდორი დვალდიეების განაპირა (ბაჯიხევი).

დვალდიეების შიდავლითავი – საძოვარი შიდაველის თავზე (ბაჯიხევი).

- დიაკვნიათი – ერქვა უბანს კვათაში (გომი).
- დიაკვნიათი ყანები – სახნავი კვათაში. ინფ.: „დიაკვნიათი გავაშლები იყვნენ. აქ ყანები ჰქონიათ“ (ლარი).
- დიაკვნის წყალი – წყარო კოკონაურებში. ინფ.: „აქ დიაკვნის წყალი დაუღვია და დამხრჩვალა“ (ნიგაეზები).
- დიანთის აკავანა – იხ. აკავანა.
- დიანთის ახუა – იხ. ახუა.
- დიდარყი – სახნავი ნაძერძევის მარცხ. მხარეს (ფსორი).
- დიდახო – 1. საძოვარი ოქაში (ლარი); 2. სათიბი კვირიკაშვილების უბანში (ცხმორი); 3. სათიბი ჭალეებისწყლის მარცხ. მხარეს (ბაგიხევი) და სხვ.
- დიდახოები – სახნავები რიონის მარცხ. მხარეს (ქიორა).
- დიდველი – სათიბი შთალაში (ჩვეშურა).
- დიდვერძა – ვეძა გომრულის ნაპირას, დიდრუს შესართავთან (გომი).
- დიდი ბართუშელი – იხ. ბართუშელი.
- დიდი გზა – საავტომობილო გზა საბანაძეებში (ლუნდა).
- დიდიგზისთავი – ტყე-მინდვრები დიდი გზის ზემოთ (ლუნდა).
- დიდი გომი – სოფლის ცენტრალური ნაწილი, სადაც მდებარეობს ჩიხრაძეთა რამდენიმე მიკროუბანი: სიმონიანთ უბანი, მამუჩიანთ უბანი, მაღალიანთ უბანი, გიგიტიანთ უბანი, ტბეთელეთი//კიმეთელე(თის)უბანი (გომი).
- დიდი ზოფხითო – იხ. ზოფხითო.
- დიდი თანისი – იხ. თანისი.
- დიდი თიშა – იხ. თიშა.
- დიდი ლუხუში – მთა ლეჩხუმის ქედზე, სასვანოწყლის სათავესთან (რივნისთავი).
- დიდი ნაძვი – საძოვარი მეწყრის თავზე (გონა).
- დიდი რუ – საკაურის მარცხ. შენაკადი (ბორცო, საკაო).
- დიდი სანარცხე – იხ. სანარცხე.
- დიდი სახოლი – აღმართი ლები-გონის გზაზე, ჩვეშურის მარჯვ. მხარეს, ცალუღელას გვერდით (ლები).
- დიდისახოლითავი – იხ. დიდ(სა)ხოლითავი.
- დიდი საჯვარე – სერი რიონისა და გვერითულის მარცხ. მხარეს ჟარონეთის აღმოსავლეთით (უწერა).
- დიდი ქვა – იხ. ქვაციხურა.

დიდი შოდა - იხ. შოდა.

დიდი ჩაგარანთო - იხ. ჩაგარანთო.

დიდი ხოფითო - იხ. ხოფითო.

დიდკარათა - სათიბი ფორხიშულის მარცხ. მხარეს (ღები).

დიდკოდები - ბილიკი, კლდეები სკოდორულის მარჯვ. მხარეს (უწერა).

დიდრუ - საკაურის მარცხ. შენაკადი (ბორცო, საკაო).

დიდრუ // დიდრუსწყალი - გომრულის მარჯვ. შენაკადი.

ჩამოედინება ლეხნარიდან (გომი).

დიდრუსწყალი - იხ. დიდრუ.

დიდ/სა/ხოლითაფი//დიცახოლითაფი - სახნავები დიდი სახოლის თავზე (ღები).

დიდსოფელი - ხშირად ასე მოიხსენიებენ სოფ. ღებს.

დიდქოთანა - ვაკე-სახნავი მუშუანის მარცხ. მხარეს. „დიდი ქოთანი დაუდგამთ და ლობიო მოუხარშავთ“ (უწერა).

დიდღელე - რიონის მარცხ. შენაკადი ჭვარისწყალთან (რივნისთავი).

დიდღელე//წმინდა ველების ღელე - ნოწარულის მარჯვ. შენაკადი (ჭიორა).

დიდღელე(ები) - საძოვრები ჭეჯორის მარცხ. მხარეს. „ღელე საზვავე ადგილია“ (ჩორდი).

დიდყანა - 1. სათიბი პატარა ზოფხიტოში (რივნისთავი); 2. სათიბები შოდის ქედზე (პ. ღები); 3. სათიბები ოჭაში (ლარი); 4. საძოვარი სავლედურაში (ბორცო); 5. საძოვარი ზოფხარელის მარჯვ. მხარეს (ხიდემღები); 6. საძოვარი ძეგლევის საზღვართან (ნაკიეთი); 7. სათიბი აფურცხლუანის გვერდით (ფარავნეში).

დი(დ)ჭყორისპირი - სათიბი დიდრუს მარცხ. მხარეს (გომი).

დიღუკა//დიღუკა - სათიბი ბორჯანის მარცხ. მხარეს (ცხმორი).

დიღუკა - იხ. დიღუკა.

დიღვარა//დიმლარა//დიმრალეები - საძოვარი სოფლის ჩრდ. - დას. ნაწილში, რუჩუიპირებში (ნიგავზები, ფარავნეში).

დიმლარა - იხ. დიღვარა.

დიმრალეები - იხ. დიღვარა.

დინუარა//მდინვარა - ვაკე-საძოვარი საბანაძეებში, სორგითის საზღვართან (ლუნდა).

- დიენარა – საძოვარი მბლავანის მარცხ. მხარეს (ცხმორი).
- დიცახლოთაფი – იხ. დიდ(სა)ზოლითაფი.
- დოლაძისისწვერი – მთა, მწვერვალი კედელას ქედზე. გომრულის სათავესთან. სიმაღლე 3267 მ. ინფ.: „დოლა ნიშნავს ფართოს. აქ მწვერვალზე ვაკეა“ (შოვი).
- დოლაქედი – სათიბი ღარულის მარჯვ. მხარეს (გომრულა).
- დომბა – მთა, რაჭის კავკასიონის განშტოება (ჩვეშურა).
- დომბისწვერი – დომბის მწვერვალი (ჩვეშურა).
- დომბურა – მყინვარი, საძოვრები დომბაზე (ჩვეშურა).
- დომბურისრუ – იხ. დომბურულა.
- დომბურის წითელი – იხ. წითელი.
- დომბურულა//დომბურისრუ – მდინარე. სათავე აქვს დომბურაში. ერთვის ჭანჭახს - ჩვეშურის ერთ-ერთ მდგენელს (ჩვეშურა).
- დომელაჭაღა – სათიბი რუმოძალის ნაპირას. დომელა პირსახელია (რივნისთავი).
- დომენტის სათუთუნე – სახნავი ბერიკაშვილებში (ცხმორი).
- დორმან(ი)ეთი – ვენახები რიონის მარჯვ. ნაპირას (ლაგვანთა, ნაკიეთი).
- დოსვენა//დოსონა – მთა-სათიბები, საარჩევ კლდეები დედაკვინის დას. კალთაზე, ვოქანურის სათავესთან (ნიგავზები).
- დოსონა – იხ. დოსვენა.
- დოშვერა – საძოვარი, სალოცავი მთის გზაზე, დოშვერის წყლის სათავესთან (გომი).
- დოშვერისწყალი – გომრულის მარჯვ. შენაკადი (გომი).
- დღვიორა – ჭანჭახის მარცხ. შენაკადი გლოლისა და კურორტ შოვის საზღვარზე. მოედინება დოლაძისისწვერის ძირიდან (გლოლა, შოვი).
- დღვიორას ყვაპი – იხ. ყვაპი.

მ

- ებრაელების უბანი – უბანი ქალაქის აღმ. ნაწილში (ონი).
- ედენა – მწვერვალი და მყინვარი რაჭის კავკასიონზე, რიონის სათავესთან. სიმაღლე 2723 მ. (რივნისთავი).
- ედენიკილო – გადასასვლელი სამქნავიდან ედენაში. ინფ.: “კილო არის უღელტეხილი, უნაგირა“ (რივნისთავი).

- ედუნისრუ - რიონის მარცხ. მდგენელი. მის მარცხ. მხარეს არის მზიურედენა, ხოლო მარჯვ. მხარეს - ჩილედედენა (რივნისთავი).
- ევას კაკლები - ნიგვზნარი გოგოლაანთ უბანში (ჩინჭვისი).
- ეზო - სათიბები კვირიკაშვილების უბანში, (ცხმორი).
- ეზოს წყალი - წყარო ეზოში, ნამოსახლარზე (ცხმორი).
- ეკლარა - სათიბი დიდელის გვერდით (ჩორდი).
- ეკლიანი - სათიბი ზედა ციცასა და ნამეედნევს შუა (ბაჩიხევი).
- ეკლიასხალი - საძოვარი მარწყვეულასთან. ინფ.: „სხალს ეძახიან, თუმცა კი ეკალი არა აქვს“ (ნიგავზები).
- ელაია//ელიაწმინდა - საძოვარი ბუბაში (შოვი).
- ელაიაწმინდა - 1. სალოცავი, საკარმიდამოები ახალსოფელში (გლოლა); 2. იხ. ელია.
- ელაიაწმინდის დელე - ჭეჯორის მარცხ. შენაკადი საბანაძეებში (ლუნდა).
- ელნეცა - მთა რიონისა და ქანჭახის მარცხ. მხარეს (გლოლა, უწერა).
- ენდელი - სახნავი გორისბოლოს უბანში (გლოლა).
- ერასტიქედი//ქედი - სათიბი საკაურის მარჯვ. მხარეს, გაღმა ახოს გვერდით (ხიდეშლები).
- ერბუა - სათიბი ხვანტში. “ერბუა ტკბილი მსხლის ჭიშია” (ბაჩიხევი).
- ერეეთანი//ერეეთნები - სახნავი მუშუანის მარცხ. მხარეს, დასახლების თავზე. „ერეეთანი მეტრეველების განაყოფია“ (უწერა).
- ერეეთნები - იხ. ერეეთანი.
- ერეშიანთ ველი - სათიბი სხარალაში (საკაო).
- ერშელეურები - სათიბი მზიურის თავზე (გომი).
- ეუდას ახო - სახნავი ქ. ონის თავზე. ეუდა პირსახელია (წმენდაური).
- ეშმაკურა - რიონის მარჯვ. შენაკადი. ერთვის სოფლის ცენტრიდან ჩრდილოეთით 7 კმ-ზე (უწერა).
- ეწერი - 1. ტყე, საძოვარი ზედა საკაოში, ბოდეურის მარჯვ. მხარეს (საკაო); 2. ტყე-სახნავები აბესალაშვილების უბნის თავზე (მაფიეთი); 3. ტყე მარიქელის თავზე. ინფ.: “ჩვენში ეწერი მწირი მიწაა” (ბაჩიხევი); 4. ფერდობები გძელას თავზე (ლუნდა).
- ეწერი//ეწერები - ტყე-ფერდობები ფარავნემის საზღვართან ყოფენ: ქვედა ეწერი, შუა ეწერი, ზედა ეწერი (ნიგავზები).

ეწრები - იხ. ეწერი.

ეწრიგორა - ტყე, გორა ეწერთან (ბაჯიხევი).

ეწრივაკე - ვაკე-სახნავი ეწერთან (ბაჯიხევი).

3

ვაზანა - სახნავი ჭიბისთავში (გლოლა).

ვათათანა // ვათათანი - სათიბი ღარულის მარცხ. მხარეს, ორდინიძეების პირდაპირ (ღარი).

ვათათანი - იხ. ვათათანა.

ვათათნის წყალი - წყარო ვათათანასთან (ღარი).

ვაკე - 1. სახნავი ოქის გვერდით (ღარი); 2. სათიბი დედისანის გვერდით (ჩორდი); 3. დავაკება საბურთვალოს ზემოთ (ლუნდა); 4. იხ. ვირა(ტყე).

ვაკეები - ვენახი რიონის მარცხ. მხარეს (ჯინჭვისი).

ვაკე ეზო - სათიბი ეზოში (ცხმორი).

ვაკე თენარი - სათიბი თენარებში (ჩორდი).

ვაკე შეტყერაული - საძოვარი შეტყერაულში (გომი).

ვაკე შოდლორი - იხ. შოდლორი.

ვაკე ნაძვნარი - ტყე ტატანურგორასა და კობისატებს შუა (ბაჯიხევი).

ვაკე ნოწარა - საძოვარი ნოწარულის მარჯვ. ნაპირას. სოფლიდან 15-16 კმ-ზე (ჭიორა).

ვაკეოჭის წყალი - წყარო ოქაში, ონჭევის მახლობლად (ღარი).

ვაკე ტბათანი - იხ. ტბათანა (ღარი).

ვაკეტყე - მინდორი ვაკესთან (ლუნდა).

ვაკე ურუში - სათიბი ურუმში (უწერა).

ვაკე ფატართა - საძოვარი ფატართაში (ბაჯიხევი).

ვაკე ღორთა - დავაკება, ტყე კობორში (ნაკიეთი).

ვაკე შოშეთი - სახნავი შოშეთებში (ღები).

ვაკე წყარო - სათიბი ზედა საკაოში, ბოდეურის მარჯვ. მხარეს (საკაო).

ვაკე ჭიქურთი - იხ. ჭიქურ(ებ)ი.

ვაკეხირა - სათიბები ჩორდულის მარცხ. მხარეს, ნადობნევის გვერდით. ინფ.: "ხირა დახრამული ადგილია" (ფსორი).

ვაკია - 1. სახნავი ზეციეთში (ნაკიეთი); 2. იხ. ზედა ვაკია.

- ვაკიბოლო - სახნავი რიონის მარცხ. მხარეს (ჯინჯვისი).
- ვაკითავი - საძოვარი ნაღვარევის თავზე (ღები).
- ვაკისთავი - იხ. ნაყვერავი.
- ვაკისუბანი - უბანი ლარულის მარჯვ. ნაპირის ვაკეზე, ქელიძეების უბანსა და ორდინიძეების უბანს შუა (ლარი).
- ვაკისწყალი - წყარო ვაკეში (ჩორდი).
- ვაკუნეები - პატარა ვაკეები ნასყანიბეგსა და ორლელუკეებს შუა (ბორცო).
- ვალაისქოში - სუქთიქომის შენაკადი (შოვი).
- ვალახტოველი - მინდორი წვერახმელის კალთაზე. ვალახტო პირსახელია (ხიდეშლები).
- ვალოდიას ქარები - სათიბი ფხონიმეწყერსა და სადვალოს შუა (ბაჯიხევი).
- ვანეთი - სახნავები ქანჭახის მარჯვ. მხარეს. ინფ.: "შეიძლება ვანოს ოჯახისა იყო. მაგალითი: ბერიშვილი - ბერიეთი" (გლოლა).
- ვანიანთი - ერქვა უბანს კვათაში (გომი).
- ვარაში - მინდორი ზედა უბანში (წმენდაური).
- ვარდანლები - ტყე-საძოვარი სოფლის განაპირას (ფსორი).
- ვარდენის წყალი - წყარო ვაკისუბანში (ლარი).
- ვარდფორიტა - გორა, სათიბი რიონის მარცხ. მხარეს, ჯვარიგორის გვერდით. ინფ.: "ვარდით ლამაზი ადგილია" (რივნისთავი).
- ვარდიქალაქუნა//ვარდიქალაქურა - საძოვარი ჩვეშურის მარცხ. მხარეს „ყვავილიანი და ხეხილიანი ადგილია“ (კიორა).
- ვარდიქალაქურა - იხ. ვარდიქალაქუნა.
- ვარტყიანყანა - იხ. ბარტყიანყანა.
- ვარღმა - ვაკე-ფერდობები ნამოსახლევის სერზე (ლარი).
- ვასილის წყარო - წყარო საკაურის მარჯვ. მხარეს (ლაგვანთა).
- ვაშაურა - სახნავი ვაშაურიგორაზე (ჩორდი).
- ვაშაურფორა - ფერდობები მელაძეებსა და მიქუქაძეებს შუა. ინფ.: "დიდი აღმართებია. ბოლომდე რომ აუვლიათ, ვაშა და ურა დაუძახიათ" (ჩორდი).
- ვაშლარა//ვაშლარეები - ტყე მუზრულის მარცხ. მხარეს. (უწერა).
- ვაშლარეები - იხ. ვაშლარა.
- ვაშლარფანი - სათიბები სკოდორულის მარჯვ. მხარეს (უწერა).
- ვაშლუნა - სათიბი ბორჯანის მარცხ. მხარეს (ცხმორი).
- ვაშლუნანას დელე - ხევი ვაშლუნანაში (ცხმორი).

- ვანელაქელი** – სათიბი ზადანეურთან (გონა).
- ვანინაური** – სათიბი ქალეებისწყლის მარჯვ. მხარეს (ბაჯინხევი).
- ვაციწვერა** – 1. სათიბი ზედა საკაურაში, რგვალველთან (საკაო);
2. სათიბი მუხამეშში, სადაც ხარობს ბალახი ვაციწვერა (პ. ლები).
- ვაციწვერი** – შთა, საძოვარი ლეჩუმის ქედზე, სადაც სვანეთის გზა გადადის (რივნისთავი).
- ველა** – 1. სათიბი ლათქიშორ – ზეხენიერის წყალგამყოფზე (პ. ლები);
2. ვაკე რიონის მარჯვ. ნაპირას (უწერა, ნიგავზები).
- ველგრძელა** – სათიბი სკოდორულის ხეობაში (უწერა).
- ველები** – 1. ვაკე-ნასოფლარი ჩვეშურის მარცხ. მხარეს, შომის ხიდის ზემოთ (გონა); 2. ტყე-სათიბები ეარონეთის თავზე (უწერა); 3. სათიბი ზედა საკაოში (საკაო).
- ველეფა//ველეფი** – სერი, სათიბ-საძოვრები ღარულის მარცხ. მხარეს, ქვედის საზღვარზე (ღარი).
- ველეფი** – იხ. ველეფა.
- ველეფის ხიდი** – ხიდი ღარულაზე (ღარი).
- ველიბოლო** – სათიბი ველაში (ნიგავზები).
- ველ/ი/გძელა** – სათიბი ზოფხითურის მარცხ. მხარეს (რივნისთავი).
- ველიფელაგადასავალი** – გზა რიონის მარჯვ. მხარეს. გადადის რეხების თავზე ქიორიდან უწერაში (ქიორა).
- ველიმბილა** – სათიბი რუმბოძალის მარჯვ. მხარეს, კუნჭულას პირდაპირ (რივნისთავი).
- ველიმბილატყვრები** – ტყე ველიმბილაში (რივნისთავი).
- ველისი** – ვაკე-სათიბი ნამოსახლევის სერის აღმ. ნაწილში (ღარი).
- ველიდელე** – სათიბი მუხამეშში. „გობივით ადგილია“ (პ. ლები).
- ველორი** – სათიბი ფორხიშულის მარცხ. მხარეს (ღები).
- ველუანი** – სახნავები ქანჭახის მარცხ. მხარეს, ახალ გლოლაში.
იყოფა: ბერიკველუანი, ბერიველუანი, ბუტაიანველუანი (გლოლა).
- ველუკა** – იხ. საყენებელი ველუკა (პ. ლები).
- ვენახები** – სახნავები ღუნდის მთის კალთაზე (ღუნდა).
- ვერძა** – 1. სათიბი ოქანურის მარჯვ. მხარეს (ძეგლევი); 2. სათიბი მბლავანის მარცხ. მხარეს (ცხმორი); 3. ვეძა გეგორის მარცხ. ნაპირას. ინფ.: „განსაკუთრებული წყალია, საფუარი არ სჭირდება, ამიტომაც ამოაქვთ სოფელში და აცხობენ

საახალწლო ბიკიებს – ნაძვის ხის მოსართავ ცხოველებს,
ფრინველებს“ (ლუნდა).

ვერძობოლო – საძოვარი ვერძაში (ძეგლვევი).

ვერძირუ – საკაურის მარჯვ. შენაკადი ახოებთან. მოედინება
ცხომიდან (ხიდეშლები).

ვერძისთავი – ვაკე-საძოვარი ვერძაში (ძეგლვევი).

ვერძის ვაკე – ვაკე-სახნავი ვერძასთან (ლუნდა).

ვერძისწყალი – წყარო ვერძაში (ძეგლვევი).

ვერწყანდელი – სათიბი კვირიკაშვილებსა და კობერიძეებს შუა
(ცხმორი).

ვერზნალიანი – ტყე ხვარგულის ხეობაში (ჩვეშურა).

ვეძა – წყარო ქვედა ჭალებში (ღები).

ვეძისწყალი – წყარო საწისქვილეწყლის სათავესთან (ჭიორა).

ვეძი/ს/ჭალა – დავაკება ვეძასთან (ღები).

ვეძიტყე – ტყე, საძოვარი ვეძისწყალთან (ჭიორა).

ვეძიფარი – საძოვარი ჭვარიქელში (ჩვეშურა).

ვირა ტყე // ვაკე – სახნავი წოხისრუს მარცხ. მხარეს,
რივნისპირებში (ღები).

ვირატყისრუ // რუთავირუ – ხევი ვირატყეში (ღები).

ვიწრო ფარი – სათიბი ფარებთან, შოდურის მარცხ. მხარეს (3.
ღები).

ვიწრო(ში)ი – სათიბი ქვედა ძეგლვევიში. ინფ.: “ვიწრო ლელეა”
(ძეგლვევი).

(ვ)ოქანური – რიონის მარჯვ. შენაკადი. ნაკიეთისა და ფარავნეშის
საზღვარი (ნაკიეთი, ფარავნეში, ძეგლვევი).

(ვ)ოქისწყალი – წყარო ოქაში (ღარი).

ზ

ზადანური – სათიბები ჩვეშურის მარჯვ. მხარეს (გონა).

ზალიკიანთი – სათიბი ქვედა საკაოში. ზალიკიანთი
გუგეშაშვილების შტოა (საკაო).

ზალიკიანფარები – სათიბი ბალიჯოგთან (ღები).

ზალიკისეული – სათიბი გომანთის გვერდით (საკაო).

ზანდუკა – სათიბი სადუხის თავზე, ბოდუურის მარცხ. ნაპირას.
ინფ.: “ასე იმიტომ დაურქმევიათ, ქვები ალაგია ზანდუკივით”
(საკაო).

ზაქარეეჭალა – რიონის ქალის ნაწილი. სხვა ნაწილების სახელებია: ჩატეეჭალა, საგიეეჭალა, ქიტუნეეჭალა, მამუჩიანთ ქალა, ბოხვეთქალა, ლეჯიენჭალა, შალიკიანთ ქალა, გაბრიქიანთ ქალა, კანკალეეჭალა, დავითიახო და სხვ. (პ. ლები).

ზაქარიანგ ზები – გზა ზაქარიანთ უბანში (ჯინჭვისი).

ზაქარიანთ უბანი – უბანი გომრულის მარცხ. მხარეს (ჯინჭვისი).

ზაქარიანთ წყარო – წყარო სათომიის კალთაზე (ხიდეშლები).

ზებოლთა – ვაკე ზებოლთის სერზე (წმენდაური).

ზებოლთის ხერი – სერი წოლის საზღვართან (წმენდაური).

ზებოლთის ტბა – იხ. ტბა.

ზედა აბიდუა – იხ. აბიდუა.

ზედა ახო – საძოვარი მუშუანის მარჯვ. მხარეს (უწერა).

ზედაგა – სათიბი ცივლელისწყლის სათავესთან. იყოფა: ზედა ზედაგა და ქვედა ზედაგა. შუაში ტყეა (ძეგლევვი).

ზედაგორი – სათიბი სოფლის დას. ნაწილში (ფსორი).

ზედა გოჭიკალია – იხ. გოჭიკალია.

ზედა ეწერი – იხ. ეწერი//ეწრები.

ზედა ვაკია – სათიბი საბუეთის კალთაზე. ქვემოთ, საკაურის მარჯვ. ნაპირას, საძოვარს ეწოდება ვაკია (ლაგვანთა).

ზედა ვაკისთავი – იხ. ზედვაკე.

ზედა ველი – საძოვარი სახაზოს კალთაზე (მაჩიეთი).

ზედა ზედაგა – იხ. ზედაგა.

ზედა ზორიფარი – საძოვარი საკაურის მარჯვ. მხარეს (საკაო).

ზედა თიში – იხ. თიში.

ზედა კეფხა – იხ. კეფხა.

ზედა კილო – მყინვარი, სათიბები ნოწარულის სათავესთან (ქიორა).

ზედა ღორთი – იხ. ღორთი.

ზედა მარიჭელა – იხ. მარ(ი)ჭელა.

ზედა მზიური – ტყე მზიურში (საკაო).

ზედა ნადულუზევი – იხ. ნადულუზევი.

ზედა ნაზლოფარი – იხ. ნაზლოფარი.

ზედა ნასელვარა – იხ. ნასელვარა.

ზედა ნაშორთა – იხ. ნაშორთა.

ზედა ნაძვნარი – იხ. ნაძვნარი.

ზედა ნახერგულევი – საძოვარი მზიურისრუსა და გორეებისრუს

შეერთების ადგილას. “შემოხერგული, ე.ი. შემოლობილი იყო”
(გონა).

ზედა ორმოები – საძოვარი ლესორის გზაზე (ჩორდი).

ზედა საბუღრაო – საძოვარი საბუღრაოში (ბაჯიხევი).

ზედა საკაო – იხ. საკაო.

ზედასები – უბანი სოფლის ცენტრში ინფ.: “გზის ზემო მხარეს ცხოვრობენ, ფერდობზე. ამიტომ არიან ზედასები”
(ხიდეშლები).

ზედა ტბები – იხ. სასვანოვორა.

ზედა უბანი – 1. უბანი ზებოლთის კალთაზე (წმენდაური); 2. იხ. ზედეები.

ზედა უბანი//მახარობლიანთ უბანი – უბანი მალლობზე, სოფელსა და ლეწინეებს შუა. მახარობლიანები რეხვიაშვილების განაყოფები არიან (ქიორა).

ზედაურები – იხ. აბესალაშვილების უბანი.

ზედა ღვიონი – იხ. ღვიონი.

ზედა შიდაველა – იხ. შიდაველა.

ზედა ჩიხორა – იხ. ჩიხორა.

ზედა ციცა – სათიბი ციცაში (ბაჯიხევი).

ზედა ძეგლევი – იხ. ძეგლევი.

ზედა წმინდა გიორგი – სალოცავი ნაჭარმაკევში (გომი).

ზედაწო – ბორცვი, სახნავი ზედა საკაოში (საკაო).

ზედა ქალეუბი – იხ. ნარღვევი.

ზედახო – საძოვარი ნაზლოფარის თავზე (ჩორდი).

ზედა ხულა – საძოვარი ზედა საკაოში (საკაო).

ზედგორისა – საძოვარი მთაგორაში (ცხმორი).

ზედეები//ზედა უბანი – იხ. გოცირიძეები.

ზედვაკე – 1. სახნავი ჟამიერეთში (უწერა); 2. სათიბი კვატაში (ლარი); 3. საძოვარი სავლედურის თავზე (ბორცო); 4. სათიბი გოცირიძეების უბანში (ლუნდა); 5. საძოვარი ლობჯანიძეების განაპირას (ბაჯიხევი); 6. დავაკება ზედვაკის გორაზე (ლუნდა).
7. იხ. სამოძიგვე.

ზედვაკისგორა – გორა ლუნდის მთის კალთაზე (ლუნდა).

ზედვაკისთავი – ტყე ზედვაკეში (უწერა).

ზედველა – სახნავი ქვედა ძეგლევიში (ძეგლევი).

ზედუბანი – 1. სახნავები სიმონიანთ უბნის თავზე (გომი);
2. საძოვარი სოფლის განაპირას, ფერდობზე (ფსორი).

ზედქალაქი – იხ. ზესოფელი.

ზევრეთი – იხ. ქევრეთი.

ზემბოყო – სახნავეები ბოყისწყლის მარჯვ. მხარეს. შდრ. ქვემბოყო (გლოლა).

ზემო მოხვეულები//კავილაები//კავილეები – იხ. მოხვეულები//დახვეულები.

ზემო უბანი – იხ. ძეგლვეი.

ზემწიფე – სათიბი ჩორდულის მარც. მხარეს. ინფ.: “მიცხუნებული ფერდობია, მზიანი“ (ფსორი).

ზენაიყანები – საძოვარი ზოფხარელის მარცხ. მხარეს, გაღმა ყანუკეების თავზე (ხიდშლები).

ზესველი – სათიბი ზესვლიგორაზე (ბაჯიხვეი).

ზესვლიგორა – გორა, ქოჩერიის განშტოება (ბაჯიხვეი).

ზესვლის ტყე – ტყე ზესვლიგორაზე (ბაჯიხვეი).

ზესოფელი//სასოფლო//ზედქალაქი – კონცხი, ძველი უბანი ბოყოსწყლისა და ქანჭახის შესართავის შიგნითა მხარეს. ინფ.: “მთელი სოფლისა იყო, საერთო. ამიტომაა სასოფლო. მაღალზეა, ყვირეთის ქედის კონცხია. ზედ ციხეები იდგა და ქალაქივით იყო“; „ზედქალაქზე ეკლესია აუშენებიათ თამარ მეფის სურვილით. დედოფალს მის მცველად ბერი დაუყენებია და მისთვის ცოლის მოყვანის უფლებაც მიუცია. ბერს აუშენებია ეკლესია, რომლისთვისაც “ბერის საყდარი“ უწოდებიათ და დღეს არ არსებობს. ბერთან ერთად აქვე დასახლებულან მისი ბიძა და მსახური ბიჭი. ისინი გამრავლებულან: ბერის შთამომავლები არიან ბერიშვილები, ბიძისა – ბიძიშვილები, ხოლო ბიჭისა – ბიჭიშვილები“. თავდაპირველი ფორმა ზედქალაქი დასახლებულია 1432 წ. შედგენილ ალექსანდრე მეფის სიგელში (გლოლა).

ზეღორთა – სათიბი კობორში, ვაკელორთასთან (ნაკიეთი).

ზეღორთითავი – ტყე კობორში (ნაკიეთი).

ზეციეთა//გაღმა ნაკიეთი – სასოფლარი რიონის მარცხ. მხარეს, ჭინჭვისისა და ნაკიეთის საზღვარზე. გადასახლდნენ ადიგენის რ-ნის სოფ. ქეჭლაში 1945-46 წლებში (ნაკიეთი, ჭინჭვისი, ღარი).

ზეხენიერი – რიონის მარჯვ. შენაკადი და მისი ფართო ხეობა. ძირითადად აქაა პ. ლების სათიბები. ინფ.: “ყველას ეკუთვნოდა და ამიტომ დაერქვა“ (პ. ლები).



- ზვიადუნფარები** – სათიბები თევრეშოს თავზე (ღები).
- ზვიადუნატეხი** – სათიბი რიონისა და მუსხურის შესართავთან (რივნისთავი).
- ზვიადუნაჭირავი** – სათიბი ლუხუნის მთაზე (რივნისთავი).
- ზვიდუკევეტორა** – სათიბი სოფლის შემოგარენში. ინფ.: “ზვიდუკევეტორაჯანის სახელია“ (გონა).
- ზვიდუკევეკელი** – სათიბი თეთრში. ზვიდუკე გობეჯიშვილისა ყოფილა (რივნისთავი).
- ზვინათა** – ფერდობი ზაქარიანთ უბანში. ინფ.: “ისეთი ადგილია, ხრეში ჩამოიზვინება, იმეწყრება“ (ჯინჭვისი).
- ზვინეთის გორი** – ტყე-სერი, დღვიორა-ჩხოჭურის წყალგამყოფი (შოვი).
- ზნაკური** – სათიბი ქამიერეთში, ნაფისყანის ძირას (უწერა).
- ზორდითქუნა** – ჯაგნარი მუხამეშურის მარჯვ. მხარეს (პ. ღები).
- ზორიფარი** – საძოვარი მთის კალთაზე, საკაურის მარჯვ. მხარეს. ზორი მსხლის ჯიში ყოფილა (საკაო).
- ზორიფრის წყალი** – საკაურის მარჯვ. შენაკადი. იწყება ზორიფარში (საკაო).
- ზორფასა** – საჯიხვე ქიუხები, ფასის მთის ნაწილი რიონის სათავესთან (რივნისთავი).
- ზოფხარულა** – საკაურის მარცხ. შენაკადი. სათავე აქვს წინა შოდის ძირას. გაედინება საუსხიასა და სახაზოს შუა (ხიდეშლები, მაჟიეთი).
- ზოფხითო//ზოფხიტო//ზოფხითოგორი** – მთა, მყინვარი რაქის კავკასიონის სამხრ. კალთაზე, ზოფხიტურის სათავესთან. სიმაღლე 2430 მ. იყოფა: დიდი ზოფხითო, პატარა ზოფხითო, თამაზიკიანთ ზოფხითო (რივნისთავი).
- ზოფხითოგორი** – იხ. ზოფხითო.
- ზოფხიტო** – იხ. ზოფხითო.
- ზოფხიტური** – რიონის მარცხ. შენაკადი ბრილთან. სათავე აქვს ზოფხიტოში. მდინარის ხეობაში აღმოჩენილია ძვ. წ. XVI-X სს. მეტალურგიული და სამთამადნო კერები (რივნისთავი).
- ზუდალი** – ტყე, მინდვრები რიონის მარჯვ. მხარეს, ზეხენიერსა და შეისურისრუს შუა (რივნისთავი).
- ზურგსუკანი** – სათიბი ღრჯამაში (ჩვეშურა).

- თაბარეული** – სათიბი ბორჯანასა და რუბოდლის წყალს შუა (ცხმორი).
- თაბერაული** – სათიბი ოქანურის მარცხ. მხარეს (ფარავნეში).
- თავლაგინი** – სახნავი მიღმა უბანში (გომი).
- თავარანგელოზი** – 1. ნაეკლესიარი ფარავნეშის მთის კალთაზე (ფარავნეში); 2. სალოცავი, ტყე დოშვერის წყალსა და სოფლის დასახლებას შუა, სადაც უწინ ტარდებოდა კობინჯრობა 21 მაისს. ეკლესია განუახლებიათ 1987 წ. (გომი); 3. იხ. (მ)თავარანგელოზი.
- თავარანგელოზი//საგვარე** – სალოცავი ნამოსახლევის სერზე (ლარი).
- თაკვეთილა** – მწვერვალი შოდის ქედზე, საზღვარი საკაურის აუზთან. ინფ.: “თავი აქვს წაკვეთილი, ვაკეა“ (პ. ლები).
- თა(ვ)კვერითავი** – ფერდობები ბორცოს სერის კალთაზე. ინფ.: “გამიგონია, რომ ძველი სახელია, აქამდე ყოფილა თაკვერის საერისთაოს საზღვარი. ამჟამად გასავალყანებსაც უწოდებენ“ (ბორცო, ძეგლვეი).
- თავმოსავლეული** – 1. საცალფეხო გზა, ტყე რიონის მარჯვ. ნაპირას, სკოდორულსა და მუზრულს შუა. ინფ.: “გზა კლდის ძირს გადის, ეს კი ზემოდან უვლის“ (უწერა); 2. გზა ღარულის მარცხ. მხარეს. ინფ.: “გზა მდინარის ნაპირას მიჰყვებოდა, მაგრამ აქ კლდის თავზე გადადიოდა“ (ლარი).
- თავტახეული** – წყარო, სახნავი კვირიკაშვილების უბანში (ცხმორი).
- თაზიქვაბი** – გამოქვაბული საკაურის ქალაში. თაზი იმ მონადირის სახელია, ვინც აქ ხშირად ათევდა ღამეს (ხიდეშლები).
- თა/ზ/იშვილები** – საძოვარი რიონის ნაპირას, მუხურას შესართავთან (რივნისთავი).
- თათარსახლი** – სახნავი, ნასახლარი რიონის მარცხ. მხარეს, ლები-თევრეშოს გზაზე. ინფ.: “აქ სახლი მდგარა და თათრებს უცხოვრიათ“ (ლები).
- თათარსახლისრუ** – ხევი საწისქვილორუს მარჯვ. მხარეს (ლები).
- თაკარგინი** – ტყე-საძოვრები ელნეტაში, ჭანჭახის მარცხ. მხარეს (გლოლა).

თაკვერითავი - იხ. თა(ვ)კვერითავი.

თამაზაშვილები - მაისურაძეების უბნის ნაწილი (ცხმორი).

თამაზიკიანთ ზოფხითო - იხ. ზოფხითო.

თანგვარა - სახნავი ქათნაურის გვერდით (წმენდაური).

თანისი - სანადირო ქიუხები რიონის სათავეებთან. იყოფა: დიდი თანისი, პატარა თანისი (რივნისთავი).

თასითი - სათიბი ქვისათალსა და ბორჯანას შუა (ცხმორი).

თაფლ(ის)იანი კდე//სათაფლიაკდე - კლდე ბაჭინევის საზღვართან.

“კლდეში ფუტკარი ბინადრობს და თაფლი ჩამოდის“ (ჩორდი).

თბილისა - მწვერვალი რაჭის კავკასიონზე, ბუბისწყლის სათავესთან (შოვი).

თბილწყალუკა - ტყე ხირასთან (ფსორი).

თედელაური//თედელაურის ბეგი - სახნავი ნასებიანთ უბანში, აქვეა წყარო თედელაურის წყალი (ჯინჭვისი).

თედელაურის ბეგი - იხ. თედელაური.

თედელაურის წყალი - იხ. თედელაური.

თედორეყანა - სათიბი ქედში (ჯინჭვისი).

თედორეიანთ - სახნავი ნატყვევრების თავზე. თედორე მიქუჭაძეს გაუკაფავს (ჩორდი).

თევრეშო - ნასოფლარი რიონის მარცხ. ნაპირას, ლებიდან 4 კმ-ზე. შემონახულია ნაეკლესიარი და ნაციხარი. მოიხსენიება გვიან შუა საუკუნეების საისტორიო წყაროებში, მაგ.: ალექსანდრე მეფის 1432 წლის სიგელში, რუსეთის ელჩების - ტოლჩანოვისა და იევლევის ელჩობის წიგნში და სხვ. (ლები).

თევრეშოვაკე - თევრეშოს ვაკე ნაწილი (ლები).

თევრეშოს ქრისტე-მეუფე - იხ. ქრისტე-მეუფე.

თეთრა//თეთრი - სათიბი თევრეშოს თავზე (ლები).

თეთრათანა - სათიბი სოფლის თავზე. გადმოცემით, თეთრა მსხალი, ანუ მსხალთაფლა, მდგარა თურმე ამ ადგილას (ფსორი).

თეთრატყე - ტყე თეთრაწყლის სათავესთან (ნიგავზები).

თეთრაწყალი - წყარო ჯვრივაკის თავზე (ნიგავზები).

თეთრების ქედი - სათიბები ლოლორულის მარჯ. მხარეს (ქიორა).

თეთრი - იხ. თეთრა.

თეთრი კარავი - ტყე დორმანეთთან. ინფ.: “საერთო ვენახებში ჰქონდათ თეთრი შენობა და იქ წურავდნენ ყურძენს“ (ნაკიეთი).



- თეთრი კოდიძი - სათიბი წოხისრუს თავზე (ღები).
- თეთრკოდები - საძოვარი ზედა ლორის გაგრძელებაზე (ხიდეშლები).
- თუკოშეწყურა - სათიბი მუხამეშში (პ. ღები).
- თულათათანა - სახნავი გორისბოლოს უბანში (გლოლა).
- თულარ(ებ)ი - იხ. თენარ(ებ)ი.
- თულარის წყალი - იხ. თენარის წყალი.
- თულე - ტყე-მინდვრები ხვაწურის ხეობაში (შოვი).
- თულეზიანი - ტყე დიდრუს სათავესთან (გომი).
- თულისწყალი - წყარო დიდრუს მარჯვენა მხარეს (გომი).
- თულნარა//მინდორა - სათიბი კოხაურის მთის ძირას (ბაჯიხევი).
- თულნარი - 1. ტყე ძეგლევის საზღვართან (ბორცო); 2. სათიბი რიონის მარჯვ. მხარეს (ჭიორა).
- თულნარი//თენალა - ბუჩქნარი კვირიკაშვილების უბანში (ცხმორი).
- თუშირასეული - საძოვარი მეწყრიყბისერის კალთაზე (ბორცო).
- თენარა - იხ. თელნარა.
- თენარ(ებ)ი//თელარ(ებ)ი - სათიბები თენარის წყლის სათავესთან. იყოფა: ასავალი თენარი, თენარიამოსავალი, თენარიწვერი, ვაკეთენარი, გადამთენარი (ჩორდი).
- თენარიამოსავალი - იხ. თენარ(ებ)ი.
- თენარის დულე - ჩილორულის შენაკადი. მოედინება თელნარიდან (ბაჯიხევი).
- თენარის წყალი//თელარის წყალი - ჭეგორის მარცხ. შენაკადი (ჩორდი).
- თენარიწვერი - იხ. თენარ(ებ)ი.
- თესლიჭამია - სახნავი ლესორის გზაზე (ჩორდი).
- თვალთკიანთ ნაწისქვილევი - ქალა ბოდუურის მარცხ. ნაპირას (საკაო).
- თიების თავისაყარი - დავაკება სხარალთან. ინფ.: "აქ მოაგროვებდნენ თივის ზვინებს და მერე ჩამოჰქონდათ სოფელში" (საკაო).
- თიკინჭალა - იხ. თიკინჭალა//თიკინჭალა.
- თიკინჭალა//თიკინჭალა - საძოვარი საკაურისა და ხოჯორის შესართავთან (ხიდეშლები).
- თისაგბა - სახნავი საწისქვილოწყლის ნაპირას (ჭიორა).



- თიშა** – ნამეწყური ბორცოს სერის ძირას. იყოფა: დიდ-თიშა, პატარა თიშა (ბორცო).
- თიშები** – 1. სათიბი ბოდუურის სათავესთან (ბორცო); 2. კლდე-ნამეწყურები ლათქიშორის ხეობაში. ინფ.: “თიშები შლამიანი ადგილია, ქვიშა და მიწაა არეული“ (პ. ლები); 3. სანადიროები საჯოგის თავზე (ძეგლევნი).
- თიში** – სათიბი ტევრებში. იყოფა: ქვედა თიში, ზედა თიში. ინფ.: “თიში არის წყლისაგან ჩამოტანილი ქვიშა“ (ნიგავეზები).
- თოფისასროლია** – სათიბი ფერდობები დედაბერას ძირას, რისინეს მარც. მხარეს. ინფ.: “ქალები მოუტაციათ. აქ დასწოვდნენ და დაებრუნებინათ“ (მაჭიეთი, საკაო).
- თოფსასროლია** – სათიბი ბოდუურის მარცხ. მხარეს, ინფ.: “მონადირეები აქ სინჯავდნენ თოფს“ (ბორცო).
- თოხაური** – საძოვრები ზედა ძეგლევის ჩრდ. ნაწილში (ძეგლევნი).
- თუთიკა** – სახნავი სოფლის განაპირას, სადაც ოდესღაც თუთიკა (მსხლის ჯიშია) მდგარა“ (ბაჯიხვენი).
- თულამეური** – სახნავი სახტრიყელის დას. კალთაზე (ჩორდი).
- თხელიში** – სახნავეები ოქრუანთ უბნის განაპირას, გზის ორივე მხარეს. ინფ.: “როგორც გამიგონია, თხელიში სევანური სიტყვაა, გზის გაყოლება ყანას ნიშნავს“ (ხიდეშლები).
- თხილვანი** – ნატყვევარი ილინეს ხეობაში (გლოლა).
- თხინარა** – სათიბი სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში (ბაჯიხვენი).
- თხმელეები** – ტყე ქვედა ძეგლევში (ძეგლევნი).
- თხმელეებიანი** – ტყე სოფლის აღმ. ნაწილში (ბორცო).

0

- იასაკვარდი** – მთა, საძოვრები ჭიჭიშორის სათავესთან. “ყვავილნარია. ლამაზი ადგილია. ალბათ ამის გამო დაარქვეს“ (რივნისთავი).
- ივანენთები** – უბანი საკაურის მარცხ. მხარეს, ბიძიანთებისა და ზედასების ქვემოთ (ხიდეშლები).
- ივანე ნათლიცემელი//ნათლიცემელი//სალოცავი** – სალოცავი ღარისა და ონის საზღვართან (წმენდაური).
- ივანესეული** – სახნავი აბესალაშვილების უბნის ძირას (მაჭიეთი).

- ივანესხლები – სახნავი ფოცხვრებში (ლარი).
- ივანუყანა – სათიბი ქვაციხესთან (გლოლა).
- ივანიანთები – იხ. ჩეჭებიანთ(ებ)ი.
- ივანიკიანთ(ებ)ი – იხ. ბარტყიანთ(ებ)ი.
- იღონე – ჭანჭახის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს საირმეში (გლოლა).
- იმელანე – საძოვარი მუხუთში (უწერა).
- იმფხლარეები – სათიბი ზეციეთაში (ნაკიეთი).
- იმფხლებიანი – 1. მინდორი ზედა ძეგლევში (ძეგლვევი); 2. სათიბი ტვაპილელის სათავესთან (ცხმორი); 3. სახნავი ქათნაურის თავზე (წმენდაური). იმფხლა//იფხლა//იმხალა გვიმრაა ერთგვარი.
- იმსლებიანი ყანა – საძოვარი მეწყრიყუბისერის კალთაზე. (ბორცო).
- ინატაანთები – უბანი ზედა საკაოში. ცხოვრობდნენ ინატაშვილები, დარჩა 1 კომლი (საკაო).
- ინჟინრების ნასახვლარი – სათიბი ღრჯამაში (ჩვეშურა).
- იოდისწყალი – წყარო სხარაში (შოვი).
- იონეუთულები – სათიბი ჩვეშურის მარცხ. მხარეს (გონა).
- იონწყალა – წყარო ჯარონეთის თავზე (უწერა).
- იოსებადანია – იხ. დანია.
- იოსებიახო – სახნავი ჩდილში (ჯინჭვისი).
- ისარა – სახნავი გოგოლაან(თ)უბნის განაპირას, გომრულის მარცხ. მხარეს. ინფ.: “ისრის ფორმა აქვს“ (ჯინჭვისი).
- ისლეუანი – ტყე ბელლორის მარცხ. მხარეს (უწერა).
- იფხლარა – სახნავი ზაქარიანთ უბნის განაპირას (ჯინჭვისი).
- იფხლარიანი – სათიბი ღარულის მარცხ. მხარეს (ლარი).
- იფხორა – სახნავი კუქუნისა და ქვედა ციცას შუა (ბაჭიხევი).
- იქითა საბუე – სათიბი საბუეში (ბაჭიხევი).
- იქითა სადვალთ – სათიბი სადვალოში (ბაჭიხევი).
- იწილეთი – სათიბი ღარულის მარცხ. ნაპირას, ორდინიძეების უბნის პირდაპირ (ლარი).
- იწილეთის წყალი – წყარო იწილეთში (ლარი).
- იწილეთის ხიდი – ხიდი ღარულაზე, იწილეთში (ლარი).

კავილაუბი//კავილეები - იხ. მოხვეულები.

კავილეები - იხ. მოხვეულები.

კაწითნი ტყე - ტყე კვატაში (გომი).

კაისარეთო - მთა, ტყე შოშეთების თავზე, ჩვეშურის მარჯვ. მხარეს.

შემონახულია ციხე-კოშკი (ღები).

კაიწყალი - წყარო ქვედა კილოში, ნოწარულის მარჯვ. მხარეს (ჭიორა).

კაკაბა - ტყე რისინეს მარცხ. მხარეს. ინფ.: "ჩემს ბავშვობაში კაკები იყო ბევრი" (მაჩიეთი).

კაკანახულევი - ნავენახარი ღვანების გვერდით (ნიგავზები).

კაკასფორი - ტყე-საძოვრები სოფლის ჩრდ. ნაწილში, დედაკვინის გზაზე (ნიგავზები).

კაკასფორისთავი - საძოვარი კაკასიგორში (ნიგავზები).

კაკასფორქვეში - საძოვარი კაკასიგორში (ნიგავზები).

კაკანეთი - სათიბი კაკაჩეთისრუს სათავესთან (ჩორდი).

კაკანეთისრუ - ჭეჯორის მარცხ. შენაკადი. იწყება ჭიქეურებში (ჩორდი).

კალოთავი - საძოვარი საბანაძეებში (ღუნდა).

კაკოტყე - სათიბი ნოწარულის მარჯვ. მხარეს (ჭიორა).

კალოები - 1. საძოვარი ვაკისუბანში (ღარი); 2. მინდორი მელაძეებში (ჩორდი).

კალოთავი - საძოვარი ტვაპიღელის მარცხ. მხარეს (ცხმორი).

კალოხევი - მინდორი სოფლის თავზე (ფსორი).

კალცისწყალი - მინერალური წყალი კურორტ შოვის შემოგარენში, ჭანჭახის მარცხ. მხარეს (შოვი).

კამარზეთა - სახნავი მზიურში, ხარეთასთან (გომი).

კამბეჩიანო რუები - სათიბი სოფლის შემოგარენში (გონა).

კამულვარი - სათიბი საბანაძეების უბანში (ღუნდა)

კანკლეთი - 1. საძოვრები ჭანჭახის მარცხ. მხარეს, სუქთიქომამდე (შოვი); 2. საძოვრები ხოლის ორივე მხარეს. ებჯინება გორიკეებს (ჭიორა).

კანკალეუფარი - იხ. ფარები.

კანკალეუქალა - იხ. ზაქარეექალა.

კაბიწა - წყარო კვირიკაშვილების უბანში (ცხმორი).

კარაგომი – მთა, მწვერვალი კავკასიონის მთავარ ქედზე. აქედან ჩრდილოეთით ეშვება მყინვარი ყარაუგომი. ზოგი შკვლევკის აზრით, ვახტანგ VI ჩრდილოეთ კავკასიაში კარაგომის უღელტეხილით გადასულა (ქიორა).

კარათანა – 1. სახნავი ძველ გლოლაში (გლოლა); 2. ტყე-საძოვარი სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში (ფარავენეში).

კარგიწყლისთავი – სათიბი სოფლის დას. ნაწილში (ფსორი).

კარვენახ/ებ/ი – ვენახი ვაკისუბანში. „სახლის წინ იყო“ (ღარი).

კარზედა – ნაკალოვარი მელაძეებში (ჩორდი).

კარზეყანები – ვენახი კარვენახების გვერდით (ღარი).

კარობა//კარობები – გზა-ვიწრობი ნოწარულის მარჯვ. მხარეს. „კარებივით ვიწრო გასასვლელია. ზედა და ქვედა კილოებიდან გზა გადადის ვაკე ნოწარაში“ (ქიორა).

კარობები – იხ. კარობა.

კარობი – კლდოვანი ვიწრობი კირტიშულის შუა წელზე. აქ კლდისძირს ეწოდება „კარობისფეხები“ (ჩვეშურა).

კარობისფეხები – იხ. კარობი.

კაროკანა – ორგან ეწოდება სახნავს. განარჩევენ: ქაღეების კაროკანა, ჩილორის კაროკანა. „კაროკანი ჭიშკარია“ (ბაჯიხევი).

კარსიქითი – სახნავი ზედვაკესა და საჩქეფელას შუა (ბაჯიხევი).

კარძეყანა – სახნავი ზედა უბანში (წმენდაური).

კატიანო – სათიბი გუგეშაურსა და თულამეურს შუა (ჩორდი).

კატიხთავისუბანი – უბანი სოფლის ზედა ნაწილში. ინფ.: „კატისთავა ბალახია ერთგვარი“ (პ. ლები).

კატიწვერა – 1. ჭიუხები ჩხოჭურის სათავეებთან (შოვი); 2. მწვერვალი ტყემალთაში. ჩანს ონიდანაც (გომრულა); 3. საძოვარი ქვედა საკაოში, საკაურის მარჯვ. მხარეს (საკაო).

კატიწვერი – მთა კვენალიშისწყლის სათავესთან (უწერა, გლოლა).

კატოს ღარდო//კატუას ღარდუა – მინდორი ტურბაზის გვერდით. ინფ.: „ღარდო არის ვიწრო ადგილი, მაგრამ ველი, არა ტყიანი“ (შოვი).

კატრაპანა – მინდორი, ქათნეურის ნაწილი (წმენდაური).

კატუას ღარდუა – იხ. კატოს ღარდო.

კაჩოვკა – სათიბი ჭანჭახის მარჯვ. მხარეს (შოვი).

კაცელქესაშევი – სათიბი დიდყანაში (რივნისთავი).

კაციაანთ ვენახები - ვენახები საკაურის მარჯვ. მხარეს (ლაგვანთა).
კაციაველა - საძოვარი ნატეხებთან, აბესალაშვილების უბნის
თავზე. კაცია პირსახელია (მაჟიეთი).

კაციანზიარა - სახნავი თესლიქაშიის გვერდით. ეკუთვნოდა კაცია
მელაძეს (ჩორდი).

კაციასული - სახნავი კვაჟაში (ლარი).

კაციტაქვაბუნა - პატარა გამოქვაბული, მონადირის თავშესაფარი
კირტიშოში (ჩვეშურა).

კაციტიანთ ახო - სათიბი სოფლის ჩრდ. ნაწილში (ნიგავზები).

კაციტიანთ(ებ)ი - იხ. როსია(ა)ნთ უბანი.

კაციტიანთ უბანი - იხ. როსია(ა)ნთ უბანი.

კაცნაკლავა - წყარო ქვაციხესთან (გონა).

კაწალთა - ტყიანი მთა ბორჯანის მარცხ. მხარეს, ჟაშქვის
საზღვართან (ცხმორი).

კახამბლები - სათიბი კვაჟაში (ლარი).

კახამბლებობოლო - სახნავი კვაჟაში, კახამბლებთან (გომი).

კდე - კლდეები გუგულიწყაროსა და ლაშხეექედს შუა (ბაჯიხევი).

კდებობალი - კლდე ნაკრებავასთან, ჭინჭალის ზემოთ (გომი).

კდეთანა - ტყე რიონის მარცხ. მხარეს, მუშუანის შესართავის
პირდაპირ (უწერა).

კდესუკანა//კდისუკანი - საძოვარი საკაურის მარჯვ. მხარეს
(ლაგვანთა).

კდეუნა - კლდე ლარულის მარცხ. მხარეს (ლარი).

კდეუნას წყალი - წყარო კდეუნაში (ლარი).

კდისთავი - საძოვარი კდესუკანასთან (ლაგვანთა).

კდისუკანი - იხ. კდესუკანა.

კდისძირა - სახნავი საკაურის მარცხ. მხარეს (ლაგვანთა).

კდისწყალი - წყარო გოგოლაანთ უბანში (ჯინჭვისი).

კდიძირი - სათიბი ბორჯანის მარცხ. მხარეს (ცხმორი).

კვგენადის ყანები - სახნავი კვაჟაში (ლარი).

კედელა - 1. მთა კედელას ქედზე, ჭანჭახისა და ლარულის
წყალგამყოფზე. ვახუშტი ბატონიშვილი ასახელებს ორ
ფორმას: კედელა კავკასი, კავკასი კედელა. (გლოლა, ლარი); 2.
კლდე შოდის ქედზე, ჟარონეთის აღმოსავლეთით (უწერა); 3.
ტყე, საძოვარი ქვედაუბნის თავზე. ინფ.: "მართლაც
კედელივითაა დახრილი" (წმენდაური).

კედელა//კედელები – სათიბები ნაკეთის საზღვარზე, რიონის მარცხ. მხარეს (ლარი).



კედელას ქედი – ქედი, შოდა-კედელას ქედის მონაკვეთი რიონის მარცხ. მხარეს, ჭანჭახისა და ღარულის წყალგამყოფი ვახუშტი ბატონიშვილი მოიხსენიებს როგორც “კაკვასი კედელა” (გლოლა, ღარი).

კედელას წყალი – რიონის მარცხ. შენაკადი. მოედინება კედელადან (ონი, წმენდაური).

კედელები – იხ. კედელა.

კედელუკა – საძოვარი ჩდილში, ზაქარიანთ უბნის განაპირას. კედელივით შვეული კლდეა (ჯინჭვისი).

კერესელიძეები – იხ. ფარავნეში.

კერკეტეები – ფერდობები ჩდილში, თედელაურის გვერდით, სადაც კერკეტი ნივთები ხარობს (ჯინჭვისი).

კესარაყანა – სახნავი კვაყაში (ლარი).

კეფხა – მთა, ტყე-საძოვრები ბელლორის მარცხ. მხარეს. იყოფა: ზედა კეფხა, ქვედა კეფხა (უწერა).

კეცნარა – საძოვარი კიბიის თავზე სადაცსაკეცე მიწას იღებდნენ (ლარი).

კეცნარა//კეცნარი – რიონის მარცხ. შენაკადი საგლოლოს ქვემოთ. მოედინება უპიროდან (უწერა).

კეცნარი – იხ. კეცნარა.

კვაიშური – მინდორი, სასაფლაო თევრეშოში. ინფ.: “ვითომ კაი შორი არისო და იქით ვერ მიდიოდნენ” (ღები).

კვაიშურირუ – რიონის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს დომბურაში (ღები). ინფ.: “ჩვენთან რუ ეწოდება ნაკადულს”.

კვაყა – ნასოფლარი ღარულის მარჯვ. მხარეს, მალლობზე. ოსები უწოდებდნენ კოზი//კოზიაქთა. შედიოდა გომის სასოფლო საბჭოში. ცხოვრობდნენ ჩიხრაძეები (ქმნიდნენ დასახლებულ უბნებს: ნასოიანთ უბანი, მალალიანთ უბანი) და გავაშლები (ქმნიდნენ უბნებს: სვიმონიანთ უბანი, სოფრომაანთ უბანი). მიატოვეს 1969 წელს, ჩამოსახლდნენ ონსა და სხვა გზისპირა დასახლებულ პუნქტებში. ამჟამად ძირითადი ნაწილი ტერიტორიულად შედის ღარის საკრებულოში (ლარი).

კვაყაგომი – კვაყის ის ნაწილი, რაც გომში შედიოდა (გომი).

კვაყეგზები – გზა ჩდილში. გადის კვაყაში (ჯინჭვისი).



- კვაჭის გადასახვლელი - უღელტეხილი ჩხოქაში. აქედან ბილიკები გადადის ოსეთში (შოვი).
- კვარა - ვაკე-საძოვარი ოქანურის მარჯვ. მხარეს (ძეგლვევი).
- კვარისთავი - საძოვრები კვარის ზემოთ (ძეგლვევი).
- კვარულაქედი - ტყე-სათიბები კვაიშურის თავზე (ღები).
- კვატუში - საძოვარი ზედა საკაოში, ბორცოს საზღვარზე (საკაო).
- კვაშითი - სათიბი ზედუბნის თავზე, ნაძვნარის სერის კალთაზე (ფსორი).
- კვაჩაური - სახნავი ზეციეთაში (ნაკიეთი).
- კვაჩაურის წყალი - წყარო კვაჩაურში (ნაკიეთი).
- კვაცხაეთი//კვაცხეეთი - ტყე-მინდვრები სახაროს კალთაზე, დღვიორის მარცხ. მხარეს (გლოლა).
- კვაცხეეთი - იხ. კვაცხაეთი.
- კვაჭანური - საძოვარი კიბეთელუბანში (გომი).
- კვენალიში - ვაკე-ფერდობები რიონის მარცხ. ნაპირას (უწერა).
- კვენალიშის წყალი - რიონის მარცხ. შენაკადი. სათავეს იღებს კატიწვერისა და ხვარიწვერის მთებიდან (უწერა).
- კვერანელურე - იხ. ღერე.
- კვერუხავი - სათიბი ნაჯოგვარის მარცხ. მხარეს (ფსორი).
- კვერუხისეულ(ებ)ი - სათიბი ნაომარში (ჩვეშურა).
- კვერთეთი - ტყიანი გორა ყაწუნეგორასთან, ჩვეშურის მარჯვ. მხარეს (ღები).
- კვერცხათანი - ერქვა საძოვარს კობერიძეების უბანში. ამჟამად აქ სტალიონია (ცხმორი).
- კვერცხული - სახნავი ნაღვარევიში, რიონის მარცხ. მხარეს. ინფ.: "როგორც კვერცხები, ისეთი ქვეები ყრია" (ღები).
- კვესანეთი - იხ. ანანიეთი.
- კვირა(ნ)ცხოველი - იხ. კვირო(ნ)ცხოველი.
- კვირიანთ ვაკე - საძოვარი სათომიაში (ხიდეშლები).
- კვირიკაშვილების უბანი - უბანი წახნისსა და ხეყრილას შუა, სოფლის ცენტრალურ ნაწილში (ცხმორი).
- კვირო(ნ)ცხოველი//კვირა(ნ)ცხოველი - სასაფლაო, ეკლესია ევერეთში (ჭიორა).
- კვიროსათიბა - სათიბი ზეხენიერში (პ. ღები).
- კვირიტავა - სათიბი გოცირიძეებსა და საბანაძეებს შუა. ინფ.: "ჰგავს კვირიტავს, ანუ კვირისთავს" (ღუნდა).

- კიბეთელებანი – იხ. ტბეთელეთი.
- კიბია – სახნავი ნაკიეთის საზღვართან, რიონის მარცხ. მხარეს (ლარი).
- კიბუნეები – სამოვარი ბელლორისა და სკოდორულის სათავეებს შორის. ინფ.: “კლდეა კიბეებივით ასასვლელი” (უწერა).
- კიდობანა – სამოვარი ერეეთანის თავზე (უწერა).
- კიდობანა//კინტობანა – სანადირო ადგილები კვაქაში, ალპურ ზონაში (გომრულა).
- კიკუენტ უბანი – იხ. ქიორა.
- კილაურა – იხ. კი(პი)ლაურა.
- კილო – 1. გადასასვლელი. ქვაციხეს აკავშირებს მოედანთან (ხიდეშლები); 2. უღელტეხილი რაჭის კავკასიონზე. ღრჯამიდან გადადის დიგორში. ინფ.: “კილო არის უღელტეხილი, გადასასვლელი მთაზე” (ჩვეშურა).
- კილოფარი – სამოვარი ნოწარულის მარჯვ. მხარეს (ქიორა).
- კიშეთეთუბანი – იხ. ტბეთელეთი.
- კიშეთელეთ(ის)უბანი – იხ. ტბეთელეთი.
- კიშთეწყალი – წყარო ჯობორის უბანში, ერთვის წიფლირუს (გომი).
- კინტობანა – იხ. კიდობანა.
- კინტობანარუ – გომრულის მარცხ. შენაკადი (გომრულა).
- კითაქედი – სერი ტყე-მინდვრებით სოფლის სამხ.-აღმ. ნაწილში, ძეგლევსა და ბორცოს შუა. ინფ.: “ჩვენში ქედი ეწოდება სერს” (ბორცო, ძეგლვევი).
- კი/პი/ლაურა – სამოვარი ჩალაძეების უბანში (ბორცო).
- კირილეშვილები – სამოვარი საბუესა და ბეგსუკანს შუა (ბაჯიხევი).
- კირინუასო – სათიბი კირილეშვილებთან. ინფ.: “კირინე იგივე კირილეა” (ბაჯიხევი).
- კირკაზუელი – სათიბი ზეციეთაში (ნაკიეთი).
- კირო – წყარო, ტყე-სათიბები ჩორდულის მარცხ. მხარეს (ბაჯიხევი, ფსორი).
- კიროთაფი – სახნავები კიროსთან (ფსორი).
- კირტიშო – მთა მყინვარებითა და სანადიროებით რაჭის კავკასიონზე. აქაა ერთ-ერთი გადასასვლელი ჩრდ. კავკასიისაკენ (ჩვეშურა).
- კირტიშოს წითელი – საჯიხვე კლდეები კირტიშულის ხეობაში (ჩვეშურა).



კირტიშული - ჩვეშურის მარცხ. მდგენელი. **გაედინება**
კირტიშოდან (ჩვეშურა).

კისერი - გადასასვლელი, რომლითაც ქანქახის ზემოთი
უკავშირდება მწვერვალ თბილისისას. "კისერი უნაგირაა,
ხარის ქედით" (შოვი).

კობერიძეები - სოფლის ბოლო უბანი მაღლობზე (ბაჯიხევი).

კობერიძეები/კობერიძეების უბანი - უბანი სოფლის ჩრდ.-აღმ.
ნაწილში (ცხმორი).

კობერიძეების უბანი - იხ. კობერიძეები.

კობერიძეების ქოლოსი - სალოცავი, რუს სათავე წყარო
კობერიძეების უბანში (ცხმორი).

კობეზაური - ტყე-საძოვრები წინა უწერაში (უწერა).

კობზანვევლა - სათიბი ღარულის მარცხ. მხარეს (ღარი).

კობიადუქანი - კლდე ფართო ქალაში. ინფ.: "კობია იყო ებრაელი
ვაჭარი. სოფელში საწვრილმანო დაჰქონდა. ეს ადგილი
თვალთაც არ უნახავს. კლდეა გადმოხრილი, მის ქვეშ
იყრიდნენ თავს. შაყირ-შაყირ შეარქვეს კობიას დუქანი და
შერჩა" (ხიდეშლები).

კობიაველი - სათიბი ლეშკების თავზე (საკაო).

კობიანწყარო//კობიენწყალი - წყარო მოსაყარში (ქიორა).

კობიენწყალი - იხ. კობიენწყარო.

კოდები - 1. საბანაო რიონზე (ღარი); 2. კლდოვანი ვიწრობი
საკაურაზე. ინფ.: "კოდი კლდეა" (საკაო).

კოდი - კლდე, გზა საკაურის მარცხ. მხარეს (ლაგვანთა).

კოდიადმართი - აღმართი საკაურის მარცხ. მხარეს (საკაო).

კოდიბოლო - სახნავი მუხამეშურის მარჯვ. მხარეს (პ. ლები).

კოდიბოლოს მყავე წყალი - წყარო კოდიბოლოში (პ. ლები).

კოდიბოლო - საძოვარი სადვალოსა და ღვალვანას შუა (ბაჯიხევი).

კოდისადგომა - რიონის მარცხ. შენაკადი (რივნისთავი).

კოდისთავი - სახნავი შალიკიანთ უბნის თავზე (მაჭიეთი).

კოდისქვეშა - საძოვარი ლესორაში (ცხმორის თემი).

კოდიწყალა - რიონის მარცხ. შენაკადი. მოედინება
საქარაქელიდან (უწერა).

კოდიწყალუკა - წყარო ჩვეშურის მარჯვ. მხარეს (გონა).

კოდიხიდი - გზის მონაკვეთი სასადილოს თავზე. ინფ.: "კლდეზე
გზა იყო გამოკოდილი, ე. ი. გაყვანილი" (უწერა).

- კოდნავი – გზა ჯობაძეებში (ფსორი).
- კოდნარა – სახნავი კოდნარულის სათავესთან (ჩვეშურა).
- კოდნარი – უბანი ზედა საკაოში, ქაშუეთის ქვემოთ (საკაო).
- კოდნარულა – ჩვეშურის მარჯვ. შენაკადი. სათავეს იღებს ღრჯამაში. ამოივლის კოდნარას (ჩვეშურა).
- კოდუნეები – 1. კლდეები კვაიშურსა და ფორხიშულს შუა (ღები);
2. საძოვარი ფატართასა და ქედს შუა (ბაჯიხევი).
- კოშმანტეშო – საძოვარი ქვედა საკაოში, საკაურის მარჯვ. მხარეს (საკაო).
- კოთათავი – საძოვარი, გზის მონაკვეთი ბოყოსწყლის მარჯვ. მხარეს. ფაქტობრივად, კოდების თავია. როგორც ჩანს: კოდთათავი → კოთათავი (გლოლა).
- კოკილაანთ ველი – სათიბი თოფისასროლიასთან (ბორცო).
- კოკონაველი – სათიბი აკაენის თავზე (ჩინჭვისი).
- კოკონაურ/ებ/ი – სახნავები რუჩუის მარცხ. მხარეს, ლელეებიდან ღვთიშობლის ეკლესიამდე (ნიგავზები).
- კოლიაანთები – უბანი ოქრუანთებსა და ბიძიაანთებს შუა. ინფ.: “კოლია ხიდაშლის შთამომავლები არიან” (ხიდეშლები).
- კოლოტა – საძოვარი ბორჯანის მარცხ. მხარეს (ცხმორი).
- კოლოტა//კოლოტები – სახნავები (ბაჯიხევი).
- კოლოტა/ები/ – სათიბი ბოყოსწყლის მარჯვ. მხარეს (გლოლა).
- კოლოტები – იხ. კოლოტა.
- კოშა – ტყე-საძოვრები ბოყოსწყლის მარცხ. მხარეს (გლოლა).
- კონტოხი – გზა, სათიბი, გორა გოცირიძეებსა და საბანაძეებს შუა (ღუნდა).
- კონტოხის დელე – ლელე. კონტოხიდან ერთვის ჯეგორას (ღუნდა).
- კონცხ(ებ)ი – საძოვრები კიროთავსა და ხოკერაწყალს შუა (ბაჯიხევი).
- კოპიტაური – სათიბი სოფლის შემოგარენში (ჩორდი).
- კორკოტადელე – ბართუზლირუს შენაკადი (რივნისთავი).
- კორტუნა – სანახშო კობერიძეების უბანში (ცხმორი).
- კორუხი – ერქვა მინდორს არტუანის უბანში (ონი).
- კორძიეთა – სათიბი გოჩუნაწყერის გვერდით (ჩინჭვისი).
- კოტეენასახვლარი – სათიბი უბიაში (გონა).
- კოტეენწყალუკა – წყარო უბიაში (გონა).
- კოტრევი – ტყე ჩორდულის მარცხ. მხარეს (ფსორი).



- კოტუალეკები - ტყე ქვემო ძეგლევში (ძეგლევი).
- კოწიალელე - სათიბი ლუხუნის ქედზე (რივნისთავი).
- კოჭლეყვანები - სახნავი ბუბაში (გლოლა).
- კოხაური - ტყე, სათიბი ფხონის მთასა და დათვისაწურს შუა (ბაჯიხევი).
- კოხაურის დასახვევი - გზა, ნალუდოვარიდან თელნარში ჩასახვევი (ბაჯიხევი).
- კოხიასო - სათიბები შოდაზე. კოხია პირსახელია (პ. ლები).
- კოხისატეხი - ტყე-საძოვრები ვაკე ნაძვნარსა და ფსკრავლს შუა. ინფ.: "კოხი კაეიქვაა. საკევრედ ამტვრევდნენ" (ბაჯიხევი).
- კოხიქვაბი - საძოვარი ედენისრუს მარჯვ. მხარეს (რივნისთავი).
- კოხნარა - საძოვარი ახალ გლოლაში. ინფ.: "კოხი დიდი ქვაა. დღვიორას დაუტოვებია ლოდები" (გლოლა).
- კოხორი - მთა რიონის მარცხ. მხარეს (ნაკიეთი, ღარი).
- კრაფთა//კრაფთები - ფერდობები რიონის მარცხ. მხარეს, ნახორვალის ქედზე (უწერა).
- კრაფთები - იხ. კრაფთა.
- კრიჭა - სათიბი შიდავლიყელსა და ჩანარიკოდს შუა (ბაჯიხევი).
- კუკუნაური - სახნავი ზედა საკაოში (საკაო).
- კუნჩიანთ ადგილები - სათიბები ხოლითავში (გონა).
- კუნჭულა - სათიბი რუმბოძალის მარცხ. მხარეს. ინფ. "კუნჭულს ვარქმევთ, თუ კუთხეა" (რივნისთავი).
- კუნტრუშეულ/ებ/ი - სათიბი გომის ქედზე, ნაქოხვარასა და გვერდას შუა (უწერა).
- კურდღელაური - რიყე, ვაკე-ფერდობები რიონსა და გზატკეცილს შუა (ნიგავზები).
- კურდღლიწყარო - წყარო ზედა საკაოში (საკაო).
- კურიეთი - საძოვარი წოლის საზღვარზე (წმენდაური).
- კუტიმარო - სათიბი ზოფხითურის მარჯვ. მხარეს. ინფ.: "კუტი მაროს ვკუთვნოდა. თვითონ ვერ თიბდა. სხვას ათიბინებდა" (რივნისთავი).
- კუტკავი - ტყე კდეუნის თავზე (წოლა, წმენდაური).
- კუჭუნია - სათიბი რუს მარჯვ. მხარეს (ბაჯიხევი).
- კუხტა - საძოვარი ხოლსა და საწისქვილოწყალს შუა (ქიორა).

ლაბოდა – მთა, მწვერვალი, მყინვარი რაჭის კავკასიონზე, ზოფხიტურის სათავესთან. სიმაღლე 4314 მ. ზოფხიტურის ხეობიდან ლაბოდაზე გადადის გზა-უღელტეხილი ყაბარდობალყარეთისაკენ (რივნისთავი).

ლაგვანთა – სოფელი საკაოს საკრებულოში, რიონის მარჯვ. მხარეს, საკაურის შესართავს ზემოთ. ზღვის დონიდან 1120 მ. ქ. ონიდან 4 კმ. ესაზღვრება: ბორცო, ნაკიეთი. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. შემორჩენილია ფეოდალური ხანის ციხე-დარბაზისა და ეკლესიის ნანგრევები.

ლაგვანთითავი – ტყე ლაგვანთის საზღვარზე (ბორცო).

ლადიაახო – სათიბი ლადიაწყალუკასთან (ბაჯიხევი).

ლადიაწყალუკა – წყარო ნაბოგირევსა და წყალფენილას შუა (ბაჯიხევი).

ლადიშერაქაღა – სახნავი საკაურის მარცხ. ნაპირას (საკაო).

ლადოსეული – საძოვარი ქვედა საკაოში (საკაო).

ლაფანგიეთი – უბანი ახალსოფელში, ქანჭახისა და დღვიორის მარცხ. მხარეს (გლოლა).

ლაფლაზიარი – სახნავი მუშუანის მარცხ. მხარეს, დიდქოთანის გვერდით (უწერა).

ლაფლაზიარის ვერძა – ვეძა ლავლაზიარში (უწერა).

ლათაზიარი – ტყე-სათიბი ზეციეთაში (ნაკიეთი).

ლათქვეში – ვაკე-ფერდობები ლათქიშორის მარცხ. ნაპირას, შუა წელზე (პ. ლები).

ლათქიშორა – რიონის მარჯვ. შენაკადი ხიდთან. ჩაუვლის ლათქვეშს (პ. ლები).

ლათქიშორის წვერი // ნათქიშორისწვერი – მთის წვერი ლათქიშორის სათავესთან (პ. ლები).

ლაღათი – ფერდობი, საძოვარი ნაძვნარის კალთაზე (ფსორი).

ლაღათისფეხი – ტყე ლაღათის ძირში (ფსორი).

ლაღუეფარი – იხ. ფარები.

ლამაზახეული – სათიბი კვათაში. ეკუთვნოდა კაცს, სახელად ლამაზას (ლარი).

ლამაზველი – იხ. ლამაზი ველუკა.

ლამაზი ველუკა // ლამაზველი – სათიბი საუსხიის ქვემო კალთაზე (ხიდშლები).



- ლანდეუნთი** – უბანი კაკაბას მარცხ. მხარეს, აბესალაშვილების უბანსა და მჭედლიანთ უბანს შუა (მაჩიეთი).
- ლატანი** – სათიბი ორბის კალთაზე, ხარსაწოლის თავზე. ლატი ბალახია ერთგვარი (ძეგლვევი).
- ლაქაშა** – სათიბი ფოთხიეთო(ს)რუს სათავესთან, სადაც ხავრობს ლაქაში - ჭაობის მცენარე (ღები).
- ლაღმინაცემა//ნაღდინაცემა** – ტყე ოქანურის მარჯვ. მხარეს, ნაქალაქევისაკენ მიმავალ გზაზე (ძეგლვევი).
- ლაღთრა//ლოღორა** – მთა შოდის ქედზე, შოდურისა და ლაღორულის სათავეებთან. სიმაღლე 3 152 მ. (ქიორა).
- ლაღთრულა//ლოღორულა** – რიონის მარჯვ. შენაკადი. სათავე აქვს ლაღორაში (ქიორა).
- ლაშურა//რაშულა** – ჭეჭორის მარცხ. შენაკადი. ჩამოედინება სოლოკეთიდან ჩორდულის პარალელურად (ღუნდა, ფსორი).
- ლაშხავი** – სახნავეები ჯობაძეების განაპირას (ფსორი).
- ლაშხე(ე)ქედი** – დაბალი მთა-საძოვარი სოფლის შემოგარენში (ბაჯიხვევი).
- ლახშიური//ნახშიური** – სახნავი საკაურის მარჯვ. მხარეს, შიოს წყალთან, სადაც უწინ ნახშირს წვავენ (ლაგვანთა).
- ლაჯიაქვეში** – სახნავეები ღუნდის მთაზე (ღუნდა).
- ლებევეები** – ტყე ზეციეთაში (ნაკიეთი).
- ლეგედარას კაკალი** – კაკლის ხე კობეხაურს ზემოთ (უწერა).
- ლეგანაანთ ბაღი** – საძოვარი ლევანაანთ ვაკის გვერდით, სადაც უწინ ბაღი მდგარა (ხიდეშლები).
- ლეგანაანთ ვაკე** – საძოვარი ხოჯორის მარცხ. მხარეს, ბიჭინაანთ ვაკის გვერდით (ხიდეშლები).
- ლეგნარა** – საძოვარი რიონის მარცხ. მხარეს (ქიორა).
- ლეკვიტიანთები** – იხ. ლობჯანიძეები.
- ლეკის წყალუკები** – სათიბი თოფისასროლიასთან (მაჩიეთი).
- ლეკიჭალა** – სათიბი საკაურის მარჯვ. მხარეს (საკაო).
- ლეკნარა** – 1. საძოვრები ბუძგორსა და ჩაბალახში (ხიდეშლები); 2. ტყე ლესორასა და ჯვარისას შუა (ბაჯიხვევი).
- ლეკნარი** – 1. სათიბი ჯვარიგორში (რივნისთავი); 2. სათიბები ზებენიერში. იყოფა: მამუჩიანთ ლეკნარი, ბერუკიანთ ლეკნარი, გოჩეენტ ლეკნარი, საგივეთლეკნარი, გაგნივეთლეკნარი, ჩხუტეენტლეკნარი, პაპოენლეკნარი, ბოხვეთი, ვიწრო ფარი.



ლალუეფარი, ბერუკიანფარი, ალხიეფარი, კანკალეფარი, ბათოფარი (პ. ლები); 3. სათიბი ბუბაში (შოვი).

ლენარიქედი – ქედი ბელლორსა და სკოდორულს შუა (უწერა).
ლელეები – ქაობნარი სოლოკეთის ჩრდ. კალთაზე. ხარობს ლელი (ლუნდა).

ლენტები – საძოვარი ქოქვაბთან, ბოყოსწყლის მარცხ. მხარეს. „ლენტით წვრილი მინდორია (გლოლა).“

ლერწუანი – მინდორი მაისურაძეების უბანში (ცხმორი).

ლესორა – ერქვა მუშათა დასახლებას ჩილორულის მარჯვ. მხარეს, გორგოლიების მთის კალთებზე. ერთი ნაწილი შეუერთდა ბაჯიხევს, მეორე ნაწილი - ირს, მესამე - ცხმორს. შედიოდა ცხმორის სასოფლო საბჭოში. ზღვის დონიდან 1920 მ., ქ. ონიდან 26 კმ. ლესორაში მდებარეობს ბარიტის საბადო (ბაჯიხევი).

ლესორის წყალი – ჩილორულის ერთ-ერთი მდგენელი (ბაჯიხევი).

ლეტაროები – მინდვრები ქაშიერეთში (უწერა).

ლექსუამარმალა – იხ. მარმალა.

ლექურფორა – გორა ტყე-სათიბებით ხარხალის სათავესთან, უწერის საზღვარზე (გომრულა).

ლექები – ტყე ბოდეურის მარცხ. მხარეს. ინფ.: „ლექი შქერია, მარადმწვანე მცენარე“ (ბორცო).

ლექები/ლექნარი – სათიბი ოქანურის ზემოთში (ძეგლევნი).

ლექიანა – საძოვარი მოღლორში (საკაო).

ლექნარი – იხ. ლექები.

ლექორა – ტყე-სახნავეები ილინეს მარჯვ. მხარეს (გლოლა).

ლექნაქეთი – სათიბი ზეხენიერში, ლექნარის ზემოთ (პ. ლები).

ლექნაქეჭალა – სახნავი რიონის ქალაში. ინფ.: „ლექნაქეჭალა ოჯახის სახელია. იყვნენ ლექნაქეჭალი“ (პ. ლები).

ლექნი/ლექნები – საძოვარი ხოლსა და საწისქვილოსწყალს შუა (კიორა).

ლექნები – იხ. ლექნი.

ლექნარა – საძოვარი კაკაბასა და რისინეს შუა (მაჭიეთი).

ლექნარი – 1. ტყე დედაკვინის ძირას, მუშუანის სათავესთან (უწერა); 2. სათიბები დიდრუს სათავესთან (გომრულა).

ლექნარის წყალი – ლელე. იწყება დაღვერილაში (ბაჯიხევი), ჩადის პერევისაში და უერთდება ყვირილას.



ლია(ს)წყარო – წყარო ოქანურის მარჯვ. მხარეს, საულლიის თავზე (ძეგლევი, ფარავნეში).

ლირსიანი – ხეილნარი რიონისა და ღარულის შესართავთან. ინფ.: “ეს ადგილი ილირსებოდა, ქვიშა იყრებოდა” (ღარი).

ლიჭყეთი – სახნავეები ქვედა ძეგლევში, ცონისწყლისრუს მარცხ. მხარეს, სამარწყვესა და ვერძას შუა (ძეგლევი).

ლოდნარი – ტყე ზეციეთაში (ნაკიეთი).

ლობჯანიძეები – უბანი რუს ნაპირებზე. იყოფა მიკროუბნებად: დათიკიანთები, ლეკვიტიანთები, ნასტიანთები, პაპიანთები (ბაჯიხევი).

ლობჯანიძეების კალოები – მინდორი ლობჯანიძეების განაპირას (ბაჯიხევი).

ლობჯანიძეების შიდავლითავი – საძოვარი შიდავლითავში (ბაჯიხევი).

ლო(ი)საურ(ებ)ი – ვენახი ძეგლევის საზღვართან (ნაკიეთი).

ლორგო – წყარო, სახნავი სოფლის ცენტრში (ნიგავზები).

ლორგო//ლორგოს უბანი – უბანი სადათვის გორის ძირას (ღები).

ლორგოთავის სანახშო – სანახშო ლორგოში (ღები).

ლორგოს უბანი – იხ. ლორგო.

ლორგოსქვა – უზარმაზარი ლოდი ლორგოს უბანში (ღები).

ლორო – მთა-სათიბები ხოჯორისა და ჩაბალაყის წყალგამყოფზე. იყოფა: ზედა ლორო, ქვედა ლორო (ხიდეშლები).

ლოროს დელე – საკაურის მარცხ. შენაკადი ფართო ქალასთან (ხიდეშლები).

ლოღორა – იხ. ლაღორა.

ლოღორისწყერი – ლოღორის მწვერვალი, სანადირო ქიუხები შოდის ქედზე (ჭიორა).

ლოღორულა – იხ. ლაღორულა.

ლუარდმა – 1. სათიბი ზეციეთაში (ნაკიეთი); 2. სახნავეები კვაქაში (გომი).

ლუკიაბადუკა – საძოვარი სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში (ნიგავზები).

ლუკიას ველი – სათიბი ქვედა საკაოში (საკაო).

ლუკიას ნაშოსახლი – საძოვარი, საკაურის მარჯვ. მხარეს (საკაო).

ლუკიაწყალშო – სათიბი წყალშოში (პ. ღები).

ლურჯი ტბა – ტბა უპიროში (უწერა).


ლურჯმეწერები – კლდოვანი მთა საჯიხვეებითა და საარჩევნებით
შოდის ქედზე, ხირხიწვერსა და ველიმბილას შუა. ^{ფერითაა}
ლურჯი“ (ხიდეშლები).

ლუხუზაური – სათიბი რუს მარჯვ. მხარეს (ბაჯიხვეი).

ლუხუმა – იხ. ლუხუნი.

ლუხუმი – იხ. ლუხუნი.

ლუხუნი//ლუხუმა//ლუხუმი – მთა ლეჩხუმის ქედის ჩრდ. ნაწილში,
საკაურის სათავესთან (ონის რ. ლენტეხის რ.)

ლუხუნისწვერი – ლუხუნის მწვერვალი.

მ

მაგრატელა – სათიბი ბორჯანის მარცხ. მხარეს, ნალორავის თავზე
(ცხმორი).

მაგრაქველიჭალა – სახნავები რიონის ქალაში, ლაგვანთის
საზღვართან (ნაკიეთი).

მაღნითავი – ტყე ქვედა ძეგლევიში (ძეგლევი).

მაიაახო – ორგან ეწოდება სათიბს – ნასახტრის ფერდობზე და
ჩილორულის მარცხ. მხარეს (ბაჯიხვეი).

მაინჯა – საძოვარი შოდის ქედზე, შეისურსა და ბუძგორს შუა (პ.
ლები).

მაისურაძეები – უბანი ჩორდულის მარცხ. მხარეს (ფსორი).

მაისურაძეების უბანი – უბანი ბორჯანასა და მბლავანას შუა
(ცხმორი).

მამადეთისა – იხ. სალოცავი.

მამაწმინდა – სალოცავი რიონის მარცხ. მხარეს (ჭიორა).

მამიზიკიანთეულა – სათიბი მუხამეშში (პ. ლები).

მამუკაახო – სათიბი სატუმპაროების თავზე (ხიდეშლები).

მამუკატყე – მინდორი სოფლის ჩრდ. ნაწილში (ნიგაეზები).

მამუკაშვილები – უბანი სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში, მბლავანის
ნაპირებზე (ცხმორი).

მამუკელაანთები//მამუკელაანთ უბანი – უბანი სოფლის ცენტრში
(ხიდეშლები).

მამუკელაანთ უბანი – იხ. მამუკელაანთები.

მამუკუნაველა – საძოვარი (მაჭიეთი).

მამუჩიანთ ლეკნარი – იხ. ლეკნარი.

- მაშუნიანთ უბანი – ჩიხრაძეთა უბანი დიდ გომში (გომი).
- მაშუნიანთ ქალა – იხ. ზაქარეეჟალა.
- მაშუნიკიანთ – ტყე-ხევი ფარავენეშის საზღვართან (ძეგლევი).
- მანაგონევი – სასაფლაო ოქანურის მარცხ. მხარეს, ფარავენეშის საზღვართან (ნაკიეთი).
- მანწვრისა//მანწვრისები – ტყე ნაძერძევის მარცხ. მხარეს (ფსორი).
- მანწვრისები – იხ. მანწვრისა.
- მაჟაველა – სახნავი გუგეშაურის გვერდით (ჩორდი).
- მაჟიეთი – სოფელი საკაოს საკრებულოში, საკაურის მარცხ. მხარეს, საკაოსა და ხიდეშლებს შუა. ზ.დ. 1120 მ. ქ. ონიდან 13 კმ. ცხოვრობენ გუგეშაშვილები, აბესალაშვილები და სხვ.
- მარადეული – სათიბები ლათქიშორის მარჯვ. მხარეს (პ. ლები).
- მარადეულის კილო – გადასასვლელი მარადეულიდან წყალშოში (პ. ლები).
- მარანეული – სახნავი მბლავანასა და რუს შუა (ცხმორი).
- მარანეულის წყარო – წყარო მარანეულში (ცხმორი).
- მარიამის წყალი – იხ. ბუმარუ.
- მარიამი(ში) – სალოცავი, სათიბი რიონის მარჯვ. მხარეს, სადაც უწინ წმ. მარიამის ეკლესია ყოფილა (ჭიორა, უწერა).
- მარიამიშის ქედი – ქედი. მიებმის ლოლორას (ჭიორა, უწერა).
- მარილიანწყალი – 1. წყარო იწილეთში (ლარი); 2. წყარო ნაბოგირევში. ინფ.: “არაა მარილიანი, მაინც ასე ჰქვია” (ბაჯიხევი).
- მარინეგორა – სათიბი კვაქაში (ლარი).
- მარიობა – იხ. სამარიობო.
- მარ(ი)ჭელა – წყარო, ბორჯანის ერთ-ერთი სათავე, და ტყე-სათიბები ზესველსა და ქოჩერიაწვერს შუა. იყოფა: ზედა მარიჭელა, ქვედა მარიჭელა (ბაჯიხევი, ცხმორი).
- მარკოზაანთ უბანი – უბანი სოფლის ცენტრში. “მარკოზაანთები ხიდეშლების ერთ-ერთი ბაბუიშვილობაა” (ხიდეშლები).
- მარკონიშვილების ყანები – სათიბი ველეფში (ლარი).
- მარმალა – საძოვრები კვაქაში. იყოფა: არჩილამარმალა, ლექსუამარმალა (გომი).
- მარწყვეულა – საძოვარი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ზედა ნასელვარის თავზე (ნიგავზები).
- მაქარას მჟავე წყალი – იხ. მჟავე წყალი.
- მაქსიარუ – რუ კვაქაში. მაქსია ჩიხრაძის სახლს ჩაუდიოდა (ლარი).



- მალაღაანთ უბანი – ჩიხრაძეთა უბანი დიდ გომში (გომი).
- მალაღახთ – საძოვარი მალაღახოვორაში (ნიგავზები).
- მალაღახთგორა – გორა, საძოვრები სოფლის ჩრდ. ნაწილში, საფამფარიასა და პეტრიას მოსაზღვრედ (ნიგავზები).
- მალაღთა – 1. მთა რიონის მარჯვ. მხარეს, მარიამიშა და ეშმაკურის სათავეს შუა (უწერა); 2. ფერდობები ჩორდულის მარცხ. მხარეს, ფსორიგზის დასაწყისში (ლუნდა).
- მალაღთაკოდი – კლდე რიონის მარჯვ. მხარეს (ლაგვანთა).
- მალაღიანთ ყანები – სახნავი კვათაში (ლარი).
- მალაღიანთ წყალი – ლარულის მარჯვ. შენაკადი კვათაში. ინფ.: “მალაღიანთები გვარად ჩიხრაძეები არიან” (ლარი).
- მალაღი გუნთო – იხ. გუნთო.
- მალაღი ჭიქეური – იხ. ჭიქეურ(ებ)ი.
- მალაღყანა – 1. სათიბი ფოროში (ლარი); 2. სახნავი ქათნაურში (წმენდაური); 3. საძოვარი რიკაულაში (ნიგავზები).
- მალაღწვერი – მწვერვალი საკაურის მარჯვ. მხარეს, ნადარაგვესა და ქვაცხეს შუა (ხიდეშლები).
- მალაღზიდი – იხ. რკინის ხიდი.
- მალრუელი – სათიბი კობერიძეებში (ცხმორი).
- მაყვლიანი//სამაყვლე – ტყე ლესორის გზაზე (ჩორდი).
- მაყთორი – სათიბი შავგორებთან, კობერიძეების უბანში (ცხმორი).
- მაჩაჩა/ნი/ – ტყე, სახნავი ზეციეთასა და მგყარის შუა (ლარი).
- მაჩაჩეური – საძოვარი რუს მარცხ. მხარეს (ბაგიხევი).
- მაჩაჩიანთ – ტყე, საძოვარი ბორჯანის მარცხ. მხარეს (ფსორი).
- მაჩაჩინაკვდავი – საძოვარი ჩორდულის მარცხ. ნაპირას. ინფ.: “მაჩაჩი, იგივე მაჩვი, აქ მკვდარი უპოვიათ” (ფსორი).
- მახარაშვილების უბანი – იხ. ურიშელების უბანი.
- მახარეუნთი – იხ. ჭიორა.
- მახვილა//მახულა – მთა-საძოვრები ხოჯორის მარცხ. მხარეს, სათომიის ჩრდილოეთით (ხიდეშლები).
- მახვლები – საძოვარი ნაძერძვის მარცხ. მხარეს (ფსორი).
- მახულა – იხ. მახვილა.
- მახუნჯაგი – რიონის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ზედა ძეგლვიდან (ნაკიეთი).
- მახუტაენტო ზვაგი//მახუტიანთ ზვაგი – საზვავე ხევი რიონის მარჯვ. მხარეს, სასადილო ზვავსა და სკოდორულას შუა ინფ.: “მახუტიანთი აქ ზვავს დაუმარხავს” (უწერა).

მახუტიანთ ზვაჯი – იხ. მახუტაენტ ზვაჯი.

მახუტიანთი – უბანი მუშუანის მარცხ. მხარეს, წინა უწერის გვერდით (უწერა).

(მ)ბღაჯანა – ბორჯანის მარჯვ. შენაკადი. სათავე წყაროებია მარიჟელა და ცხემლისწყარო (ცხმორი).

მღევანა – სათიბი ფერდობზე, ორდინიძეების უბანში (ლარი).

მდინჯარა – იხ. დინჯარა.

მედუეთი – საძოვარი ფერდობი რიონის მარცხ. მხარეს (ჭიორა).

მეედანი – სახნავი რიონის მარცხ. მხარეს, კორუხის თავზე (ონი).

მეთხეები – საძოვარი ბუძგორში, სადაც მეთხეებს ხულები ჰქონდათ (ხიდეშლები).

მეკარისი – სათიბ-სახნავეები ველისის გვერდით, ნამოსახლევის თავზე (ლარი).

მელანე – საძოვარი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, უწერის საზღვართან (ნიგავზები).

მელაურა – ტყე-საძოვრები ჩილორულის ორივე მხარეს, ბოსელას ზემოთ (ბაჯიხევი).

მელაძეები – უბანი გოგრიჭიანებსა და მიქუჭაძეებს შუა (ჩორდი).

მელოვაკე – სათიბი ქურთუბანსა და საბუეს შუა (ბაჯიხევი).

მელოვაკისთავი – მინდორი მელოვაკეში (ბაჯიხევი).

მერებიანთ ახთ – სათიბი ქვედასაკაოში, საბუისწყერის კალთაზე. ინფ.: “მერებიანთები ჯაფარიძეები არიან” (საკაო).

მერევი – საძოვარი ჯოხაძეების განაპირას. მერე საერთოდ მდინარიპირა ადგილია, თუმცა, რესპონდენტის ცნობით, ახლომახლო მდინარე არ გადის (ფსორი).

მეტრევი – ნასოფლარი, ფერდობები ჟამიერეთში. ინფ.: „მეტრეველები აქედან არიან წარმოშობილნი: ერთი ძმა ნიგავზებში დასახლებულა. უკითხავთ სადაურობა. გვარის მაგივრად უთქვამს, მეტრეველი ვარო. ცხოვრობენ ნიგავზებში, უწერაში“ (უწერა).

მეტრეველების უბანი – ნასახლარები ვაკისუბნის ჩრდილოეთით (ლარი).

მეტრევეხიდი – ერქვა ხიდს რიონზე. აკავშირებდა რუსიანთ უბანს გაღმა უბანთან, სადაც მდებარეობს მეტრევიც (უწერა).

მეტყურაული – ტყე, საძოვარი დოშვერის მარცხ. მხარეს, მზიურში (გომრულა).



მეჩხერი//მეჩხრიანი – საძვარი დიდრუს მარცხ. მხარეს (ბორცო, საკაო).

მეჩხრიანი – იხ. მეჩხერი.

მეწყერა – 1. სათიბი კვირიკაშვილების უბანში (ცხმორი); 2. სათიბი მელაძეების განაპირას (ჩორდი).

მეწყერაული – საძვარი ფარავნეშის მთაზე (ფარავნეში).

მეწყერაფეხები – სათიბი მეწყერების ძირას (პ. ლები).

მეწყერები – სათიბი მუხამეშში (პ. ლები).

მეწყერი – სათიბი მზიურში (გომრული).

მეწყერი//მეწყერები – საძვრები ორდინაძეების უბანში (ლარი).

მეწყერები – 1. სახნავი ზეციეთაში (ნაკიეთი); 2. იხ. მეწყერი.

მეწყერთავი – სათიბი ლათქიშორის მარცხ. მხარეს, ზეხენიერის გზაზე (პ. ლები).

მეწყერისთავი – ბორცვი გვერთულისა და გომრულის წყალგამყოფზე (უწერა).

მეწყერიება – სათიბი ბორცოს სერის ჩრდ. კალთაზე. “ერთ მხარეზე მეწყერი ჩამოვიდა. ის მეორე ყბაა, სერის გადაღმა” (ბორცო).

მეწყერიებისერი//ბორცოს სერი – სერი ძეგლუვის საზღვართან (ბორცო).

მეჭურიანველი – სათიბი ქუდაროს მარჯვ. მხარეს. ინფ.: “საჭურე მიწაა, ქურებს ნაკეთებან” (ლაგვანთა).

მეხმირა – ხევი კვირიკაშვილების უბანში (ცხმორი).

მზითავი – საძვარი მზითივაკის თავზე (ბაჯიხევი).

მზითანა – სამზეო ფერდობები ველუფსა და სხანარს შუა (ლარი).

მზითვაკე – სათიბი მბლავანის მარცხ. მხარეს (ცხმორი).

მზითვალდი მინდორა – ტყე მარიქელის თავზე (ფსორი).

მზითივაკე – ვაკე მაგალვერასა და წყაროებს შუა (ბაჯიხევი).

მზისა – საძვარი ოქანურის მარჯვ. მხარეს, ლორალეშის თავზე (ძეგლუვი).

მზისა//მზისეები – 1. მუხნარი სიმონიანთ უბნის თავზე (გომი); 2.

საძვარი ზოფხარელის მარჯვ. მხარეს (ხიდეშლები); 3.

საძვარი, ფერდობები ჩვეშურის მარჯვ. მხარეს. ინფ.: “მზიანი ადგილია წლებების ქვეშეთ. მზის მხარესაა მოქცეული” (ლები).

მზისა//მზისუკა//მზისუკეები – სათიბები რიონის მარცხ. მხარეს, ბრილში (რიონისთავი).

მზისეები – იხ. მზისა//მზისეები.

მზისუკა – იხ. მზისა//მზისუკა.

მზისუკეები – იხ. მზისა//მზისუკა.

მზიურა – გორა რუთავის გვერდით (გონა).

/მ/ზიურგორუკა – ბორცვი, სახნავი გომრულის მარცხ. მხარეს, ნასებიანთ უბანში (ჯინჭვისი).

მზიურედენა – იხ. ედენა.

მზიური – 1. სერი, ფერდობები გომრულის მარჯვ. მხარეს, სოფლის დასახლებიდან მდინარის სათავემდე. ინფ.: “მზიანი ადგილებია. ამის შესაბამისად დაურქმევიათ” (გომი, გომრულა); 2. ტყეები საბუეთის კალთაზე. იყოფა: ზედა მზიური, შუა მზიური, ქვედა მზიური (ლაგვანთა); 3. სათიბი სხარალში (საკაო).

მზიური მიქინა – იხ. მიქინა.

მზიურისრუ – იხ. ბოძალირუ.

მთაგორა – 1. მთა, საძოვარი საკაურის მარჯვ. მხარეს, სხარალსა და კოზმანტეშოს შუა. ინფ.: “ყველაზე მაღალი საძოვარია. ამიტომაცაა მთაგორა” (საკაო); 2. გორა, უბანი ბორჯანის მარცხ. მხარეს (ცხმორი).

(მ)თავარანგულოში – 1. სალოცავი ქილოლაქედზე (ხიდეშლები); 2. გორა, ეკლესია, სასაფლაო ჩვეშურის მარჯვ. მხარეს. გადმოცემით, აუშენებიათ გობეჯიშვილებს მე-17 ს-ში. ახალკვირას, ე.ი. აღდგომის კვირას, აქ ტარდებოდა თემობა (გონა); 3. სალოცავი ორბის სერზე (ძეგლვევი); 4. სალოცავი კობერიძეების უბანში, ფიცართასთან (ცხმორი).

მთის გზა – გზა მზიურში. გომს აკავშირებდა გომრულის სათავეებთან (გომრულა).

მთისგზის გზა – ბილიკი, რომელიც უერთდება მთის გზას (ქიორა).

მთი(ს)ძირი – სახნავეები გორგოლიების მთის ძირას (ჩორდი).

მთისწყალი – ქალებებისწყლის შენაკადი. ჩამოედინება ფოცხვრევიდან (ბაჯიხვევი).

მილოცავი – სათიბი, სალოცავი მაისურაძეების უბნის განაპირას. ინფ.: “ეს არის მილოცვილი, ანუ ნაჩუქარი ყანა” (ფსორი).

მინდორა – 1. სათიბი სოფლის შემოგარენში (გომი); 2. იხ. თე(ლ)ნარა.

მინდორეები – საძოვარი მეწყრიყებისერის კალთაზე (ბორცო).

მინდრუკა – სათიბი მთაგორაში (ცხმორი).

მირანაახო – სათიბი ზედა ვაკიის თავზე (ლაგვანთა).

- შირეული** – სახნავი ქვედა ძეგლევში (ძეგლვევი).
- შიტყეპაური** – სათიბი სოფლის თავზე (ნიგავზები).
- შიქელაური** – ბაღები სასახლიანთ უბანში. ინფ.: “შიქელასი იქნებოდა” (უწერა).
- შიქელ-გაბრიელი** – სასაფლაო სოფლის განაპირას (ბაჭიხევი).
- შიქელიანთ უბანი** – იხ. ნიგავზები.
- შიქიჩა** – საჯიხვე კლდეები კირტიშულის ხეობაში. იყოფა: მზიური შიქიჩა, ჩ(რ)დილშიქიჩა, ჩ(რ)დილციხია (ჩვეშურა).
- შიქუნაანთი** – მიკროუბანი როსია(ა)ნთ უბანში (უწერა).
- შიქუჭაძეები** – უბანი სოფლის ზემო ნაწილში (ჩორდი).
- შიღმა უბანი//შიღმელები** – უბანი ლელიყანის მარცხ. მხარეს. ცხოვრობენ მალალდაძეები, ჯოხაძეები, გავაშელიშვილები (გომი).
- შიღმა შავლეს ახლ** – სახნავი თენარის გზაზე. მოსდევს შავლეს ახლს (ჩორდი).
- შიღმელები** – იხ. შიღმა უბანი.
- შიშაკოჭალა** – ჭალა საკაურის მარჯვ. ნაპირას (საკაო).
- შიწინათხარი** – საძოვარი ზედა ძეგლევში, ბორცოს საზღვართან, სადაც საკეცე მიწას თხრიდნენ (ძეგლვევი).
- შიწისათხარა** – სათიბი მაისურაძეების უბნის ნაპირას (ფსორი).
- შიწისათხარაი** – მინდორი სოფლის აღმ. ნაწილში. ინფ.: “შიწას ნალებენ კეცების გასაკეთებლად” (ბორცო).
- შიწისაღები** – საძოვარი კოდუნეებსა და ფატართას შუა, სადაც კრამიტის გამოსაწევად მიწას იღებდნენ (ბაჭიხევი).
- შიხას საბაღაზე** – საძოვარი ჩაბაღაზაში (ხიდეშლები).
- შლაშე წყალი** – იხ. გორისის მუავე წყალი.
- შიდრეკილა** – ქედი, მოცანცარა-ნოწარულის წყალგამყოფი (ჭიორა).
- შიოდანი** – საძოვარი საკაურის მარჯვ. მხარეს, საბუისწვერის კალთაზე. ინფ.: “იგივე ნადარაჯევია, მაგრამ შეუბნელები ეძახიან შიოდანს. აქ საქონელს აძოვებენ და ბინები აქვთ” (ხიდეშლები).
- შიოლისა** – მთა, რაქის კავკასიონის გავნშტოება ბოყოსწყლისა და მოცანცარის ზემოთებს შუა (ჭიორა, შოვი).
- შიოსალოცავი** – სათიბი გონიველის თავზე, ზოფხარელის მარცხ. მხარეს (მაქიეთი).

- მოსალოცავსუკან** – სათიბი. ინფ.: “მოსალოცავის ქედს იქითაა” (მაჟიეთი).
- მოსარუ** – სათიბი, ხევი, გზა საკაურის მარცხ. მხარეს. ინფ.: “გზის გასაყვანად ჯებირი გააკეთეს, მოსარეს, გაამაგრეს” (საკაო).
- მოსარუს დელე** – საკაურის მარცხ. შენაკადი (საკაო).
- მოსასვენებელი** – დავაკება, სათიბი ფსორიგზაზე (ლუნდა).
- მოსაყარა** – 1. სათიბი ნაომარში (ჩვეშურა); 2. სათიბი ჯვარიგორში. ინფ.: “თივის შესაქუჩებელი ადგილია. აქედან უკვე კაი გზაა და ზამთარშიც შეიძლება წაღება დიდსოფელში” (რივნისთავი).
- მოსაყარი** – 1. დავაკება შთალაში. ინფ.: “მოსაყარი თივის შესაკრები ადგილია” (ჩვეშურა); 2. სათიბი ზეხენიერის გზაზე (პ. ლები).
- მოსაყრე/ე/ბი** – სახნავი საწისქვილოწყლის მარჯვ. მხარეს (ჭიორა).
- მოსაცადი** – მინდორი თევრეშოში. ინფ.: “გზისპირია. შეისვენებდნენ და მთაში მიმავალ თანამგზავრს დაელოდებოდნენ” (ლები).
- მოსიას ნაკაფი** – სათიბი დედაკინის გზაზე (ნიგავზები).
- მოსიკაანთ სათიბი** – სათიბი მუხუთში. ინფ.: “მოსიკაანთები მოსიკა მეტრეველის შთამომავლები არიან” (უწერა).
- მოღლორი** – საძოვარი ქვედა საკაოში. ორია: გვერდიმოდლორი და ვაკე მოღლორი (საკაო).
- მოღლორის წყალი** – საკაურის მარჯვ. შენაკადი (საკაო).
- მოშო** – მთა-საძოვრები შოდის ქედზე, ოქანურის სათავის სიახლოვეს (ძეგლევი, ფარავნეში).
- მოშოვაკე** – დავაკება მოშოში (ფარავნეში).
- მოშოტყე** – ტყე მოშოში (ფარავნეში).
- მოშოფარი** – საძოვარი მოშოში (ფარავნეში).
- მოშოწვერი** – მთის წვერი მოშოში (ფარავნეში).
- მოშრიშა** – სათიბი ზედებში. ინფ.: “ითესებოდა თუთუნი. ხმელ ფოთლებს რომ ხელში მოსრეს, მოიშრიშება და თუთუნი კეთდება” (ლუნდა).
- მოშიავა** – ტყიანი გორის წვერი ბაჯიხევისა და ფსორის საზღვართან (ცხმორი).
- მოცანცარა** – წყარო ალპურ ზონაში, ნოწარულის მარჯვ. მხარეს (ჭიორა).



მოცანცარის წყალი - ნოწარულის მარცხ. შენაკადი-ვაკე ნოწარაში (ქიორა).

მოცვითა - საკარმიდამოები წინა უწერის დასავლეთით, ერვეთანის ზემოთ (უწერა).

მოცხარეები - საძოვარი სოლოკეთის კალთაზე (ღუნდა).

მოცხარიანწყარო - წყარო, მუხამეშურის მარცხ შენაკადი (პ. ლები).

მოცხარიანი - სათიბი პატარა ხოფითოს თავზე (რივნისთავი).

მოცხარიანდელე - ტყე-საძოვრები ქიბისთავში (გლოლა).

მოხვეულები//დახვეულები - სახელმწიფო გზის მონაკვეთი კანკახის მარჯვ. მხარეს. ინფ.: "წითელხიდიდან მამისონის უღელტეხილისაკენ მიხვეულ-მოხვეული გზებია". იყოფა: ზემო მოხვეულები, ანუ კავილაები//კავილეები, და ქვემო მოხვეულები, ანუ განები (შოვი).

მოხიდულა - გზა ბუძგორის წყალსა და ფართოქალის წყალს შორის. ინფ.: "მოხიდულია, გზაზე მორებია გადებული" (ხიდუშლები).

მჟავე წყალი//მაქარას მჟავე წყალი - წყარო ღარულის მარცხ. მხარეს (ლარი).

მჟავე წყლები - საძოვარი ქვედა საკაოში (საკაო).

მჟავე ჭკუტა - საძოვარი ქუდაროს მარჯვ. მხარეს. ჭკუტა ტყის ვაშლია (ლაგვანთა).

მრავალწყარო - საძოვარი ქუდაროს მარჯვ. მხარეს. ინფ.: "ბევრი წყაროა და მრავალწყაროა" (ლაგვანთა).

(მ)რგვალტბა - ტბა სახაზოში. რისინეს სათავე (მაჟიეთი).

მტყელფიფარი - იხ. (ბ)ტყელიში.

მუზრული - რიონის მარჯვ. შენაკადი (უწერა).

მუნიანი ყანა - სათიბი ფოცხვრევის მთის ძირას, ქვისათალის წყალსა და დიდახოს შუა. ინფ.: "ბევრი ნალუდოვარია, ე.ი. ჭიანჭველების ბუდეებისაგანაა ამობურცული. ამიტომ დარქმევია" (ცხმორი).

მუჟურო - საძოვარი კანკლეთში. ინფ.: "სვანური სიტყვაა და მიწურულ ადგილს ნიშნავს, კლდისძირი რომაა და ვერ ახვალ" (ქიორა).

მუჟურო//მუჯურო - ტყე ზედა ძეგლევში, ეწერთან (ძეგლევი).

- მუხხურა - სათიბი, რიონის მარჯვ. შენაკადი. ერთვის ზვიადენატებთან (რივნისთავი).
- მულუნა - სათიბი ბაგარასა და თხილნარს შუა (ბაჯიხევი).
- მულუნის წყალი - რიყისწყლის შენაკადი (ბაჯიხევი).
- მუშუანი - რიონის მარჯვ. შენაკადი. ჩამოედინება დედაკვინიდან სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში. მუშუანი (სვან.) "სვანი" (უწერა).
- მუნხარეული - სათიბი მუნხარეულის წყლის ნაპირას (ბაჯიხევი).
- მუნხარეულის წყალი - მთისწყლის მარცხ. შენაკადი (ბაჯიხევი).
- მუხა - სალოცავი მუხა ზედებში (ლუნდა).
- მუხამეში - მთა-საძოვრები შოდის ქედზე, მუხამეშურისა და ხოჯორის სათავეებთან (პ. ლები, ხიდეშლები).
- მუხამეშისკორე - მყინვარი მუხამეშში. (პ. ლები).
- მუხამეშური - რიონის მარჯვ. შენაკადი სოფლის სამხ. ნაწილში, ლათქიშორის შესართავიდან სამხრეთით 1,5 კმ-ზე (პ. ლები).
- მუხაქვეში - სანახშო მუხასთან (ლუნდა).
- მუხნარი - საძოვარი საკაურის მარჯვ. მხარეს (საკაო).
- მუხრანი - ტყე ხვრელითში (წმენდაური).
- მუხუთ/ებ/ი - საძოვარი ფერდობები მუშუანის მარჯვ. მხარეს, შუა წელზე (უწერა).
- მუხუთის ქედი - სერი ნიგავზებსა და მუშუანს შუა (უწერა).
- მუხუ(თის)ჭალა - მუშუანის ქალა სოფლის განაპირას (უწერა).
- მუჯუიანთ უბანი - მეტრეველთა მიკროუბანი წინა უწერაში (უწერა).
- მუჯურო - იხ. მუქურო.
- მღვდლიანთ უბანი - იხ. ჭიორა.
- /მ/ჩურეები - საძოვარი, ფერდობი ჯვარიგორუკასთან. მშრალი, მზიანი ადგილია (გომი).
- მყრალწყალუკა - ტყე ჩორდულის მარცხ. ნაპირას, სადაც ერთგან ვეძაა (ფსორი).
- მწვანეთანა/წვენითანა - სათიბი შხივანის მარცხ. მხარეს. ადრე ბალი ყოფილა (ძეგლევი).
- მწვანელა - ბორცვი ზედა საკაოს თავზე, კოდნარის გვერდით. ინფ.: "ფიცხი და თიში მიწაა. თოვლს მალე იღებდა და ადრევე მწვანდებოდა" (საკაო).
- მწვანია - იხ. გაღმეები.



- (მ)წიფლიკოდისწყალი – იხ. წიფლიკოდილელე.
- მჭავლისდელე – ხევი-ფერდობები ჭანჭახის მარცხ. მხარეს, სხარის ზემოთ (შოვი).
- მჭედლიანთი//მჭედლიანუბანი – უბანი რისინესა და კაკაბას შუა. ინფ.: “მჭედლიანთები გუგეშაშვილების ბაბუიშვილობაა” (მაჭიეთი).
- მჭედლიანუბანი – იხ. მჭედლიანთი.
- მჭედლიანყანები//ჭედლიყანა – სახნავი საკაურის მარცხ. ნაპირას (მაჭიეთი).
- /მ/ზვრელიეთო – მთა-სათიბები, რაჭის კავკასიონის განშტოება ბერალისა და ზოფხითურის ზემოთებში. ინფ.: “მზვრელში იდგა ქალი, ერქვა ეთერი და დაარქვეს მზვრელიეთო” (რივნისთავი).

6

- ნაარაბუვი – მთა ოქანურის მარჯვ. მხარეს (ფარავნეში).
- ნაბოგირავა//ნაბოგირევა – ტყე-სახნავები ღარულის მარცხ. მხარეს, იწილეთის თავზე (ღარი).
- ნაბოგირევა – იხ. ნაბოგირავა.
- ნაბოგირევი – საძოვარი წყალფენილას ნაპირას (ბაჯიხევი).
- ნაბოგირევი//ნაგობირევი – საძოვარი და საკაურის მარჯვ. შენაკადი (საკაო).
- ნაბოლოკვი – ტყე უწერის საზღვართან. (გომრულა).
- ნაბოსლევა – სათიბი მახუნჯაგის სათავესთან (ძეგლევი).
- ნაბოსლი//ნანუკიანთი – საძოვარი ჩვეშურის მარცხ. ნაპირას (ჩვეშურა).
- ნაბოსლიხიდი – ხიდი მცირე ხევზე, ნაბოსლში (ჩვეშურა).
- ნაგლაური – ვენახი სიმონიანთ უბანში (გომი).
- ნაგობირევი – იხ. ნაბოგირევი.
- ნადარაჯევი – იხ. მოედანი.
- ნადიკვარი – სახნავი ქვედა უბანში, ქ. ონის საზღვართან (წმენდაური).
- ნადიკვრისთავი – სახნავი ნადიკვრის ზემოთ (წმენდაური).
- ნადიღვარი – სახნავი საბანაძეების განაპირას (ღუნდა).
- ნადირაახო – სახნავი შავლეს ახოს გვერდით (ჩორდი).
- ნადობნევი – ტყე სოფლის აღმ. ნაწილში, ვარდანლებსა და კდისთავს შუა (ფსორი).

- ნადულუზევი** - მინდვრები ბორცოს საზღვართან. იყოფა: ზედა ნადულუზევი და ქვედა ნადულუზევი (ძეგლევი).
- ნაეკლესიარი//ნაეკლესიორი** - ნაეკლესიარი, სახნავი ოქანურის მარცხ. მხარეს, თაბერაულის გვერდით (ფარავნეში).
- ნაეკლესიორი** - იხ. ნაეკლესიარი.
- ნაფაჭრი** - სათიბი რიონის მარცხ. მხარეს, სასახლიანთ უბნის თავზე (უწერა).
- ნაველავა//ნაველავეები** - სათიბი ქვედა ძეგლევიში, ნაკიეთის საზღვართან (ძეგლევი).
- ნაველავეები** - იხ. ნაველავა.
- ნავენახვი** - 1. ვენახი ლაგვანთის საზღვართან (ნაკიეთი); 2. სახნავი ზედა და ქვედა უბნებს შუა (წმენდაური); 3. სათიბები ლუნდის მთაზე (ლუნდა).
- ნაზანდურევა** - ვენახი ვაკისუბანში (ლარი).
- ნაზღვაფარი** - იხ. ნაზლოფარი.
- ნაზლოფარი//ნაზღვაფარი** - სათიბები სოფლის განაპირას, ლესორის გზაზე. იყოფა: ზედა ნაზლოფარი, ქვედა ნაზლოფარი (ჩორდი).
- ნათარგშევა** - სათიბი ზედა ძეგლევიში, საკვაჭინოსთან (ძეგლევი).
- ნათიბუკა** - სახნავი რუწისქვილის აუზში (ლუნდა).
- ნათლიმცემელი** - ეკლესია ზეციეთაში (ნაკიეთი).
- ნათლიცემელი** - იხ. ივანე ნათლიცემელი.
- ნათლიცემელიფორა** - ბორცვი ივანე ნათლიცემელთან (წმენდაური).
- ნათლიცემლის დელე** - ღერულის მარცხ. შენაკადი (ონი).
- ნათლიცემლისწყალი** - წყარო ივანე ნათლიცემელთან (წმენდაური).
- ნათქიშორისწვერი** - იხ. ლათქიშორისწვერი.
- ნაი(მ)ფხლარი** - 1. საძოვარი მელაძეების განაპირას (ჩორდი); 2. სათიბი ნაი(მ)ფხლარის გორაზე (ბაჯიხევი).
- ნაი(მ)ფხლარის გორა** - გორა-სათიბი ნასაკირვესა და გვალველს შუა (ბაჯიხევი).
- ნაკალოვარა** - 1. სათიბი ჩვეშურის მარცხ. მხარეს (გონა); 2. საძოვარი ღვე(ი)რიწვერის ძირას (უწერა); 3. საძოვარი ნამოსახლევის სერზე (ლარი); 4. სათიბი მაჟიეთის საზღვართან, ბოდეურის მარჯვ. მხარეს (საკაო).
- ნაკალოვარი** - 1. სათიბი გომრულის მარცხ. მხარეს, საბუზარასთან (ჯინჭვისი); 2. საძოვარი ბორჯანის მარცხ.

- მხარეს (ცხმორი); 3. ვაკე-სახნავი ქვედა ძეგლევში (ძეგლევში);
4. საძოვარი კალოების გვერდით (ჩორდი).
- ნაკალოვარის უბანი** – უბანი სოფლის თავში, რიონის ხიდთან (პ. ლები).
- ნაკანაფევი** – 1. ვაკე-სათიბი მზიურში (გომრულა); 2. საძოვარი საკაურის მარცხ. მხარეს (მაჟიეთი, საკაო); 3. საძოვარი რუჩუის მარცხ. მხარეს (ფარავნეში).
- ნაკარტოფილევა** – სახნავი ფართო ღელეში (ლარი).
- ნაკეთურყანები** – სახნავები კვაჟაში (გომი).
- ნაკვეთა** – სათიბი ნამოსახლევის სერზე. ინფ.: “ნაკვეთი ბევრგან იყო, მაგრამ ეს იყო ცალკე, ბუჩქნარში“ (ლარი).
- ნაკვიშორი//ნაკუშორი** – ბუჩქნარი რისინეს მარჯვ. მხარეს (მაჟიეთი).
- ნაკიეთი** – სოფელი უწერის საკრებულოში. ძირითადი ნაწილი რიონის მარჯვ. მხარესაა, მცირე – მარცხ. მხარეს. ზ. დ. 1000 მ. ქ. ონიდან 7 კმ. უწერის ცენტრიდან 5 კმ. წყაროებში პირველად მოიხსენიება XVIII ს. მეორე ნახევარში. შემორჩენილია დარბაზული ტიპის ეკლესია. ესაზღვრება ძეგლევი, ლაგვანთა, ფარავნეში, ლარი, ჭინჭვისი.
- ნაკოხარი** – სახნავი ბორცოს სერის კალთაზე, დათვისაწუმპიის თავზე (ბორცო, ძეგლევი).
- ნაკრებავა** – საძოვრები გომრულის მარცხ. მხარეს (გომი).
- ნაკრებავას ციფწყარო** – წყარო ნაკრებავაში (გომი).
- ნაკუშორი** – იხ. ნაკვიშორი.
- ნალობიარა** – სათიბი ღვანტყანასა და ზორიფარს შუა, საკაურის მარჯვ. მხარეს, სადაც, გადმოცემით, თესდნენ ლობიოს (საკაო).
- ნალოვანევი** – სათიბი შხივის სათავესთან (ძეგლევი).
- ნამაჩევი** – ტყე-მინდვრები გვერითულის მარცხ. მხარეს (უწერა).
- ნამუედნევი** – სათიბი ქვედა ციცასა და ზედა ნაძვნარს შუა, სადაც კვირობით ამოდიოდნენ დღესასწაულზე (ბაჯიხევი).
- ნამეწყერი** – ტყე ქათნეურის თავზე. ინფ. “ნამეწყერი და ჩაყვამებული ადგილია“ (წმენდაური).
- ნამორსველა//ნამო/რ/სვლები** – სასაფლაო, ტყე-ფერდობები ფარავნეშის მთის ძირას, სოფლის ცენტრის პირდაპირ (ფარავნეში).
- ნამო(რ)სვლები** – იხ. ნამორსველა.

ნამოსახლევის სერი – სერი ღარულის მარჯვ. მხარეს (ღარი).

ნამოსახლი – 1. სათიბი სავლედურაში (ბორცო); 2. საძოვარი (მაჩეთი); 3. სათიბი (ლაგვანთა); 4. ვენახი ზედა უბანში (წმენდაური).

ნამღელა – სახნავი ზედა ძეგლევში, სამზიართან (ძეგლევი).

ნამღელადღელე – შურო საყდრიყელის კალთაზე (ჩორდი).

ნამყენეები – მინდორი სოფლის აღმ. ნაწილში. ინფ.: “უწინ ხეხილნარი იყო. მაშინ დარქმევია“ (ბორცო).

ნამყნები – ხეხილნარი სოფლის შემოგარენში (ბაჯიხევი).

ნამჭადვარა – 1. საძოვარი (ნიგავზები); 2. მინდორი ნათლიცემელთან, ღარის საზღვარზე (წმენდაური); 3. სათიბი კვაქაგომში (გომი); 4. საძოვარი საყდრიყელის კალთაზე. ინფ.: “უწინ აქ ჰადა სოკო იცოდა, ახლა აღარსადაა. ამიტომაც ნამჭადვარი“ (ჩორდი); 5. სახნავი ცელითის თავზე, სადაც უწინ ჰადა ითესებოდა (ღუნდა).

ნამჭედუარი – კლდე კარობის ქვემოთ. გადმოცემით, აქ ერთ დროს სამკედლო ყოფილა (გონა).

ნანახშირევა – საძოვარი ფართო ღელეში, სადაც ორმოებში ნახშირს წვავენ (ღარი).

ნანახშირევი – სათიბი ონქევისა და ქვედის საზღვარზე, სადაც ნახშირის ორმოები აპქა-იქ ახლაცაა შემორჩენილი (ღარი).

ნანგრევა – მინდორი ღარულის ნაპირას (ღარი).

ნანეზვა – სახნავი მაისურაძეების უბანში (ცხმორი).

ნანიაგორა – სათიბი ნამჭადვარის გვერდით (ჩორდი).

ნანიავაკე – საძოვარი ხარხალის მარჯვ. მხარეს. ნანია პირსახელია (გომრულა).

ნანოყანა/ნანოყანები – სახნავი საკაურის მარჯვ. მხარეს. ნანო პირსახელია (ხიდეშლები).

ნანოყანები – იხ. ნანოყანა.

ნანუკიანთი – იხ. ნაბოსლი.

ნანუკიანთ საშვები – სათიბი ხვარძახეთში (გონა).

ნათშარა – სახნავი სოფლის შემოგარენში (გომი).

ნათშარი – სახნავ-სათიბები შთალაში, სადაც ჭიორელებსა და ღებელებს ჩხუბი მოსვლიათ სათიბის გამო (ჩვეშურა).

ნათშრის ფარები – სათიბი ნათშარში (ჩვეშურა).

ნათნები – ტყე-საძოვრები საკაურის მარცხ. მხარეს. ინფ.:



“ყოფილა ბუგიანიშვილების უბანი. ჰქონიათ გუმბათიანი ეკლესია. დამეწყვილა და ბუგიანიშვილები ონში გადაბარგებულან. ახლაც ამოდიან წმ. გიორგის მოსალოცავად“ (საკაო).

ნაორმალა//ნაურმალა – ტყე ორმოების გვერდით (ჩორდი).

ნაძოვარა – სათიბი დიდღელის მარცხ. მხარეს. ინფ.: “ნაპოვნი სათიბია“ (რივნისთავი).

ნამურვალი – სათიბები გომრულის მარცხ. მხარეს (ჯინჭვისი).

ნართზაული – სახნავი ქვედა ძეგლევში (ძეგლევში).

ნართქულები – იხ. ნარუქვალა.

ნარტყელა – ტყე მუხამეშურის ხეობაში. ინფ.: “ნარტყელა არის კოჭები, რომლებიც ალაგია შუა ცეცხლის თავზე. აქ ქრიდნენ“ (პ. ლები).

ნარუქვალა//ნაროქულები – სასაფლაო გოცირიძეების უბანში (ლუნდა).

ნარუჯიქედი – მთა-სათიბები შოდის ქედზე, ბოდუურის ორ სათავე-მდგენელს შუა. ინფ.: “მართლა ნარუჯი როდია. შქერი ამოდის და შორიდან გადარუჯული ჩანს“ (ბორცო, ძეგლევში).

ნარღვევი//ნარლოვი//ნარღვარევი – უბანი რიონის მარცხ. მხარეს, იგივე ზედა ქალები. ინფ.: “ჩამოედინება ფოთხიეთო(ს)რუ. მის გამოა ნარღვარევი“. ცხოვრობენ გავაშლები, ლობჯანიძეები (ლები).

ნარღოვი – იხ. ნარღვევი.

ნასაკირალი – ერქვა მინდორს წყაროთავის უბანში (ლები).

ნასაკირალის სანახში – სანახში წყაროთავის უბანში (ლები).

ნასაკირევი – 1. საძოვარი იმელანესთან (უწერა); 2. სათიბი ნასაკირევის წყლის ნაპირას (ბაჯიხევი). 3. იხ. ნაქალაქევი.

ნასაკირევის წყალი – რუს შენაკადი (ბაჯიხევი).

ნასადორეგონი – ბორცვი საგებირუს გასწვრივ (გომრულა).

ნასადორევი – 1. სათიბი მზიურში, საგებირუს მარცხ. მხარეს (გომრულა); 2. მინდორი საკაურის მარჯვ. მხარეს (საკაო); 3. სათიბი ბოდუურის მარცხ. მხარეს (ბორცო); 4. ტყე-სათიბი სოფლის ჩრდ-აღმ. ნაწილში და საძოვარი უპიროში (უწერა, ფარავნეში).

ნასაყდრი – საძოვარი სოფლის შემოგარენში (გომი).

ნასაჩიხევი – საძოვარი ზედა ძეგლევში (ძეგლევში).

- ნასახვლარი - საძოვარი ზედა ძეგლევში (ძეგლევში).
- ნასახტრ(ებ)ი//ჯვარისა - ნაეკლესიარი, სათიბი ლესორაში (ჩორდი).
- ნასახტრი - 1. ნანგრევები, მთისწვერი ხოჯორში (ხიდეშლები); 2. საძოვარი, ნაეკლესიარი. აქედან ეკლესია ქაშუეთში, საკაოს ცენტრში, გადაუტანიათ (ბორცო); 3. ნასაყდრალი (მაჟიეთი); 4. ნაეკლესიარი, დავაყება სხარალში (საკაო); 5. სალოცავი გორგოლიასა და ჯვარისას შუა (ბაჯიხევი); 6. იხ. ონგვეი.
- ნასუბიანთ უბანი - უბანი გომრულის მარცხ. მხარეს. ინფ.: "ნასუბიანთი მეტრეველები არიან" (ჯინჭვისი).
- ნასელავა - საძოვარი ოქანურის მარცხ. მხარეს, საკვაჭინო ვაკესა და დიდყანას შუა (ფარავნეში).
- ნასელვარა - 1. საძოვარი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. იყოფა: ქვედა ნასელვარა, ზედა ნასელვარა (ნიგავზები); 2. სათიბი ვაკისუბანში (ლარი).
- ნასერვალა - იხ. ქოჩორა//ქოჩერა.
- ნასიმინდვარა - საძოვარი გვერითულის მარცხ. მხარეს, ნამაჩევის თავზე (უწერა).
- ნასისვარა//ნასისხვარი - საძოვარი გერგმეშოსა და ჩილორს შუა. ინფ.: "აქ ჩორდელებსა და ბაჯიხეველებს შუა ჩხუბი მომხდარა და კაცი დაღუპულა" (ბაჯიხევი).
- ნასისხვარი - იხ. ნასისვარა.
- ნასისხლა - სახნავი საკაურისა და ქუდაროს შესართავთან (ლაგვანთა).
- ნასკვერა - საძოვარი ნაკუმორის თავზე, რისინესა და ქარახსას შუა. ინფ.: "სკვერი არის პურის სალეწი. აქ უწინ ყველგან პური ითესებოდა" (მაჟიეთი).
- ნასლევი - სახნავი საბანაძეების უბანში. ინფ.: "სილოსის ორმოები იყო. ამიტომაა ნასლევი" (ლუნდა).
- ნასოველი - 1. სათიბი მზიურში. ნასო ჩიხრადეს ეკუთვნოდა (გომრულა); 2. სათიბი სერზე, გომრულის მარჯვ. მხარეს (უწერა).
- ნასოიანთ უბანი - 1. მიკროუბანი მილმა-უბანსა და გოგიტიანთ უბანს შუა (გომი); 2. იხ. კვაჟა.
- ნასოიანთ ყანები - სახნავი კვაჟაში (ლარი).
- ნასოიანთ წყალი - ღარულის მარჯვ. შენაკადი კვაჟაში (ლარი).
- ნასოიანტყე - ტყე მზიურში, რგვალსხალუკასთან (გომრულა).



- ნასტიანთები – იხ. ლობჯანიძეები.
- ნასყიანიბეგი – ტყე სოფლის სამხ. - აღმ. ნაწილში (ბორცო).
- ნატბევი – ვენახი რიონის მარჯვ. ნაპირას, ქალაში (ნაკიეთი).
- ნატბეური – ტყე-მინდვრები ხვაწურის ხეობაში (შოვი).
- ნატეხები – სახნავი აბესალაშვილების უბნის თავზე. “ნატეხი ისაა, ტყეში რომ ახოს გააკეთებენ” (მაჭიეთი).
- ნატყვევრები – ტყეები ლესორაში (ჩორდი).
- ნაურმალა – იხ. ნაორმალა.
- ნაფარახევი – იხ. ნაფარხევი.
- ნაფარხევი//ნაფარახევი – საძოვარი ბორჯანის მარჯვ. მხარეს (ცხმორი).
- ნაფარცხევა//ნაფარცხევეები – ვენახები რიონის მარჯვ. ნაპირას. ინფ.: “მიწა რომ მოიხვნება, დაითესება და მერე დაიფარცხება, ისაა ნაფარცხევა” (ნიგავზები).
- ნაფარცხევეები – 1. ვენახები შოშიანთ უბნის თავზე, მზიურში (ჯინკვისი); 2. იხ. ნაფარცხევა.
- ნაფერუხაყა – სახნავი მიღმა უბანში (გომი).
- ნაფეტვარა – სათიბი რიონის მარჯვ. ნაპირას, ხიდთან (პ. ლები).
- ნაფისყანა – საძოვარი ჟამიერეთის თავზე (უწერა).
- ნაფიცვარა – სათიბი ღელეჯვარისას მარჯვ. მხარეს (ბაჯიხევი).
- ნაფუზვარი – 1. ვენახი არტუანში (ონი); 2. სახნავი ქათნეურსა და ნადიკვარას შუა (წმენდაური); 3. სახნავი დვალიძეებში (ბაჯიხევი); 4. სახნავები ქვედრულის გზაზე (ლუნდა).
- ნაფუძვარი – სახნავი ზედა ძეგლევში (ძეგლევი).
- ნაქალაქევი//ნასაკირევი – დავაკება ქვედა ძეგლევში, ოქანურის მარჯვ. მხარეს. ინფ.: “ღედოფალს აქ დაუბანაკებია ჯარი და აუშენებია ორბის ციხესიმაგრე” (შდრ. ღედოფლიკარა); “აქ მინერალური წყლებია. ჩამოდრიოდნენ ქალაქელები თირკმლებისა და რევმატიზმის სამკურნალოდ, ბინებიც იდგა” (ძეგლევი).
სახტრიყელი//საყდრიყელი - გორა, ტყე-სათიბები მიქუჭაძეებსა
და ჭეჭორის ხეობას შუა. ინფ.: “ნაეკლესიარის გვერდით
მინდორი ყელივითაა შეჭრილი ტყეში“ (ჩორდი).

სახულე(ქედი) - სათიბი სასვანოგორაზე (რივნისთავი).

სახუნდარი//სამწყვედვეი//ჯიხვების საჭირავი - კლდეები
დომბურულის მარცხ. მხარეს. ინფ.: “აქ დგამდნენ მუხისაგან
გაკეთებულ სახუნდარს (ხაფანგს) ჯიხვისათვის“ (ჩვეშურა).

სახურავი - საძოვარი სამგლებეკის თავზე. “ერთგან კლდეა
გადმობურულივით“ (ჩორდი).

სახუცო - საძოვარი ზეციეთაში (ნაკიეთი).

საჯვარე - 1. ბორცვი, სასაფლაო გოგოლაანთ უბანში (ჯინჭვისი);
2. ბორცვი, სალოცავი შალიკიანთ უბანში (მაჟიეთი); 3. ჯვარის
ნიში, სალოცავი ქვედა საკაოსა და გორგონთის გზის ბოლოზე
(საკაო); 4. სალოცავი ნამოსახლევის სერზე, სადაც
მომლოცველები ამოდინდნენ აღდგომის მე-8 კვირას (ღარი);
5. ნიში მუხუთის ქედის ძირას (უწერა); 6. სალოცავი ნიში,
საძოვარი ბუმარუს სათავესთან. აქ იყო წმ. მარიამის სალოცავი
(ქიორა); 6. სახნავი მბლავანის მარცხ. მხარეს (ცხმორი) და სხვ.

საჯინჭვისი - სათიბი ჯინჭვისის საზღვართან (გომი).

საჯიხვე/ები - კლდეები შოდურის სათავესთან (პ. ლები).

საჯიხვროგორა//საჯიხურაგორა - გორა, საძოვარი ლობჯანიძეების
შემოგარენში (ბაჯიხევი).

საჯიხურაგორა - იხ. საჯიხვროგორა.

საჯოგე - სათიბი ბორცოს საზღვართან (ძეგლვეი).

სეისური - იხ. შეისური.

სელიოქედი – იხ. საელიოქედი.

სერგიანაქოხვარი – საძოვარი ქვედა ნახერგულევში. ინფ.:
“სერგიას აქ ჰქონია ქოხი – მწყემსის სადგომი“ (გონა).

სერები – სათიბ-საძოვრები საფიქვის თავზე (ჩორდი).

სეფეს ახო – სახნავი გოგოლაანთ უბანში (ჯინჭვისი).

სეფეყანა – სათიბი გომრულის მარჯვ. მხარეს, მზიურში. სეფე
პირსახელია (გომრულა).

სეხნოს წყალი/სეხნუნწყალი – წყარო შხიროლში. “სეხნუნი
სეხნოს შთამომავლები არიან“ (ჭიორა).

სეხნუნწყალი – იხ. სეხნოს წყალი.

სვანების სასაფლაო – საძოვარი ქვაციხეში (ხიდშლები)

სვანე(ნ)საკეცია – სათიბი საკეციაში (გონა).

სვანეუნყანები – სათიბები ხოლითავში (გონა).

სვანურა – წყარო საბანაძეებში. ინფ.: “სვანი ნაცხოვრება
წყალთან“ (ლუნდა).

სვანურის დელე – ჯეჯორის შენაკადი საბანაძეებში (ლუნდა).

სველი – სანადირო კლდეები ჩხოქაში. ინფ.: “კლდეა სველი და
ლოკავენ არჩვები“ (შოვი).

სვიმონადანია – იხ. დანია.

სვიმონიანთ უბანი – იხ. კვაჟა.

სვიმონიანთ ყანები – სახნავი კვაჟაში (ლარი).

სვიმონისყული – სახნავი კვაჟაში (ლარი).

სვინიაური – სათიბი ზედა საკაოში, რგვალველსა და სახასოს შუა
(საკაო).

სვინიაურის ვაკე – ვაკე – სათიბი სვინიაურთან (საკაო).

სიგ(რ)ძიკვალი – სახნავი კვაჟაში. ინფ.: “გრძელი კვალი
გაჰქონდათ“ (ლარი).

სიგძიგვლები – ტყე ზეციეთაში. ინფ.: “იხვნებოდა გრძელზე“
(ნაკიეთი).

სიდასეული – სახნავი კვაჟაში (ლარი).

სიკოს ყანა – სახნავი ჩდილში (გომრულა).

სილაძაშის წყალი – იხ. რადიაქტივის წყალი.

სილოჩაღვეთეული – სათიბი მუხამეშში (პ. ლები).

სიმონაშვილები – მიკროუბანი კვირიკაშვილების უბანში (ცხმორი).

სიმონიანთ უბანი – ჩიხრაძეთა უბანი დიდ გომში (გომი).

სინჯიგანი – ალპური სათიბი ქამაქინის მთაზე (გლოლა).

- სკაველი – დავალება, სათიბი შვიანის სათავესთან, სადაც იდგა ძეგლვის ოთხწლიანი სკოლა (ძეგლვეი).
- სკატი(ს)ქოში – სათიბები ტყისთავში (შოვი).
- სკინტარო(რუ) – რიონის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ზედა ძეგლვეიდან (ნაკიეთი).
- სკოდორა – ვაკე-სახნავეები რიონის ნაპირას, სკოდორულის შესართავთან (უწერა).
- სკოდორული – რიონის მარჯვ. შენაკადი სოფლის ცენტრიდან 5 კმ-ზე. მოედინება ბელელეთიდან (უწერა).
- სკოლივაკე – სკოლის მიდამოები კობორაში (გომი).
- სკოლისუბანი – იხ. ხიდისკიდე.
- სკომუ(რ)თი – სახნავეები სასახლიანთ უბნის თავზე (უწერა).
- სკორო – მყინვარი ბუბისთავზე. სკორე, სკორო მყინვარია (შოვი).
- სოვარო – ტყე-მინდვრები ჭანჭახის მარჯვ. მხარეს, გორიბოლოს უბანში (გლოლა).
- სოვრატევეშუკა – ტბა ჩვეშურის მარჯვ. ნაპირას (გონა).
- სოდისწყალი – ვედა ჭანჭახის მარჯვ. მხარეს (შოვი).
- სოთიკიანთ ყანა – საძოვარი საკაურის მარჯვ. მხარეს (საკაო).
- სოირო – სანადირო ჭიუხები ზეხენიერისრუს სათავესთან, შოდის ქედზე (პ. ლები).
- სოკლო/სოყდო – სახნავი მიქუჭაძეების განაპირას. ინფ.: “ბევრი სოკო იცის და ამიტომ თუ დაერქვა“ (ჩორდი).
- სოკოწყალი – წყარო ზედა ძეგლვეში, ნაშორთის თავზე (ძეგლვეი).
- სოლოკეთი – ტყე, სალოცავი ცხმორის საზღვართან (ლუნდა).
- სოლოკეთის სერი – სერი ნაძერძევის მარცხ. მხარეს (ფსორი, ლუნდა, ცხმორი).
- სოლოკეთის ჯვარი – მთავარანგელოზის სალოცავი, რომელიც მთელი ჯეჯორის ხეობისაა (ფსორი).
- სოლომბროლო/სოლომგროლო – ვაკე-საძოვარი უღელას თავზე, ქვაციხისრუს მარჯვ. მხარეს. ინფ.: “ასე ეწოდება, რადგან უსწორმასწორო, ტალღოვანი ვაკეა“ (ხიდეშლები).
- სოლომგროლო – იხ. სოლომბროლო.
- სოლური ფარი – სათიბი ღრჯამაში. ინფ.: “სოლივითაა და სახელიც შეეფერება“ (ჩვეშურა).
- სომხების უბანი – უბანი ქალაქის აღმ. ნაწილში (ონი).
- სონჭრევი (იშვიათი ვარიანტი: სამჭრევი) – სათიბები სოფლის



- შემოგარენში, ქვედა ციცასა და ბიჭებიანთებს შუა (ბაჯიხევი).
 სორბლოები – ვენახები შოშიანთ უბანში (ჯინჭვისი).
 სორთბელი – ვაკე-სათიბები ღარულის მარცხ. მხარეს, ფოცხვრებში (ღარი).
 სორობლის მეთავე წყალი – წყარო სორობელში (ღარი).
 სოფელა – ყოფილი დასახლებული უბანი რიონის მარცხ. მხარეს. შედიოდა თევრეშოში (ღები).
 სოფელი – სანახშო სოფლის ცენტრში (საკაო).
 სოფლიახო – ტყე დასახლების განაპირას (გომი).
 სოფლისთავი – მაღალი ფერდობები. დასცქერის სოფელს ჩრდილოეთიდან (ნიგავზები).
 სოფლისწყალი//ხიდშლებს წყარო – წყარო სანახშოსთან (ხიდშლები).
 სოფლიყანა – საძოვარი კაკასიგორის მოსაზღვრედ, სოფლის ჩრდ.-დას. ნაწილში (ნიგავზები).
 სოფროშაანთი – იხ. სოფროშაანთ უბანი.
 სოფროშაანთ უბანი//სოფროშაანთი – უბანი კვათაში (ღარი).
 სოყდო – იხ. სოკდო.
 სოჭედელი – 1. ტყე-სათიბები ჟამიერეთის თავზე, ბოსელას გვერდით, სადაც უწინ სამქედლო ჰქონიათ (უწერა); 2. ტყე-სახნავები წითელწყალუკის მარჯვ. მხარეს (ფსორი).
 სოხო – ტყე წითელწყალუკის მარჯვ. მხარეს, ბაჯიხევის საზღვართან (ფსორი).
 სპილოფარი – სათიბი ჯახანიაჩისთავებში. ინფ.: “სპილო კაცს ერქვა. ფარი მისი იყო“ (გონა).
 (ს)პილუაჭაღა – სახნავი ღარულიპირებში (ღარი).
 სუდეები//ოლეები – ტყე-სათიბები ტვაპილელის მარცხ. მხარეს (ცხმორი).
 სუქთიქომი – ჭანჭახის მარცხ. შენაკადი წითელხიდთან. ინფ.: “ოსურად ნიშნავს შეშის ღელეს ან საშეშე ღელეს“ (შოვი).
 სხალარი//სხარალი – სათიბი ქვედა საკაოში, საკაურის მარჯვ. მხარეს, სადაც მსხლები ახლაც დგას (საკაო).
 სხალარის ჭაღა – საძოვარი სხალარში (საკაო).
 სხალკისხალთანა – სათიბი ჩორდულის მარცხ. მხარეს (ფსორი).
 სხანალი//სხანარი//სხანარები – 1. სათიბ-საძოვრები ღარულის მარცხ. მხარეს (ღარი); 2. სახნავი მთავორის სერის კალთაზე (ცხმორი).

სხანალის გადასავალი – გზა სხანალში (ღარი).

სხანარები – იხ. სხანალი.

სხანარი – იხ. სხანალი.

სხარა//პამოს ველი – ვაკე-მინდვრები ქანჭახისა და ჩხოქურის შესართავთან. ინფ.: “სხარა აქვე სანატორიუმს ეწოდება. პაპო კი ბერიშვილების წინაპარი იყო” (შოვი).

სხარალები – სათიბი საკაურის მარჯვ. მხარეს (ხიდშლები).

სხარალი – იხ. სხალარი.

სხები – 1. სათიბი ჯოხაძეების განაპირას (ფსორი); 2. სათიბი ოჩხოტელაურის ზემოთ, ბორჯანის მარცხ. მხარეს (ცხმორი).

სხვიტა(უ)რა//სხვიტაურები – სახნავი ზეციეთაში, ნაკიეთის საზღვართან (ნაკიეთი, ღარი).

სხვიტაურები – იხ. სხვიტა(უ)რა.

სხლები – საბანაო ოქანურზე (ძეგლევნი).

სხლოანი – იხ. სხლუანი//სხლოანი.

სხლუანი – საძოვარი ზედა ძეგლევში (ძეგლევნი).

სხლუანი//სხლოანი – საძოვარი შიდავლისყელსა და ფატართას შუა (ბაჯიხევი).

ტ

ტაბაურა – უბანი ჩვეშურის მარჯვ. ნაპირას, სოფლის დასაწყისში. ამჟამად პირველ უბანსაც უწოდებენ (ღები).

ტაკოსათიბი – სათიბი ჩვეშურის მარცხ. მხარეს, კარობის ქვეშ. ინფ.: “ტაკოი სვიმონ გავაშელის მეტსახელი ყოფილა. გურკოეტი კაცი იყო, ფიცხი, სულ ტაკტაქებდა და ტაკოი უწოდეს” (ჩვეშურა).

ტალახა//ტალახეები – სახნავი ზედეების შემოგარენში (ღუნდა).

ტალახატყე – ტყე ტალახას ზემოთ (ღუნდა).

ტალახეები – იხ. ტალახა.

ტალახიანი – ტყე, გზა მუხამეშურის მარჯვ. მხარეს (პ. ღები).

ტალახიანის კილო – გადასასვლელი შთალადან ნოწარაში (ჩვეშურა).

ტანისაბანო – მორევი რუჩუაზე (ნიგავზები).

ტატანური – ტყე განგენაზერევსა და წითელ წყალუკეებს შუა (ბაჯიხევი).



ტბა – ტბა, რუწისქვილას სათავე (ლუნდა).

ტბა//ზებოლთის ტბა – საძოვარი ზებოლთაში. აქ ტბა ამჟამად აღარსადაა (წმენდაური).

ტბაგადაშვებულა – ტბა ლუხუნ-საკაურის წყალგამყოფზე, მოედანსა და ცხომს შუა. ინფ.: “არხი გაჭრეს და წყალი გადაუშვეს ურავისკენაც და აქეთკენაც“ (ხიდშლები).

ტბათანა – 1. სახნავი ზედუბანში (ფსორი); 2. სათიბი ნატბევართან, ბორჯანის მარცხ. მხარეს (ცხმორი).

ტბათანა//ტბათანი – 1. ვაკე-სათიბები ნამოსახლევის სერზე. ერთ ნაწილს ეწოდება ვაკე ტბათანი. ტბა ამჟამად არ ჩანს (ლარი); 2. სახნავი ზედუბანში (ფსორი); 3. სათიბი ნატბევართან, ბორჯანის მარცხ. მხარეს (ცხმორი).

ტბათანი – 1. საძოვარი მუხამეშში, სადაც რამდენიმე ტბაა. ინფ.: “ჩააგდებდნენ რაიმე თილისმას, მაკრატელს, სავარცხელს და ღორის ჯაგარს ერთად შეკრულს და წვიმა წამოვიდოდა“ (პ. ლები); 2. იხ. ტბათანა//ტბათანი.

ტბათანის წყალი – წყარო, ბორჯანის მარცხ. შენაკადი (ცხმორი).

ტბათანის ქოხები – საძოვარი მუხამეშში, ტბათანთან, სადაც მწყემსების სადგომი ქოხებია (პ. ლები).

ტბაუკა//საბუზარის ტბა – მცირე ტბა საბუზარაში (გომი).

ტბაუკე(ე)ბი – ვაკე-საძოვრები, ნატბევები ბუბაში (შოვი).

ტბაუნა – პატარა ტბა სხარალთან (საკაო).

ტბაუნეები – პატარ-პატარა სათიბები ტბაუნასთან (საკაო).

ტბეთელეთი//კიმეთელეთ(ის)უბანი//კიმეთეთუბანი//კიბეთელუბანი – ჩიხრაძეების უბანი გომრულის მარჯვ. მხარეს (გომი).

ტბეთი – სათიბი ზედა ძეგლევში. ტბა არაა, მაგრამ გაზაფხულზე დგება წყალი (ძეგლევი).

ტბეშო – სახნავი შუა უბნის თავზე, ბორცოს სერის ძირას. ინფ.: “ტბა არაა, ყვაპია, ჭარიანი ადგილი“ (ბორცო).

ტბეშოსთავი – საძოვარი ტბეშოს თავზე (ბორცო).

ტბისპირი – 1. სათიბი მბლავანის მარცხ. მხარეს (ცხმორი); 2. საძოვრები რუწისქვილას სათავესთან (ლუნდა).

ტბისყური – სათიბი ჩორდულის მარჯვ. მხარეს (ფსორი).

ტევრათაკიდუ – ტყე ჭანჭახის ნაპირას, სადგისის ქალასთან (გლოლა).

ტევრ(ე)ბი – ტყეები მუშუანის მარჯვ. მხარეს (ნიგაზები).

ტერენტისათობა – სათიბი ღვალვანაზე (ჩორდი).

ტერენტის ხაფანგა//საფიჭვის მოსახვევი – გზის მონაკვეთი საფიჭვეში. ინფ.: “მძლოლი ტერენტი ხშირად ჩაფლულა აქ ღრმა ტალახში თავისი მანქანით“ (ჩორდი).

ტეხილა – საძოვარი ბოყოსწყლის მარჯვ. მხარეს, ელიდის გორაზე. ინფ.: “დამტვრეული ადგილია, ოღროჩოღრო“ (გლოლა).

ტეხიჯვარი – სათიბი ნამოსახლევის სერზე, საჯვარის დაბლა (ღარი).

ტვაპელელე – იხ. ტვაპილელე.

ტვაპილელე//ტვაპელელე – მბლავანის მარჯვ. შენაკადი. სათავე აქვს ჭარიტყეში (ცხმორი).

ტვაპუნა – საძოვარი ნახოშრის თავზე. “ტვაპე ჩადაბლებული ადგილია“ (ნიგავზები).

ტიბუული – მთა-საძოვრები გუგულისწყლის სათავესთან (ჩორდი).

ტირფუანი – სათიბი დიდლელეების თავზე (ჩორდი).

ტიყანა – სახნავი კიკუენტ უბანში (გლოლა).

ტიყანიწყალი – წყარო ტიყანაში (გლოლა).

ტიხართულა – რიონის მარჯვ. შენაკადი შეისურსა და ხოფითოს შუა (რიენისთავი).

ტიბარ(ებ)ი – სათიბ-სახნავები გოგრიჭიანებსა და ჩორდულას შუა (ჩორდი).

ტილიაქედი – ბორცვი, სასაფლაო ზედა საკაოში (საკაო).

ტიონაწყალი – წყარო ჩილიში (გომრულა).

ტრიფთა//ტრიფთეები – საძოვარი მუხუთში (უწერა).

ტრიფთეები – იხ. ტრიფთა.

ტყვევლუკეები – საძოვარი საუსხიასთან (ხიდეშლები).

ტყეთაშუა – 1. სათიბი ტყვევლუკეების ქვემოთ (ხიდეშლები); 2. სათიბი კვირიკაშვილების უბანში (ცხმორი); 3. საძოვარი შიდავლიწყლის ნაპირას (ბაჯიხევი).

ტყეშალთა – 1. კლდე-ქიუხები გომრულის სათავესთან, უწერა-შოვის საზღვარზე (გომრულა); 2. სათიბი ღარულის მარჯვ. მხარეს, ორდინიძეების უბნის თავზე. ინფ.: “ტყემლნარი იყო და ახლაც არის“ (ღარი).

ტყემლარები – სახნავი კვირიკაშვილების უბნის განაპირას (ცხმორი).

ტყინფოზა – სახნავები ზედების განაპირას (ლუნდა).



- ტყისათობა – სათიბი შოდურის მარცხ. მხარეს (პ. ლები).
- ტყისთავი – მთა ჭანჭახის მარჯვ. მხარეს, ბიაზრიგორიდან მამისონის უღელტეხილამდე (შოვი). იხ. ბუბა.
- ტყუბი დელე//ტყუბი დელე – შიდავლიწყლის ის მონაკვეთი, სადაც ორი დელე ერთვის ერთმანეთს (ბაჯიხევი).
- ტყუილეთი – ტყე, საძოვარი ტბათანასა და ჟიჟორეთს შუა (ლარი).
- ტყუბი დელე – იხ. ტყუბი დელე.

უ

- უბანი – საძოვარი მელაურსა და კოდუნეებს შუა (ბაჯიხევი).
- უბაა – 1. დავაკება, სათიბი ჩვეშურის მარჯვ. მხარეს (გონა); 2. სახნავი საბანაძეების უბნის ქვემოთ (ლუნდა).
- უბაა//უბიეები – სახნავი მაისურაძეების უბანში (ცხმორი).
- უბიეები – იხ. უბია.
- უდაბურა – ბუჩქნარი გორისის თავზე (ხიდეშლები).
- უკანგარდა – სათიბი სალაშქროსთან. ინფ.: “ჰქვია და არ ვიცით რატომ” (ლები).
- უკანჭალა – მინდორი ჭანჭახის მარჯვ. ნაპირას, ტურბაზის პირდაპირ (შოვი).
- უმანდურა – საძოვარი საკაურის მარჯვ. მხარეს. ინფ.: “მოსავალი ვერ მიიღეს და უმადური დარჩა ხალხი” (საკაო).
- უნაგერა – სახნავები დაღვენტილის კალთაზე. იყოფა: შუა უნაგერა, დელეუნაგერა (ჭიორა).
- უნაგერასერი – ტყე-სერი ფოცხვრევსა და ჩანარიკოდს შუა. ინფ.: “ხარის ქედვითაა ჩაზნეჭილი” (ბაჯიხევი).
- უბნოთ – ალპური მთა-საძოვრები რიონის მარცხ. მხარეს, კეცნარისა და საკავეთის წყლის სათავეებთან (უწერა).
- უბნოთს ტბა//სახაროს ტბა – ტბა სახაროში. ინფ.: “შოვიდან წაიღებდნენ ქვას, ჩააგდებდნენ უპიროში და მაშინვე გაწვიმდებოდა” (გლოლა, უწერა).
- უბნოთს გადასასვლელი – უღელტეხილი დოლაშისსა და კატისწვერს შუა (შოვი).
- ურთხველი – ტყე, სათიბები ზეციეთაში (ნაკიეთი).
- ურთხლისთავი – სახნავი ზეციეთაში (ნაკიეთი).
- ურიშელების უბანი//მახარაშვილების უბანი – ნასახლარები ნამოსახლევის სერზე, ურიშთან (ლარი).

ურიში - 1. ვენახი ნამოსახლევის სერზე (ღარი); 2. საძოვარი საწისქვილო წყალსა და ხოლს შუა (ჭიორა).

ურმიჭეჭყია - ტყე-საძოვრები მზიურში, პონტიკის წყალთან (გომრულა).

ურუმი - ვაკე-ფერდობები, სათიბები ბედლორის მარჯვ. მხარეს, დედაკინის კალთის ძირას (უწერა).

უსადილო - წყარო ზედა უბანსა და ქვედა უბანს შუა. ინფ.:
“მუშები, რომლებიც წყაროს ამოშენებაზე მუშაობდნენ, უსადილოდ დაუტოვებით“ (წმენდაური).

უფეთი - სახნავი ქვედა ძეგლევში, საუღლიის თავზე (ძეგლევი).

უღელა - მთა-საძოვრები საკაურის სათავესთან. ინფ.: “ხარის უღელს ჰგავს. ესაა მიზეზი“ (ხიდეშლები).

უყუნა - ბუჩქნარი აშენაურებში, პაპუჩიანთ ვენახის თავზე. ინფ.
“უყე ადგილია“ (ნიგავზები).

ურას მყავე წყალი - იხ. არტუანის მყავე წყალი.

უძილბედო - სერი ხვარგულის მარჯვ. მხარეს, შთალაში (ჩვეშურა).

უწერა - სოფელი რიონის ხეობაში, საკრებულოს ცენტრი (სოფლები: უწერა, ნაკიეთი, ნიგავზები, ფარავენეში). ზ.დ. 1050 მ. ქ. ონიდან 10 კმ. უწერა კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტია. აქ მოიპოვება მინერალური სამკურნალო წყალი “უწერა”. სოფლის ცენტრში მდებარეობს ამავე სახელწოდების სანატორიუმი. შემორჩენილია ფეოდალური ხანის ეკლესია (რომელსაც ვახუშტის “აღწერაში” ეწოდება “სიონი”), აგრეთვე წმ. გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესია. სოფლის შემოგარენში არის ციხისა და ეკლესიების ნანგრევები. უწერაზე გადის ლეხისაკენ (და შემდეგ მამისონის უღელტეხილისაკენ) მიმავალი საავტომობილო გზა.

უწერის გადასახედავი - მთა შოდის ქედზე (ძეგლევი).

ფ

ფათანი - მთა-საძოვრები ჩხოჭურის სათავესთან (შოვი).

ფათართთა - დაფერდება დიდირუს მარჯვ. მხარეს, დიდი რუსა და სოფლის ცენტრს შუა (საკაო).

ფალასტონი - ვაკე დღვიორის მარცხ. ნაპირას, ტურბაზასთან (გლოლა).

ფანჩ(ხ)ა - სათიბი ორდინიძეებსა და ვაკისუბანს შუა (ღარი).

ფარავნეში – სოფელი უწერის საკრებულოში, რიონის მარჯვ. მხარეს, რუჩუასა და ოქანურს შუა, მთის კალთაზე. ზ.დ. 1440 მ., ქ. ონიდან 7 კმ. ადგ. ვარიანტი: კერესელიძეები (უწერის თემი).

ფარდილაური – სახნავი ჯვარდედასა და თუთიკას შუა (ბაჯიხევი).
ფარდილაურისგანი – გზა ფარდილაურში (ბაჯიხევი).

ფარები – 1. ტყე ზემბოყოს თავზე (გლოლა); 2. სათიბები შოდურის მარცხ. მხარეს. იყოფა: ლალუეეფარი, ბერუკიანფარი, საძალღე ფარი, ალხიეეფარი, კანკალეეფარი, ბათოფარი. ინფ.: “ფარი საძოვარია დიდი დაქანების ფერდობზე“ (პ. ლები).

ფართე ქალა – ქალა ჩვეშურისა და ჭანჭახის შესართავთან (ჩვეშურა).

ფართო სკორე – მყინვარი ბოდუურის სათავესთან (ბორცო).

ფართო დელე – 1. ტყე, სათიბი წმენდაურის საზღვართან (ლარი); 2. ლოლორულის მარჯვ. შენაკადი (ჭიორა).

ფართო ქალა – სახნავი საკაურის მარცხ. ნაპირას (ხიდეშლები).
ფართოქალის დელე//**ფართოქალის წყალი** – საკაურის მარცხ. შენაკადი ფართო ქალასთან. მოედინება ლოროდან (ხიდეშლები).

ფართოქალის წყალი – იხ. ფართოქალის დელე.

ფარიბოლო – სათიბი ჩვეშურის მარცხ. მხარეს (ჭიორა).

ფარიქედი – სათიბები კინტოპანარუს სათავესთან (გომრულა).

ფასა//**ფასი(ს)მთა** – მწვერვალი ცხენისწყლისა და რიონის სათავეებში, რაჭა-ლეჩხუმის კავკასიონზე. სიმაღლე 3786 მ. აქვეა გადასასვლელი ჩრდ. კავკასიაში (რივნისთავი).

ფასი(ს)მთა – იხ. ფასა.

ფასომარადეული – სათიბი მარადეულში (პ. ლები).

ფატართა – საძოვრები წიფლისწყლის მარცხ. მხარეს, გადმოსახედავას კალთაზე (ბაჯიხევი).

ფატართისერი – სერი-საძოვარი ფატართის თავზე (ბაჯიხევი).

ფაქუეთები – სახნავ-საძოვრები ფაქუეთში. ინფ.: “მთა ერთია. ყანები ბევრია, სხვადასხვა ადგილას, ერთი კი არ არის“ (ლარი).

ფაქუეთი – მთა ლარულის მარჯვ. მხარეს, ზეციეთასა და ორდინიძეების უბანს შუა (ლარი).

ფაჩქა(ნ)დარული – ჭანჭახის მარცხ. შენაკადი. მოედინება ელნეციდან (გლოლა).

- ფაცხათანა//ფაცხათნები – სახნავეები რიონის მარცხ. მხარეს, სოფლის განაპირას (ჭიორა).
- ფაცხათნები – იხ. ფაცხათანა.
- ფაცხეური – მინდორი რუბოძალის ნაპირას (რივნისთავი).
- ფაცხეური(ს)რუ – რუბოძალის იშვიათი ვარიანტი (რივნისთავი).
- ფერდა – სათიბი ბორჯანის მარჯვ. მხარეს (ცხმორი).
- ფერმის ქალები – იხ. ქალები.
- ფესვებიანი – ტყე კვაქაში (გომი).
- ფესხაცმელა – სერი, წინა შოდის განშტოება. ინფ.: “შოდის ძირია და ფესხაცმელივითაა“ (საკაო).
- ფესუნა – ვენახი. ინფ.: “ვენახების ფეხია, რადგან გაგრძელებაა და პატარაა. სორში კი ფეხი ეწოდება თივის ბულულს“ (წმენდაური).
- ფთხილებიანი – სათიბი, თხილნარი ნასალორევეგორის გვერდით (გომრულა).
- ფთხილნარიანი – საძოვარი შოდურის მარჯვ. მხარეს. ინფ.: “ფთხილი იგივე თხილია“ (პ. ლები).
- ფთხინარა – ტყე ცხენიზურგულსა და წყაროებს შუა. ხარობს ტყის თხილი (ბაჯიხევი).
- ფილუაჭალა – სახნავი ღარულიპირებში (ღარი).
- ფინთა – ტყე-სახნავეები გობას კალთაზე, ილინეს მარჯვ. მხარეს (გლოლა).
- ფირანაქეწყერა – სათიბი ფირანახულასთან (პ. ლები).
- ფირანახულა – სათიბი მუხამეშში, სადაც ხულაში იყო მთიბავთა სადგომი (პ. ლები).
- ფიჩხთართ – საძოვარი ნოწარულის მარჯვ. მხარეს. ინფ.: “დავაკებაა ერთგან. თაროს ჰგავს“ (ჭიორა).
- ფიცარეები – 1. მწვერვალი შოდის ქედზე, თავკვეთილასა და სოიროს შუა. ინფ.: ფიცარივით კლდეებია“ (პ. ლები); 2. საჯიხე კლდეები ჭვარიქედში (ჩვეშურა).
- ფიცართა – საძოვარი კობერიძეების უბანში (ღუნდა).
- ფიცრიხულა – სათიბი რიონის მარჯვ. მხარეს, ფიცრიხულირუს ზემოთში (რივნისთავი).
- ფიცრიხულარუ – რიონის მარჯვ. შენაკადი (რივნისთავი).
- ფიჭვებიანი – ტყე სოფლის აღმ. ნაწილში (ბორცო).
- ფიჭვნარა – ყოფილი დასახლებული უბანი საკაურის მარჯვ.



მხარეს. გადმოსახლდნენ სოფლის ცენტრის ჩრდ. დას. ნაწილში, რომელსაც ამჟამად ეწოდება ფიჭვნარის უბანი (საკაო).

- ფიჭვნარი – ტყე არტუანის თავზე (ონი).
- ფიჭვნარის უბანი – იხ. ფიჭვნარა.
- ფიჭვნარიღელე – ხევი გომრულის მარცხ. მხარეს (გინჭვისი).
- ფოთხიეთო – კლდეები, საიდანაც ფოთხიეთო(ს)რუ ჩამოდის ნაღვარევიში. ეთო საზოგადო სახელი ჩანს. დასტურდება რამდენიმე ტოპონიმში (ღები).
- ფოთხიეთო(ს)რუ – რიონის მარცხ. შენაკადი (ღები).
- ფოთო – სათიბები ბუბაში (შოვი).
- ფორო//ფოროები – სახნავეები ნამოსახლევის სერის ფერდობზე (ღარი).
- ფოროები – იხ. ფორო.
- ფოროსრუ – ბუბისწყლის მარჯვ. შენაკადი (შოვი).
- ფორხიშული – რიონის მარცხ. შენაკადი თევრეშოსთან. იწყება წითლიძირსა და სახაროში (ღები).
- ფოცხვრები//ფოცხვრევი – ვაკე-ფერდობები, საძოვრები ღარულის მარცხ. მხარეს. ინფ.: “ფოცხვრები იყო და საქონელს ვნებდა“. აქვეა: ქველიახო, ნაბოგირავა, სორობელი, ბოსტანეები (ღარი).
- ფოცხვრევი – იხ. ფოცხვრები.
- ფოცხ(ვ)რევი – მთა, რაჭის ქედის ჩრდ. განშტოება ხეორის მარჯვ. მხარეს. სიმაღლე 2402 მ. ჰყოფს ერთმანეთისაგან ბაჯიხევსა და შქმერს. აქედან გაედინება ბორჯანა (ბაჯიხევი); ფოცხვრევი ეწოდება მთა-სათიბებსაც რამდენიმე კმ მოშორებით, ჩილორულის მარცხ. მხარეს. აქ სათავეს იღებს რამდენიმე მდინარე, ერთდება, ჩაუვლის სოფ. ბაჯიხევს და ჩაედინება ჩილორულში მარცხ. მხრიდან (ბაჯიხევი).
- ფოცხვრევის ხიდი – ხიდი ღარულაზე (ღარი).
- ფრიდონას წყალი – წყარო ზენიყანაში (ხიდეშლები).
- ფსკრავლი – ტყე-საძოვრები საყვერბიასა და ფსკრავლიგორას შუა (ბაჯიხევი).
- ფსკრავლიგორა – გორა, საძოვარი სახარაო ღელის სათავესთან (ბაჯიხევი).
- ფსორი – სოფელი ცხმორის საკრებულოში, ჩორდულის მარცხ.

მხარეს, ჩორღულა-ჯეჯორის შესართავის დასავლეთით. ზ.დ. 1320 მ. ქ. ონიდან 14 კმ. 1998 წელს ფსორში ცხოვრობდა 7 კომლი (ჯოხაძე - 4, მაისურაძე - 3).

- ფსორი** ზა - საურმე გზა მაღალთიდან ფსორისაკენ (ღუნდა).
ფსხვილათანა - სათიბი ნაძერძევის სათავესთან (ფსორი).
ფუთხალოვინი - ტყე-საძოვრები ფუთხალოვინის სერზე (გლოლა).
ფუთხალოვინის სერი - სერი ილინეს მარცხ. მხარეს (გლოლა).
ფშატაწყალი - ტყე ნაძერძევის მარცხ. მხარეს, სადაც ფშატთან წყალი დგებოდა (ფსორი).
ფხინია - სახნავი მიღმა უბანში (გომი).
ფხონი - მთა-საძოვრები, რაჭის ქედის განშტოება. სიმაღლე 2250 მ. აქედან იღებს სათავეს ჩილორულის რამდენიმე მარცხ. მდგენელი, ხოლო იმერეთისაკენ (საჩხერის რ.) გაედინება მელეშური (ჯრუჭულის მარცხ. შენაკადი) და ნაორისწყალი (ჩიხურის სათავე). (ბაჯიხევი).
ფხონიშეწყვერა - ტყე ფხონის კალთაზე, ჩილორულის ერთ-ერთი მდგენელი (ბაჯიხევი).

ქ

- ქაბაბა** - სათიბი ბერალსა და დიდღელეს შუა (რივნისთავი).
ქათნაური//ქათნეური - სახნავი ზედა უბანში. ეკუთვნოდა ქათანაძეებს (წმენდაური).
ქათნეური - იხ. ქათნაური.
ქალაქის ხიდი - ხიდი რიონზე. აკავშირებს დიდ ღებს პატარა ღებთან. ინფ.: "ღები ვითომ ქალაქი იყო და ამიტომ უწოდებიათ"
ქამაქინი - მთა გლოლის ჩრდილოეთით, ილინეს სათავესა და ბოყოსწყალს შუა (გლოლა).
ქამბოხი - ვოკლუზი ქამბოხირუს სათავესთან. ინფ.: "ერთბაშად გამოდის მთელი მდინარე მყინვარების ქვემოთ. ამიტომაც ქამბოხი" (ჩვეშურა).
ქამბოხირუ - ხვარგულის შენაკადი შთალაში (ჩვეშურა).
ქარაფი - საჩიხვე კლდეები გორიბოლოს ზემოთ (რივნისთავი).
ქარაფისხალი//ქარაფისხლები - საძოვარი მუხუთებში (ნიგავზები, უწერა).



- ქარაფისხლები – იხ. ქარაფისხალი.
- ქარახსა – რისინეს შენაკადი მჭედლიანუბანში (მაჭიეთი).
- ქარიაშვილები – უბანი (ფსორი).
- ქარხანა – საძოვარი მაისურაძეების უბანში, სადაც უწინ კრამიტის ქარხანა ყოფილა (ცხმორი).
- ქაფიანთ ახო – საძოვარი ზოფხარულის მარჯვ. მხარეს (ხიდშლები).
- ქაშუეთი – ეკლესია ზედა საკაოში (საკაო).
- ქებაძეები – უბანი სოფლის ცენტრში (ბორცო).
- ქედი – 1. სერი გომრულის მარცხ. მხარეს (გომი, ჭინჭვისი); 2. ქედი საძოვრებით საკვირაოსა და კოდუნეებს შუა (ბაჭიხევი).
- ქედინგოზი – იხ. ქედნიგოზი.
- ქედნიგოზი//ქედინგოზი – სათიბი აბჯარის თავზე. ინფ.: “ქედზე ნიგოზი იდგა და სათიბი იყო“ (ფარავნეში).
- ქედ(ს)იქით(ეებ)ი//ქეციქითი – სათიბები საყდრიყელის კალთაზე, აკავენასთან (ჩორდი).
- ქელდიშოველი – სათიბი მუხამეშში (პ. ლები).
- ქეციქითი – იხ. ქედ(ს)იქით(ეებ)ი.
- ქესსურეენრუბოძალი – იხ. პატარა რუბოძალი.
- ქვაბთანა//ქვაფთათანა – ქალა-სამოსახლოები ჩვეშურის მარჯვ. ნაპირას, სოფლის დასაწყისში. ინფ.: “აქ ერთგან გამოქვაბულია. ესაა ქვაბი“ (ლები).
- ქვაბთანაქვა – სახლისოდენა ლოდი ქვაბთანაში (ლები).
- ქვაბთკარი – ტყე ზედა ძეგლევსა და ქვედა ძეგლევს შუა (ძეგლევი).
- ქვაბთქვეში – ვენახი ჭობორისუბანში (გომი).
- ქვაბი(ანი)//ქვაბნარები – სანადიროები მუხამეშში (პ. ლები).
- ქვაბიანი//ქვაბუნა – საძოვარი ბოდეურის მარჯვ. მხარეს. ინფ.: “ქვაბი ჩავარდნილი ადგილია“ (საკაო).
- ქვაბისის ტევრი//ქვაფისის ტევრი – ტყე ბუბისწყლის მარცხ. მხარეს, კურორტ შოვის განაპირას (შოვი).
- ქვაბიჭალა – უბანი რიონის მარჯვ. მხარეს, ლაგვანთის საზღვართან. ჩამოსახლდნენ ძეგლევიდან (ნაკიეთი).
- ქვაბნარები – იხ. ქვაბი(ანი).
- ქვაბნარი – სათიბი შთალაში (ჩვეშურა).
- ქვაბუნა – 1. შურო – თოვლის საზვავე რიონის მარჯვ. მხარეს, სასადილოს ქვემოთ (უწერა); 2. სახნავი ქარახსის მარჯვ. მხარეს, ნალუდრების თავზე (მაჭიეთი); 3. იხ. ქვაბიანი.

- ქვაბჭალა** – სახნავები ქალანაკიეთის გვერდით (ნაკიეთი).
- ქვაგახვრეტილი** – სათიბი საუწეროში (გომრულა).
- ქვაკაცა** – საძოვარი ბუბაზე. ინფ.: “მონადირეები აწყობდნენ ქვას ქვაზე მისანიშნებლად“ (შოვი).
- ქვაკაცი** – აზიდული კლდე გონისრუს სათავესთან (გონა).
- ქვასაკორი** – იხ. ქვესაკორი.
- ქვასაფსკერა** – სათიბი, სახნავი ღარულის მარცხ. მხარეს, ოქასა და დიდახოს შუა. ინფ.: “დიდი ქვა იდო და ფსკერიდან წყალი გამოდიოდა“ (ღარი).
- ქვასაფსკერის წყალი** – წყარო ქვასაფსკერაში (ღარი).
- ქვაფთათანა** – იხ. ქვაბთანა.
- ქვაფისის ტევრი** – იხ. ქვაბისის ტევრი.
- ქვაქუთურა** – ღარულის შენაკადი. გამოედინება ქუხულუკეებიდან (ღარი).
- ქვაყუნტია** – 1. მთა ცხომის გვერდით. ინფ.: სახლისოდენა ქვაა დაყუნტებული. იქიდან ქუთაისიც ჩანს“ (ხიდეშლები); 2. სათიბი ბადოთებში. ინფ.: “ყეროა გაკეთებული და ქვაყუნტია დაარქვეს“ (ცხმორი).
- ქვაციხე** – 1. მთა-საძოვრები საკაურა-ლუხუნისწყლის წყალგამყოფზე, საიდანაც საკაურას მარჯვნიდან ერთვის ქვაციხის წყალი (ხიდეშლები); 2. კლდე-ლოდზე დაშენებული ციხესიმაგრე ქვაციხურაში. ამ ქვაციხეში ცხოვრობდა ხალხური ლექსების პერსონაჟი ივანე ლობჯანიძე, რომელსაც ივანე ქვაციხ(ის)ელი შეერქვა (გონა).
- ქვაციხის წყალი** – იხ. ქვაციხე (1).
- ქვაციხიწვერი** – ქვაციხის მწვერვალი (ხიდეშლები).
- ქვაციხურა//დიდი ქვა** – უბანი სოფლის განაპირას, ჩვეშურის მარჯვ. მხარეს (გონა). იხ. ქვაციხე (2).
- ქვაციხურარუ** – ჩვეშურის მარჯვ. შენაკადი (გონა).
- ქვახულა//ქვიხულუკა//ღებელების ქოხები** – ქვის სადგომი ბუძგორში. ინფ.: “ქვისგანაა გაკეთებული. მწყემსთა და მონადირეთა თავშესაფარია. ზაფხულობით ღებელების საქონელი დგას“ (ხიდეშლები).
- ქვახულუკეები//ქვიხულუკეები//ქუხულუკეები** – სათიბი კვათაში (გომი).
- ქვებანა** – საძოვარი ჭეჯორის მარცხ. მხარეს (ჩორდი).

ქვებიანი – საძოვარი ბორცოს სერზე (ბორცო).

ქვედა ახო – იხ. ჯალდიაანთ ახო.

ქვედა გოჭიკალია – იხ. გოჭიკალია.

ქვედა ეწერი – იხ. ეწერი.

ქვედა ვაკია – სათიბი რიონის მარჯვ. მხარეს (ლაგვანთა).

ქვედა ვაჭა – იხ. ქვედა ვაჭეები.

ქვედა ვაჭეები//ქვედა ვაჭა – ფერდობები, საძოვარი რიონის მარცხ. მხარეს (ჭიორა).

ქვედა ველი – საძოვარი სახაზოს კალთაზე (მაჟიეთი).

ქვედა ზედაგა – იხ. ზედაგა.

ქვედა ზორიფარი – საძოვარი საკაურის მარჯვ. მხარეს (საკაო).

ქვედა თიში – იხ. თიში.

ქვედა კილო – მყინვარი ნოწარულის სათავესთან (ჭიორა).

ქვედა კობერიძეები – მიკროუბანი კობერიძეების უბანში (ცხმორი).

ქვედა კოდები – სათიბი საკაურის მარჯვ. მხარეს (საკაო).

ქვედა ლორო – იხ. ლორო.

ქვედა მაჟიეთი – სახნავი ნაკანაფევის თავზე (მაჟიეთი).

ქვედა მარიჭელა – იხ. მარ(ი)ჭელა.

ქვედა მზიური – ტყე რიონის მარჯვ. მხარეს (ლაგვანთა).

ქვედა მჟავეწყალა – წყარო ქვედა კობერიძეებში (ცხმორი).

ქვედა ნადულუზევი – იხ. ნადულუზევი.

ქვედა ნაზლოფარი – იხ. ნაზლოფარი.

ქვედა ნასელვარა – იხ. ნასელვარა.

ქვედა ნაშორთა – იხ. ნაშორთა.

ქვედა ნაძვნარი – იხ. ნაძვნარი.

ქვედა რიშო – რიონის ჭალა ნაყურს ქვემოთ (ღები).

ქვედა საბუდრაო – საბუდრაოს ნაწილი (ბაჯიხევი).

ქვედა საკაო – იხ. საკაო.

ქვედა სანადირო გზა – იხ. სანადირო გზა.

ქვედა სახართ – იხ. სახარო.

ქვედა ტბა//სასვანოტბა – იხ. სასვანოგორა.

ქვედა უბანი – 1. უბანი რიონის მარცხ. მხარეს (ჭიორა); 2. უბანი ქ. ონის საზღვართან (წმენდაური); 3. იხ. გოცირიძეები.

ქვედა უბნო – სათიბი უპიროში (უწერა).

ქვედა ღვიონი – იხ. ღვიონი.

- ქვედა შიდაველა - იხ. შიდაველა.
- ქვედა ჩიხორა - იხ. ჩიხორა.
- ქვედა ცვარისრუ - ქანქახის შენაკადი (გლოლა).
- ქვედა ცოცა - იხ. ციცა//ციცუკა.
- ქვედა ძეგლვევი - იხ. ძეგლვევი.
- ქვედა წმინდა გიორგი - სალოცავი (გომი).
- ქვედა ჭალეები - იხ. ქალეები.
- ქვედა ხულა - სათიბი სახაზოში (საკაო).
- ქვედეები//ქვედა უბანი - იხ. გოცირიძეები.
- ქვედღეზა - საცალფეხო გზა ჩორდიხიდიდან ჩორდისაკენ (ჩორდი).
- ქვედრულის გზა - გზა ჯეჯორა-ქვედრულის შესართავიდან ქვედეებამდე (ლუნდა).
- ქვევრითავი - იხ. ქვევრიტავი.
- ქვევრიტავი//ქვევრითავი - სახნავი ქანქახის მარჯვ. მხარეს, სადგისის ქალასა და ქვეთხილუანს შუა(გლოლა).
- ქვეთხილუანი - სახნავი ქანქახის მარჯვ. მხარეს (გლოლა).
- ქველიახო - საძოვარი ფოცხვრებში. ქველი პირსახელია (ლარი).
- ქვემბოყო - უბანი ძველ გლოლაში, ბოყოსწყლის მარჯვ. მხარეს. შდრ.: ზემბოყო (გლოლა).
- ქვემოეთი - იხ. ქვემუეთი.
- ქვემო ვენახი - ვენახი ნამოსახლევის სერის კალთაზე (ლარი).
- ქვემო მოხვეულები//განები - იხ. მოხვეულები// დახვეულები.
- ქვემო ყანები - სათიბი ნამოსახლევის სერის კალთაზე (ლარი).
- ქვემო შვირალა - ტყე შვირალის ქვემოთ (გლოლა).
- ქვემუეთი//ქვემოეთი - საძოვარი შხივის მარჯვ. მხარეს, ზედა ძეგლევში (ძეგლვევი).
- ქვესაკორი//ქვასაკორი - სასაფლაო ქვედეების შემოგარენში. ინფ.: "სიპ ქვას კორავდნენ, ე.ი. ჩამოაქრიდნენ გვერდებს და მისცემდნენ საჭირო ფორმას" (ლუნდა).
- ქვესახლი - ვაკე-საძოვარი მუხუთებში (უწერა).
- ქვეუბნები//ქოუბნები - სახნავები ბორჯანის მარჯვ. მხარეს (ცხმორი).
- ქვეფუშტიეთი//ქოქუშტიეთი - უბანი ძველ გლოლაში (გლოლა).
- ქვექვაბი - იხ. ქოქვაბი.
- ქვიან(ეებ)ი - საძოვრები კვირიკაშვილების უბანში (ცხმორი).
- ქვისათალა - სათიბი რუბოძალის მარჯვ. მხარეს. ინფ.: "რბილი ქვებია და ითლება წირქვის ქვასავით" (ცხმორი).

ქვისათაღლმ წყალი - ბორჯანის მარჯვ. შენაკალი. იწყება ბაჯიხევში (ცხმორი).

ქვისათხარა - დაფერდება კვირიკა შვილების უბანში. ინფ.:
“წითელი ფერის სამშენებლო ქვიშა ამოაქვთ“ (ცხმორი).

ქვსადები - სათიბი თხილნარსა და ქურთუბანს შუა. აქ წისქვილის ქვებს მოიპოვებდნენ (ბაჯიხევი).

ქვი(ში)სადივარი - საძოვარი თენარის ღელის ნაპირას. თენარის ღელეს ჩამოაქვს ქვიშა (ჩორდი).

ქვიშულუკა - იხ. ქვაბულა.

ქვიშულუკეები - იხ. ქვაბულუკეები.

ქიტესას თრმოები - ტყე ორმოებში (ჩორდი).

ქიტუნეეჭალა - იხ. ზაქარეეჭალა.

ქლიავანა - ტყე ღარულის მარცხ. მხარეს (ღარი).

ქოლეტა - საძოვარი ქანქახის მარჯვ. მხარეს, ძველ გლოლაში (გლოლა).

ქოლოთა - ტყე-ფერდობები ბედლორის მარჯვ. მხარეს. ინფ.:
“ალბათ ქოლოთი ერქვა ადამიანს და ფლობდა“ (უწერა).

ქოლოსი - წმ. გიორგის სალოცავი ბორჯანის მარცხ. მხარეს, ქაპანასთან (ცხმორი).

ქორთი(ს)წვერი - მთა, ტყე, სათიბი სოფ. ქორთის საზღვართან (ცხმორი)

ქორთუბანი - სათიბი მუნიანი ყანის თავზე, ბაჯიხევის საზღვართან (ცხმორი).

ქორიბუდე - ქედი რიონის მარჯვ. მხარეს (პ. ღები, ქიორა).

ქორიბუდეთანი - ტყე ჯეჯორის მარცხ. მხარეს (ფსორი).

ქოუბნები - იხ. ქვეუბნები.

ქოქვაბი//ქვექვაბი - მღვიმე, სალოცავი ბოყოსწყლის მარცხ. მხარეს. ინფ.: “ქვაა გადმოხურული. ბოტკინით დაავადებული ბავში მოჰყავდათ და, თუ დაიძინებდა, განიკურნებოდა“ (გლოლა).

ქოქუშტიეთი - იხ. ქვეფუშტიეთი.

ქოჩურენთ სათიბი - სათიბი ველორში (ღები).

ქოჩურა - იხ. ქოჩორა.

ქოჩურია - ტყე, ბორცვი მარიქელის თავზე, ცხმორის საზღვართან (ბაჯიხევი).

ქოჩორა//ქოჩერა - მინდორი წოლის საზღვართან, ზებოლთის

თავზე. ინფ.: “ტყეა ქოჩორივით. წოლელები უწოდებენ
ნასერვალას“ (წმენდაური).

ქოჩორაგორა – ბორცვი ქოჩორასთან (წმენდაური).

ქოჩორა ტყე – ტყე ფოცხვრებში, წმენდაურის საზღვარზე (ლარი).

ქოხუნა – საძოვარი რიკაულის ქედზე, ღრუბლოტყის თავზე
(ნიგაზები).

ქრისტეშუფე//თევრეშოს ქრისტეშუფე – საყდარი თევრეშოში
(ღები).

ქუდართ – საკაურის მარჯვ. შენაკადი. ჩამოედინება საბუის სერის
კალთებიდან (ლაგვანთა).

ქურთუბანი – სათიბები ქურთუბნის სერზე (ბაჯიხევი).

ქურთუბნის სერი – სერი მელოვაკესა და წყაროებს შუა (ბაჯიხევი).

ქურნახი – ვაკე-სახნავი ქანქახის მარჯვ. მხარეს, ძველ გლოლაში
(გლოლა).

ქუხულუკეები – 1. საძოვარი ალპურ ზონაში. ინფ.: “ქვის ხულუკები
ჰქონდათ მწყემსებს“ (ღები); 2. იხ. ქვახულუკეები.

ღ

ღადისარი – მთა-სათიბები ბოცოსწყლის მარჯვ. მხარეს,
სინჯიგინასა და ელიდას შუა (გლოლა).

ღალაკუნას მინდორი – სახნავი ვათათანასთან. ეკუთვნოდა
ღალაკუნა გამყრელიძეს (ლარი).

ღალიანი – მინდორი ქვედა საკაოში (საკაო).

ღარი – სოფელი ღარულის ხეობაში, საკრებულოს ცენტრი
(სოფლები: ღარი, წმენდაური). ზ.დ. 940 მ. ქ. ონიდან 3 კმ.
საკრებულო შეიქმნა 1997 წელს (მანამდე ღარი შედიოდა
უწერის, ხოლო წმენდაური შეუბნის სასოფლო საბჭოში). ამ
წელს ღარში ცხოვრობდნენ: მეტრეველი – 30 კომლი,
ორდენიძე – 25 კომლი, არჩვაძე – 15 კომლი, ქელაძე – 15 კომლი,
სამხარაძე – 12 კომლი, მარკოიშვილი – 10 კომლი, ქელიძე – 9
კომლი, კაკრიაშვილი – 7 კომლი, მაისურაძე – 5 კომლი,
ხიდეშელი – 5 კომლი, ჩიხრაძე – 4 კომლი.

ღარიწყალი – 1. ღარულის მარჯვ. შენაკადი კვაჩის საზღვართან
(ლარი); 2. საძოვარი მიღმა უბანში (გომი).

ღარულა – რიონის მარცხ. შენაკადი სოფ. ღართან. სათავე აქვს

ოსეთის კავკასიონის კალთაზე. სიგრძე 27 კმ. (ლარი). წინამდებარე ლექსიკონში ტოპონიმის დეფინიციის შემდეგ მრავალ ფრჩხილებში მოქცეული “ლარულა” გულისხმობს, რომ სათანადო ობიექტი ლარულის ზემოთში მდებარეობს.

ღარულაობირები – ლარულისპირა სახნავეები კვაჩაში (ლარი).

ღასქინა – სახნავი, ნაკალოვარი ჭანჭახის მარჯვ. მხარეს, ძველი გლოლის განაპირას. ინფ.: “იტყვიან: ლასქინაში რომ თხილი დაბროწდებო (ე.ი. მოშწიფდებო), თიბვა გაკიპორქდებო (ე.ი. გაძნელდებო), რადგანაც ნამარიობვეს საერთოდ ბალახი გამაგრებულია (გლოლა).

ღაფთარი/ღაფთრები – სათიბი საბანაძეების უბანში (ლუნდა).

ღაფთრები – იხ. ღაფთარი.

ღებუკები – ტყე ზეციეთაში (ნაკიეთი).

ღებუვცეკი – უღელტეხილი რაჭის კავკასიონის ქედზე, კირტიშოსთან. სიმაღლე 3461 მ. ამ გზით ღებიდან დიგორში ერთ დღეში შეიძლება ჩასვლა (ჩვეშურა).

ღებულების ქიხები – იხ. ქვახულა.

ღები – სოფელი რიონის მარცხ. ნაპირას (რიონის ხეობის ბოლო სოფელი რიონი-ჩვეშურის შესართავიდან ჩრდილო-დასავლეთით, ნასოფლარ თევრეშოს ჩათვლით). საკრებულოს ცენტრი (სოფლები: ღები, გონა, პატარა ღები). ზ.დ. 1350 მ. ქ. ონიდან 35 კმ. სოფელში დგას შუა საუკუნეების მთავარანგელოზის ეკლესია; სოფლის მიდამოებში შემონახულია შუა საუკუნეებისავე ეკლესია “დედალვთისა” და ლობჯანიძეების საცხოვრებელი კოშკი. ღებსა და მის მიდამოებში მრავალგან აღმოჩნდა არქეოლოგიური ძეგლები, XVI-X სს. მეტალურგიული და სამთამადნო კერები, II-I სს. სამაროვნები, ადამიანისა და ცხენის ორმოსამარხები, ქვაყუთები... ადგ. ვარიანტი: დიდი ღები (შდრ.: პატარა ღები), დიდსოფელი (იშვიათად). ღების ძირძველი მოსახლენი არიან: გავაშლები, გობეჯიშვილები, ლობჯანიძეები (“ბაბუიშვილები”: მჭედლიანთი, ნანუკიანთი, ჯაჯონთი, ჯოტეენთი და სხვ.). ალექსანდრე მეფის სიგელში (1432 წ.) აღნიშნულია, რომ საკუთრივ ღებში ცხოვრობს ორი აზნაური გიგაშვილი და 72 კომლი გლეხი, ხოლო ღებში შემავალ სოფლებში – 400 კომლი გლეხი. იხ. აგრეთვე რივნისთავი. დაბა ღებს ასახელებს ვახუშტი ბატონიშვილიც.

ღებითო(ები) - სახნავეები რიონის მარცხ. მხარეს, ღმბის საზღვართან. ეკუთვნოდა ღებს (ქიორა).

ღებითოს წყალი - წყარო ღებითოში (ქიორა).

ღელასველა - სახნავი რუჩუის მარჯვ. მხარეს (ფარავნეში).

ღელე - საძოვარი ჩვეშურის მარჯვ. მხარეს. ინფ.: "ჩავარდნილი ტვაპია და ღელეს ვუწოდებთ"; "ღელე ვიწრო ჩაღრმავებული ადგილია" (ქიორა).

ღელეები - 1. სახნავეები რუჩუის მარცხ. მხარეს, ფერდობებზე (ნიგავზები); 2. სახნავეები სიმონიანთ უბანში (გომი).

ღელევენახი - სახნავი ზედა უბანსა და ქვედა უბანს შუა (წმენდაური).

ღელუნაგერა - იხ. უნაგერა.

ღელუფიცართა - ხევი ფიცართაში, ტვაპილელის მარჯვ. მხარეს (ცხმორი).

ღელუყანა - სახნავი ზოფხარელის მარჯვ. მხარეს (ხიდეშლები).

ღელუჯვარისა - ჩილორულის მარჯვ. შენაკადი. იწყება ჯვარისაში (ბაჯიხევი).

ღელიბოლო - სახნავი ჩადაბლებაზე რუჩუის მარცხ. მხარეს (ნიგავზები).

ღელ(ა)ყანა - სახნავი კიმოთელეთუბანში (გომი).

ღელუკა - სათიბი ოჭანურის მარჯვ. მხარეს (ფარავნეში).

ღელუჩა - ვეძა, საძოვარი გოცირიძეების შემოგარენში (ლუნდა).

ღერე - ფერდობები ქანჭახის მარჯვ. მხარეს, ტურბაზის პირდაპირ. იყოფა: გუტაიანთ ღერე (გუტაშვილებისა), ბერიეთყანები (ბერიშვილებისა), ბერიკეთღერე (ბიჭაშვილებისა), კვერანეღერე (ბიჭაშვილებისა), ბეთხოეღერე (ბეთხოშვილებისა), გეჩეთღერე (ბაკურაძეებისა) და სხვ. (გლოლა).

ღერის ტევრი - ტყე ღერეში (გლოლა).

ღესქე - მთა კედელას ქედზე, ლესქურის სათავესთან, ჯავის რ-ნის საზღვარზე. სიმაღლე 3426 მ. (შოვი).

ღესქური - ქანჭახის მარცხ. შენაკადი (შოვი).

ღეჯიუნჭალა - იხ. ზაქარეეჭალა.

ღვალვანა - მთა, დაღვერილას განშტოება (ბაჯიხევი, ჩორდი).

ღვალმეთი - სახნავი მზიურში. მოქცეულია ორ გორას შუა (გომრულა).

- ღვანარეულა – სათიბები შხივანის მარცხ. მხარეს (ძეგლვევი).
- ღვანე//ღვან(ებ)ი – ვენახები ფერდობებზე, რიონის მარჯვ. მხარეს.
ინფ.: “ღვანა, ღვანე არის წყლისაგან დაღარული ადგილი“
(უწერა, ნიგავზები).
- ღვან(ებ)ი – იხ. ღვანე.
- ღვანუკა – დავაკება ღვანეში (ნიგავზები).
- ღვანტი – საძოვარი საკაურის მარჯვ. მხარეს, კოზმანტეშოსა და
ზორიფარს შუა. ღვანტი ჩავარდნილი ადგილია (საკაო).
- ღვანტყანა – სათიბი ღვანტში (საკაო).
- ღვეირა – ვაკე ღვე(ი)რიწვერზე (უწერა).
- ღვე(ი)რიწვერი – ბორცვი გვერითულ-გომრულის წყალგამყოფზე
(უწერა).
- ღვთიშობელი – იხ. ყო(ვ)ლაწმინდა.
- ღვიონი – სათიბები ჭიბისრუს სათავესთან. იყოფა: ქვედა ღვიონი,
ზედა ღვიონი. ღვია მცენარეა (გლოლა).
- ღილასველა – სახნავი რუჩუის მარჯვ. მხარეს (ფარავნეში).
- ღმარუთი – ტყე-ხევი მარიქელასა და სამზადობელას შუა, სადაც
გადის ღმარუთის დელე (ცხმორი).
- ღმარუთის დელე – იხ. ღმარუთი.
- ღმარულ(ებ)ი – საძოვარი ლეხნარის წყლის სათავესთან (ბაჯიხვევი).
- ღმარუ(ში) – ხევი, სათიბი ხიდშულების საზღვართან. “რო მოდის,
ღრმაა“ (საკაო).
- ღობანური – ტყე-საძოვრები ცონისწყალას მარჯვ. მხარეს
(ძეგლვევი).
- ღობილი – სახნავი შუა უბანას განაპირას (საკაო).
- ღოღვეთაშო – საძოვარი საკაურის მარჯვ. მხარეს. “ღოღვენთ
ნაქონია“ (ლაგვანთა).
- ღოღვეყანა – 1. სათიბი საბუეთის კალთაზე (ლაგვანთა); 2. სახნავი
დიდღელის მარჯვ. მხარეს (რივნისთავი).
- ღორაღეში – ტყე-საძოვრები ოჯანურის მარჯვ. მხარეს (ძეგლვევი).
- ღორთა – სათიბი ნამოსახლევის სერზე. ინფ.: “ტყეცაა მუხებისა
და ღორი ეტანება“ (ღარი).
- ღორტყავა – ტყე ბოლთასა და ხვრელიეთს შუა. ინფ.: “მოპარული
ღორი გაუტყავებიათ“ (წმენდაური).
- ღორღთა წყობა – ნამეწყრები, ღორღიანი ტყე-საძოვრები
სახაროს კალთაზე, დღვიორის მარცხ. მხარეს (გლოლა).



დოდონაშთები – სახნავი კვათაში (გომი).

ლოში – ტყე-საძოვრები ლეხნარის წყლის მარჯვ. მხარეს (ბაჯიხევი).

ღროშეთი – ჩავაკება ნასახტრსა და კილაურას შუა (ბორცო).

ღრუბლო(ს)ტყე – ტყე რიკაულის ქედზე (ნიგაზები).

ღრჯამა – მთა-სათიბები კოდნარულის სათავესთან (ჩვეშურა).

ღრჯამის სკორე – მყინვარი ღრჯამაში. ინფ.: “სკორე არის მუდმივი თოვლი, რომელიც არ დნება“ (ჩვეშურა).

ღრჯამისწვერი – ღრჯამის მწვერვალი (ჩვეშურა).

ღულთა//ნაშვეენთ ღულთა – სახნავი სოფლის განაპირას, ფერდობზე. ინფ.: “ნაშვეენთი ნიშნავს ნაშვეენის კუთვნილს. ნაშვეენთები არიან ლობჯანიძეები“ (ღები).

ღუნდა – სოფელი ცხმორის საკრებულოში, ჭეჯორის მარცხ. მხარეს, ვაკესა და მალლობზე. ზ.დ. 1100 მ. ქ. ონიდან 10 კმ. შემორჩენილია შუა საუკუნეებში აშენებული წმ. სამების ეკლესია. ესაზღვრება: დასავლეთით – სორგითი; სამხრეთით – ცხმორი, ფსორი. 1998 წელს ღუნდაში ცხოვრობდა მხოლოდ 10 კომლი. მათგან: საბანაძე – 4, გოცირიძე – 4 და სხვ. შესაბისად, სოფელში ორი დიდი უბანია (ერთმანეთისაგან მოშორებით): გოცირიძეების უბანი, საბანაძეების უბანი.

ღუნდის მთა – მთა ჭეჯორის მარცხ. მხარეს, ღუნდამდე (ღუნდა).

ღურღულა – 1. წყარო ველებში. გაყვანილია ღებში (გონა); 2. წყარო, დასახლება ზედა ქალებში. აქ ცხოვრობენ ლობჯანიძეები (ღები).

ღურშევი – ოსების ნასოფლარი ხამიჯაურის ხეობაში (შოვი).

ყ

ყაია – საძოვარი სოფლის განაპირას. ინფ.: “ყაიანიშნავს მიუვალ, საშიშ, ციცაბო ადგილს. ყაიებში მოვხვდით, იტყვიან, როცა გლახა ადგილია“ (ღები).

ყანთარი – გზისპირი ნაყურთან. “ყანთარი სასწორია. აქ მდგარა“ (ღები).

ყაფარა – კლდე ქვედა ვაკის თავზე. ინფ.: “დაყაფრებული ადგილია. სახურავიც შეიძლება იყოს ყაფარი, ე. ი. დაქანებული“ (ლაგვანთა).

ყაფრები – საძოვარი ნოწარულის მარჯვ. მხარეს. ინფ.: “ყაფარი მაგარი აღმართია“ (ჭიორა).



- ყაწუნანატუხი – სათიბი თევრეშოში (ღები).
- ყაწუნუეგორ(იტ)ა – მთა-სათიბი ჩვეშურის მარჯვ. მხარეს, უბიას ზემოთ. ყაწუნენი გობეჯიშვილები ყოფილან (ღები, გონა).
- ყაჭამბალაველუკა – სათიბი დედაღვთისას გვერდით (პ. ღები).
- ყერენტა – ფერდობი სოფლის ცენტრში, სკოლასთან (საკაო).
- ყერთ – იხ. შემოქმედი.
- ყვაგური – ტყე-საძოვარი გორისბოლოში (გლოლა).
- ყვაბები – საძოვრები ბუბაში (შოვი).
- ყვაბი//ღღვიორას ყვაბი – საძოვარი ღღვიორის სათავესთან. ინფ.: “ყვაბი არის გობივით ჩავარდნილი ადგილი” (შოვი).
- ყვარ(ი)ჯანა – სახნავი ლათქიშორის მარჯვ. მხარეს, სოფლის თავზე (პ. ღები).
- ყვერული – სახნავი კვატაში, სადაც ოდესღაც ტყე მოუყვერავთ (ღარი).
- ყვითელა – სათიბი სოფლის შემოგარენში. მიწაა ყვითელი (ბაჯიხევი).
- ყვინუთის ქედი – სერი ჭანჭახის მარჯვ. მხარეს, ტურბაზის პირდაპირ (გლოლა, შოვი).
- ყვინილა – მინდორი ქურთუბანსა და საბუეს შუა (ბაჯიხევი).
- ყვარნიშო – ვაკე-საძოვარი ქორიბუდის კალთაზე. იყოფა: დიდი ყიარიშო, პატარა ყიარიშო (ჭიორა).
- ყვარნიშოთავი – საძოვარი ყიარიშოს თავზე (ჭიორა).
- ყო(ვ)ლაწმინდა//ღვთიშობელი – ეკლესია სოფლის ცენტრში, კურორტის ტერიტორიაზე (უწერა).
- ყოვნეფი – სახნავები რიონის მარცხ. მხარეს, სოფლის სამხრეთით (ჭიორა).
- ყოვნეფის ფარი – სათიბი ყოვნეფის თავზე (ჭიორა).
- ყორანბუდე //ყორნიბუდე – სათიბი მუხამეშში (პ. ღები).
- ყორანბწყალი – წყარო მთაგორაში, რიკლიკლდის გვერდით. ინფ.: “ამ წყაროსთან ხეებზე ყორნები სხდებოდნენ” (ცხმორი).
- ყორიანბალი – საძოვარი კაკასიგორის თავზე (ნიგავზები).
- ყორიან(ებ)ი – საძოვარი სოლოკეთის სერზე. იყოფა: ზედა ყორიანი, ქვედა ყორიანი. ინფ.: “ქვებია ბუნებრივად დახორილი. ამიტომაა ყორიანი” (ღუნდა).
- ყორისთავი – საძოვარი ველგძელასთან (უწერა).
- ყორნიბუდე – იხ. ყორანბუდე.

ყორღანი – მიჯნა, სასაზღვრო ყორე რიკაულზე, ნიგავზებისა და უწერის საზღვარზე (უწერა, ნიგავზები).

ყორყორღა(ან)ველი – სათიბი ბოდუურის მარცხ. მხარეს (ბორცო).

ყორღაანველი – სათიბი ქვედა ძეგლევში (ძეგლევი).

ყრუტა – 1. წყარო ლათქიშორის მარჯვ. მხარეს (პ. ლები); 2. სათიბი ჯვარიგორასა და ვარიდიგორას შუა (რივნისთავი).

ყრუტას უბანი – უბანი ყრუტასთან (პ. ლები).

ყურისა//ყურისეები – ტყე მაისურაძეების უბანში (ცხმორი).

ყურისეები – იხ. ყურისა.

უ

შაბიაშანი – ქიუხები რაქის კავკასიონზე, ჭანჭახის სათავესა და თბილისას შუა. ინფ.: “კლდეებია ლურჯი“ (შოვი).

შავაეთი//შავეეთი – ტყე-საძოვრები ელნეცაში, ჭანჭახის მარცხ. მხარეს (გლოლა).

შავვორები – სათიბები კობერიძეებისა და კვირიკაშვილების უბანს შუა, სადაც მიწაა შავი (ცხმორი).

შავვურეთისრუ – ბოყოსწყლის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ქამაქინიდან (გლოლა).

შავეეთი – იხ. შავაეთი.

შავი კლდე – სანადირო კლდეები გორიბოლოში (რივნისთავი).

შავი წყალი – ჩილორულის ერთ-ერთი მდგენელი (ბაჯიხევი).

შავიწყალი(ს)პირი – ტყე კობაურსა და ფხონიმეწყერას შუა (ბაჯიხევი).

შავდელიგორა – ბორცვი ძეგლევის საზღვართან (ბორცო).

შავყანის წყალი – წყარო გურულების უბანში (ცხმორი).

შავწყალი//შავწყალუკეები – წყარო ფართო ქალაში. ინფ.: “წყალი თეთრია, მაგრამ მოდის შავ ხავსში და შავად ჩანს“ (ხიდეშლები).

შავწყალუკეები – იხ. შავწყალუკა.

შავწყარო – 1. წყარო საწისქვილოწყლის მარცხ. მხარეს (ჭიორა);

2. წყარო შოდურის მარცხ. მხარეს. ინფ.: “კარგი სასმელი წყალია, ცივი, ხავსებში ამოდის და ამიტომაა შავწყარო“ (პ. ლები); 3. მთა, წყარო გადარეულას სათავესთან (რივნისთავი);

4. წყარო ქვედა ძეგლევში. ინფ.: “რომ გამოდის, შავი



- გეგონება“; “რომ დაასხამ, შავდება“; “შავწყაროს საერთოდ უწოდებენ ცივ და კარგ წყალს“ (ძეგლვევი).
- შავწყაროთგორი** – მთა გადარეულას სათავესთან (რივნისთავი).
- შალიკიანთ** – ტყე ფოცხრევის მთის კალთაზე (ცხმორი).
- შალიკიანთ ველი** – სათიბი საკაურის მარჯვ. მხარეს (საკაო).
- შალიკიანთ უბანი** – უბანი ქარახსასა და ზოფხარელას შუა. ინფ. “ცხოვრობენ შალიკიანთი, გვარად გუგეშაშვილები“ (მაქიეთი).
- შალიკიანთ ქალა** – იხ. ზაქარევექალა.
- შალიშვილივაკე** – დავაკება გვრივაკის გვერდით (ნიგავზები).
- შამელაური** – სახნავი მაქიეთის საზღვართან (საკაო).
- შარა** – სანახშო ზედაუბანში, ვაკეზე (წმენდაური).
- შარაბეული** – სახნავი კიმეთელეთუბანში (გომი).
- შარიყანა** – 1. სათიბი ზედა ძეგლვევში, ტბეთსა და ნაბოსლევს შუა (ძეგლვევი); 2. სახნავი ლათქიშორის მარცხ. მხარეს (პ. ლები).
- შატარულის ვაკე** – ტყე-სათიბები ღარის საზღვართან (წმენდაური).
- შაქარაახთ** – სამოვარი რუჩუიპირებში (ნიგავზები).
- შაქარტიანთები** – ყოფილი დასახლებული უბანი ზედა საკაოში. ინფ.: “ცხოვროდნენ შაქარტიანთები, გვარად გუგეშაშვილები არიან“ (საკაო).
- შახუნეფარები** – სათიბი ზედა სახაროში (ლები).
- შეისური** // **სეისური** – მთა, შოდის ქედის დას. განშტოება შეისურირუსა და ზოჯორის სათავეებთან. სიმაღლე 3126 მ. (რივნისთავი, ხიდეშლები).
- შეისურირუ** – რიონის მარჯვ. შენაკადი. გამოედინება შეისურიდან, კერძოდ, ლაფურის უღელტეხილიდან (რივნისთავი).
- შემოქმედი** // **ყერო** – სალოცავი ძველ გლოლაში. ინფ.: “შემოლობილია ყეროთი. ყერო არის ქვის ყორე“ (გლოლა).
- შე/შ/ხშული** – 1. კლდოვანი ვიწრობი, სადაც გადის გომრულა. ინფ.: “მისრულია მთა მთაზე. ამიტომაა შემხშული“ (გომრულა); 2. კლდოვანი ვიწრობი და ჩანჩქერი ღარულაზე (ღარი).
- შესავალი** – 1. მინდორი ქვედა საკაოში (საკაო); 2. სათიბი ოქანურის მარჯვ. მხარეს (ფარავნეში).
- შესავალი სადვალთ** – სადვალოს ნაწილი (ბაჯიხვევი).
- შესახიცვა** // **შესახიწვა** – გზა, ტყეები შხივისწყლის ხეობაში. ინფ.: “ვიწრო გზაა და ხარები ერთმანეთს აწვებიან უღელში. ერთმანეთს რომ წაეტოვრდიან, ესაა შეხიცვა“ (ძეგლვევი).

შესახიწვა - იხ. შესახიცვა.

შეყრილი - რიონისა და ჩვეშურის შესართავი (ღები).

შეხეთი - ტყე კიოთაქედის კალთაზე (ძეგლვევი).

შეხერილი - ტყე-ხევი, სადაც გაედინება დღვიორა. იყოფა:
გამოღმა შეხერილი - ტყე-საძოვრები ხევის მარცხ. მხარეს, და
გაღმა შეხერილი - ტყე ხევის მარჯვ. მხარეს. ინფ.: "შეხერილი
არის შექედებული, ვიწროდ შეჩხირული" (შოვი).

შვალტა - სახნავი ზედა ძეგლევში, შხივანაღელის ნაპირას
(ძეგლვევი).

შვალტბოლო - სახნავი შვალტასთან (ძეგლვევი).

შვარალა - სახნავ-საძოვრები ქანქახის მარცხ. სერზე, ქინკათა
ციხის ზემოთ (გლოლა).

შთალა - მთა სათიბ-საძოვრებით ხვარგულის სათავესთან, რაქის
კავკასიონის კალთებზე (ჩვეშურა).

შთალიკალთები - სათიბები შთალის კალთებზე (ჩვეშურა).

შთინი - საძოვარი ძველ გლოლაში, ბაკურევაკეს ქვემოთ (გლოლა).

შიდაველა - საძოვრები შიდავლითავისერზე. იყოფა: ზედა
შიდაველა, ქვედა შიდაველა (ბაჯიხევი).

შიდავლითავი - საძოვრები შიდაველას თავზე. იყოფა:
ლობჯანიძეების შიდავლითავი, დვალიძეების შიდავლითავი
(ბაჯიხევი).

შიდავლი(თავი)სერი - სერი საძოვრებით ფოცხრევსა და
ფსონიმეწყერას შუა. ებმის საარჩევ კლდეს (ბაჯიხევი).

შიდავლიწყალი - ჩილორულის მარცხ. შენაკადი. იწყება
შიდაველაში (ბაჯიხევი).

შიდავლიწყარო - წყარო შიდავლიწყლის ნაპირას (ბაჯიხევი).

შინაყანები - სახნავი შალიკიანთ უბანში (მაჭიეთი).

შიოთა/შიოთეები - საძოვრები რუჩუის ზემოთში (ნიგავზები,
ფარავნეში).

შიოთეები - იხ. შიოთა.

შიოს ახთ - სათიბი საკაურის მარჯვ. მხარეს. ინფ.: "შიომ მოკათა"
(ლაგვანთა).

შიოსკარი - უბანი ძველ გლოლაში. ინფ.: "უწინ აქ მხოლოდ შიო
ბელაშვილი ცხოვრობდა. მერე დასახლდნენ და უბნად იქცა"
(გლოლა).

შიოს წყალი - წყარო შიოს ახოსთან (ლაგვანთა).



- შიოწყალი – წყარო ზედა კილოში. ინფ.: “მიუგნია შიო რეხვიაშვილს“ (ქიორა).
- შიუკაბთისლისთავი – სათიბი უბიას თავზე (გონა).
- შიუკაჭაღა – რიონის ქალა რუბოძალს ქვემოთ (ღები).
- შიუნაანთი/შიუნაანთ უბანი – მეტრეველთა მიკროუბანი წინა უწერაში (უწერა).
- შიუნაანთ უბანი – იხ. შიუნაანთი.
- შიზორეები – ვაკე-ფერდობები რიონის მარცხ. მხარეს (ქიორა).
- შკვერა – ტყე-ფერდობები ვაკისუბნის თავზე (ღარი).
- შოდა – შოდის ქედის უმაღლესი მწვერვალი. სიმაღლე 3609 მ. შოდის წმინდა გიორგი და შოდელი მოხსენიებული იყო ღების მაცხოვრის ეკლესიაში გასული საუკუნის 30-იან წლებამდე დაცული ხატების წარწერებში. ადგილობრივი შოდას მთლიანად რიონ-საკაურის წყალგამყოფ ქედსაც უწოდებენ. შოდა დასახლებულ ადგილად მოიხსენიება ალექსანდრე მეფის 1432 წლის სიგელში. იხ. შოდის ქედი.
- შოდა-კედელას ქედი – კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის განშტოება ონის რ-ნში. ლეჩხუმის ქედს გამოეყოფა ლუხუნისწვერთან. სიგრძე 56 კმ. რიონის ხეობა ყოფს ორ ნაწილად: შოდის ქედი მდებარეობს რიონის მარჯვ. მხარეს, ხოლო კედელას ქედი – რიონის მარცხ. მხარეს.
- შოდის ქედი – რიონ-საკაურის წყალგამყოფი ქედი ქიუხებითა და სანადირო-სამძვრებით. იყოფა: დიდი შოდა, პატარა შოდა (ონის რ.)
- შოდურა – რიონის მარჯვ. შენაკადი. იწყება შოდის ქედის კალთაზე. სიგრძე 7 კმ. (3. ღები).
- შოვი – სოფელი გლოლის საკრებულოში, ქანჭახის ხეობაში. ზღვის დონიდან 1520 მ. ქ. ონიდან 30 კმ. შოვი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტიცაა სანატორიუმებითა და დასასვენებელი სახლებით.
- შომი – დავაკება ჩვეშურის ნაპირას, საროკავიდან 1,5-2 კმ-ზე (ღები).
- შომის ხიდი – ხიდი მდ. ჩვეშურაზე (ღები).
- შორუთა – ვაკე-სახნავეები რიონის მარცხ. მხარეს, ჟამიერთში, მეტრევესა და ციხიგვერდს შუა (უწერა).
- შორუთიწყალი – რიონის მარცხ. შენაკადი (უწერა).

შოფშალო//შოფშოლო – სახნავი გოგრიქიანების შემოგარენში (ჩორღი).

შოფშოლო – იხ. შოფშალო.

შოშაანველი – სათიბი სანაჩხლიქედის თავზე (ბორცო).

შოშა(ნა)ნატეხები – საძოვარი ქარახსასა და რისინეს შუა, ნასკევრის თავზე (მაჭიეთი).

შოშე(ე)თი – იხ. შოშეთები.

შოშეთები//შოშე(ე)თი – ფერდობები ჩვეშურის მარჯვ. მხარეს, დიდ სახოლსა და ფიცარეებს შორის. აქ აღმოჩენილია ძვ. წ. III-I საუკუნეების სამაროვნები, ორმოსამარხები (ღები).

შოშიანთეული – სახნავი კვატაში (ლარი).

შოშიანთ უბანი – უბანი გომრულის მარჯვ. მხარეს. “შოშიანნი მეტრეველები არიან“ (ჯინჭვისი).

შოშ(ი)ტაახო – საძოვარი თხელიშის თავზე (ხიდშელები).

შოშუნაანთი//ბეჟიანთ(ებ)ი – უბანი ქვედა საკაოში (საკაო).

შრალხვეი – იხ. რიკაულისრუ.

შრატუნაწყლები – საძოვარი ორღელუკეებს ქვემოთ. ინფ.: “შრატი წყალი ამოდის, თბილი, არ სვამენ“ (ბორცო).

შტკინიეთი – ტყე-მინდვრები ილინეს მარცხ. მხარეს, შხელის თავზე (გლოლა).

შუა ანეული – საძოვარი ჯვარიგორსა და რუთავს შუა (რივნისთავი).

შუა ახო – 1. სათიბი ზედა საკაოში (საკაო); 2. საძოვარი მზისეების თავზე (ხიდშელები).

შუა ახოსთავი – სათიბი შუა ახოსთან (საკაო).

შუა გორა – გორა, საძოვარი ცვარაეთსა და სახაროს შუა (გლოლა).

შუა ეწერი – იხ. ეწერი//ეწრები.

შუაეალაჭიმა – ველი, საძოვარი სახაროში (გლოლა).

შუა მზიური – ტყე მზიურში (საკაო).

შუა ნასკევრა – საძოვარი (მაჭიეთი).

შუა სანადირო გზა – იხ. სანადირო გზა.

შუა სკორე – ხევი-მყინვარი ღრჯამაში, კილოს ბოლოზე. ინფ.: “სკორე არის მუღმივი თოვლი, რომელიც არ დნება“ (ჩვეშურა).

შუა სხალი – სახნავი კვატაში (გომი).

შუატანები – სათიბი საკაურის მარჯვ. მხარეს, ვერძირუსა და

სატალახერუს შუა. ინფ.: “შუატანი არის შუა ადგილი”
(ხიდშლები).

- შუა ტყე** – ტყე კედელასა და ტყუილეთს შუა (ღარი).
- შუა ტყისათიბი** – სათიბი ოქანურის მარჯვ. მხარეს (ფარავენეში).
- შუა უბანა** – უბანი ზედა საკაოსა და ქვედა საკაოს შუა (საკაო).
- შუა უბანი** – 1. სოფლის ნაწილი ზედა უბანსა და ქვედა უბანს შუა (ქიორა); 2. უბანი ტბეშოსა და ქებაძეებს შუა (ბორცო).
- შუა უბანი/შუა ჭალა** – უბანი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, რიონის მარცხ. ნაპირას (ღები).
- შუა უნაგერა** – იხ. უნაგერა.
- შუა ქედუნა** – სერი სათიბებით ლოდორულის მარჯვ. მხარეს (ქიორა).
- შუა ღელე/საყორნის ღელე** – ღელე ოქანურის სათავესთან. ინფ.: “სამი ღელეა. ეს შუაა” (ძეგლევეი).
- შუა ჭალა** – იხ. შუა უბანი.
- შუა ხოფითო** – იხ. ხოფითო.
- შხვის(ებ)ი** – საძოვარი მახუნჯაგის მარცხ. მხარეს, ზედა ძეგლევში (ძეგლევეი).
- შხელი** – მინდორი ქანჭახის ნაპირას, რიონისპირიდან 1,5-2 კმ-ზე (გლოლა).
- შხელის სალოცავი** – სალოცავი შხელში, სადაც მდგარა ხის ეკლესია და იმართებოდა შხელიობა ახალი წლის შემდეგ (გლოლა).
- შხიანთურა//შხიენტურა** – საკაურის მარჯვ. შენაკადი. გამოედინება ცხომიდან (საკაო, ხიდშლები).
- შხიენტურა** – იხ. შხიანთურა.
- შხივანა** – სკინტაროს შენაკადი. მოედინება სკაველიდან (ძეგლევეი).
- შხივები** – საკაურის მარცხ. შენაკადი გაბშულაში (ხიდშლები).
- შხივი** – 1. საძოვარი და მთისწყლის შენაკადი (ბაჯიხევი); 2. წყალვარდნილი გომრულაზე. ინფ.: “შხივია. წყალი გადმოშხივის” (გომრულა).
- შხივი/შხივისწყალი** – რიონის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ზედა ძეგლევიდან. ინფ.: “ერთგან დიდი შხივი ჩამოდის” (ნაკიეთი, ძეგლევეი).
- შხივითავი** – შხივისწყლის ზემოთი (ძეგლევეი).
- შხივისწყალი** – იხ. შხივი/შხივისწყალი.

შხივქვაბულა // **შხივქვაბუნა** – საძოვარი ოქროყანასა და გორგოლიას შუა (ბაჯიხევი).

შხივქვაბუნა – იხ. **შხივქვაბულა**.

შხივქვაბუნას წყალი – ლეხნარის წყლის შენაკადი. სათავეს იღებს **შხივქვაბუნაში** (ბაჯიხევი).

შხიროლ(ებ)ი – სათიბები **შხიროლურის მარცხ.** მხარეს (ჭიორა).

შხიროლური – რიონის მარჯვ. შენაკადი. ერთვის ლოდორულის შესართავიდან ქვემოთ 2 კმ-ზე (ჭიორა).

ჩ

ჩაბალაყა – საკაურის მარც. შენაკადი. სათავეს იღებს რიონ-საკაურის წყალგამყოფ ქედზე, გაედინება შეისურსა და ბუძგორს შუა (ხიდეშლები).

ჩაბალახა – 1. მთა საძოვრებითა და სანადიროებით. ებმის შოდის ქედს. აქედაე რიონისაკენ გაედინება შოდურა, ხოლო საკაურისაკენ – ხოჯორა. ინფ.: “მთა ჩაბალახს მოგვაგონებს შეხედულებით” (პ. ღები, ხიდეშლები).

ჩაგათი – სათიბები ბოყოსწყლის მარჯვ. მხარეს. ინფ.: “რატომ ეწოდება, არ ვიცი, მაგრამ თივაა ძნელი ჩამოსატანი და ამაზე უთქვამთ ლექსი: „ჩაგათს მთიბლობა, ლომთა გმირობა“ (გლოლა).

ჩაგარანთო – საძოვრები ხოლსა და საწისქვილოწყალს შუა. იყოფა: დიდი ჩაგარანთო, პატარა ჩაგარანთო (ჭიორა).

ჩაგელვენგაკე – სათიბი ჩვეშურის მარცხ. მხარეს (ჭიორა).

ჩაგელვენთ უბანი – უბანი სოფლის ცენტრის (სანახშოს) დასავლეთით (ჭიორა).

ჩაკიდულა – სათიბი მაისურაძეების უბანში. ინფ.: “დამრეცია, ფერდობზე ჩაკიდული” (ცხმორი).

ჩალაურა – ტყე ფარავნეშის მთაზე (ფარავნეში).

ჩალაძეები – ერქვა უბანს ტბეშოსთან (ბორცო).

ჩალეეთეულა – სათიბი მუხამეშში (პ. ღები).

ჩალტყყანა – სახნავი ღუნდის მთის კალთაზე. ინფ.: “მიწაასუბუქი, ჩალტე” (ღუნდა).

ჩანარიკოდი // **საარჩვე კლდე** – ტყე და მაღალი კლდე მთისწყლის სათავესთან (ბაჯიხევი).

- ჩარკვიანის ველი – სათიბი საკაურის მარცხ. მხარეს (ლაგვანთა).
- ჩარკვიანის ვენახები – ვენახი ჩარკვიანის ველთან (ლაგვანთა).
- ჩარკვიანის მისახვევი – ლესორის გზის მონაკვეთი. ინფ.:
“ჩარკვიანი იყო ინჟინერი, ვინც გაიყვანა გზა ბარიტის
საბადოებისაკენ“ (ჩორდი).
- ჩასავალა – 1. საძოვარი მიღმა უბანში (გომი); 2. სათიბი და გზა-
გადასასვლელი კიოთაქედის ბოლოს (ბორცო, ძეგლვევი).
- ჩასავალი/ჩასავლები – ბუჩქნარი (ლარი).
- ჩასავლები – იხ. ჩასავალი.
- ჩასახტომი – სანადირო საარწივიძირში (რივნისთავი).
- ჩატყეყენა – იხ. ზაქარეველა.
- ჩატყყანა – სათიბი გოცირიძეების უბანში. ინფ.: “მსუბუქი მიწაა,
ჩითვით“ (ლუნდა)
- ჩაფენა – ტყე, გორა კვირიკაშვილების უბანში (ცხმორი).
- ჩაღვენტილა – სახნავი ზეციეთაში. ინფ.: “ჩაღვენტილი არის
ჩალრმავებული ადგილი ფერდობზე“ (ნაკიეთი). შდრ. ლვანტი.
- ჩაჭობვილა//ჩაჭუხვილა – ტყე, საძოვარი შხივთან. ინფ.: “მეხს
დაურტყამს და ჩაჭუხვილა“ (ბაჯიხვევი).
- ჩაჭუხვილა – იხ. ჩაჭობვილა.
- ჩდილები – 1. საძოვრები ღარულის მარცხ. მხარეს (ლარი); 2. სათიბი
ზეხენიერში (პ. ლები); 3. სათიბი ღრჯამაში (ჩვეშურა).
- ჩდილედენა – იხ. ედენა.
- ჩდილთეთრი – სათიბი ჩელტიხიდულის ზემოთ (რივნისთავი).
- ჩდილი – 1. ფერდობები გომრულის მარცხ. მხარეს (ჯინჭვისი, გომი);
2. ტყე სახაროს კალთიდან კვერნალიშამდე (უწერა).
- ჩდილიწვერი – მთისწვერი დაღვერილაზე (ბაჯიხვევი).
- ჩდილნაკიეთი – სოფლის ნაწილი კობორის ძირას, რიონიდან
ზეციეთამდე. ჩრდილიანი ადგილია (ნაკიეთი).
